



**საქართველოს უზენაესი
სასამართლოს
ერთგვაროვანი პრაქტიკა
სამოქალაქო საქმეებზე
(2016 წელი)**

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი
2018



Uniform Court Practice of the Supreme Court of Georgia

on civil cases

(2016)

The Supreme Court Of Georgia
National Court Practice Study and Generalization Unit

Tbilisi

2018

შემდგენლები:

გიორგი ჭყონიძე

ზაზა ჯაფარიძე

სანდრო ჯორბენაძე

სტილისტ-რედაქტორი:

სოფიო მამულაშვილი

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018

ISBN 978-9941-8-0255-3

The Collection was compiled by

Giorgi Tchkoidze

Zaza Japaridze

Sandro Jorbenadze

Style Editor:

Sophio Mamulashvili

Graphics Editor and Design

Marika Maghalashvili

© Supreme Court of Georgia, 2018

ISBN 978-9941-8-0255-3

შედეგების განხორციელების გეგმა

საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი წესებით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრების კუთხით უმნიშვნელოვანესია.

ყოველი გადაწყვეტილების უკან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს, როგორც ნორმის განმმარტებელი ინსტანციის მნიშვნელობა დგას.

საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, ნორმის განმარტებისას, სასამართლო არ უნდა გასცდეს კანონის ფარგლებს.

სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია. სასამართლო ნორმას განმარტავს კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

სასამართლო პრაქტიკით მკვიდრდება ნორმათა განმარტებისა და ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2016 წელს გაუქმებული საქმეების ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოების ტიპური შეცდომები, რომელთა განზოგადებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვისას კვლავ ვლინდება დარღვევები, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

წინამდებარე კრებულში შესული გადაწყვეტილებები დალაგებულია თემატურად, ყოველ მათგანს წინ ერთვის მცირე განმარტება, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეებს დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და კერძო სამართლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უკეთ გაცნობაში.

FROM THE COMPILERS

The Supreme Court of Georgia is the highest and the last instance cassation court of justice throughout the country, which supervises the administration of justice in the courts of general jurisdiction by the established procedure, carries out other authorities provided by the Constitution of Georgia and by the law of Georgia on «General Courts». Role of the Court of Cassation in the administration of justice and the establishment of the rule of law principles is very important.

Behind to every judgment is standing a common judicial practice and the Supreme Court, as an instance with the function of the legal norm interpretation.

The Court of Cassation has repeatedly pointed out, that from the principle of separation of legislative and judicial power, it is important in interpreting the provision, that the court does not go beyond the limits of the law.

Court does not have law-making function, it only defines the legal norms within the purpose of the legislature and the possibility of its implementation.

The court practice is important for the interpretation of the legal norms and for the practice of uniform use.

Typical errors of the lower courts were analyzed based on the study of canceled cases of 2016 by the chamber of civil cases of the Supreme Court. Generalization of the material showed, that despite the established practice of the Court of Cassation, the Court of Appeal by reviewing the cases, are still open to occurring flaws, which are reflected in the misuse of the applicability and interpretation of both procedural and substantive law.

Judgments included in the collection are sorted by subject, to each attached a little explanation, which will help judges to improve the quality of reasoning and to anyone interested in private law for better understanding of the established uniform court practice.

საკიებელი

შემოკლება 12
მუხლოვრივი საკიებელი 13

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

1. გარიგებანი

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი 14; 16
გარიგების ბათილობა გავლენის ზოროტად გამოყენების გამო 16
მონებენებითი და თვალთმაქცური გარიგება 17; 19
ფორმის დაუცველად დადებული გარიგება 22

2. ხანდაზმულობა

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა;
ხანდაზმულობის ვადის დაწყება 24; 26
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა 28
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით;
ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან 31
ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას 28; 43

3. საკუთრება

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და
ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა 33
ვინდოკაციური სარჩელი 35
პასუხისმგებლობა თანასაკუთრებით სარგებლობის
ხელშეშლის აღკვეთისას 36
სასაზღვრო ნაგებობით სარგებლობის უფლება 33
იპოთეკა 19
აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის
საკუთრების ჩამორთმევა;
კომპენსაციის ოდენობა აუცილებელი საზოგადოებრივი
საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევისას 37

4. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი

ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები 38

5. სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი დებულებანი;

ხელშეკრულებიდან გასვლა

ვალდებულების პირობათა განსაზღვრა
სამართლიანობის საფუძველზე 62
ვალის არსებობის აღიარება 22; 28
ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები 40; 41

6. ვალდებულების შესრულება და დარღვევა	
ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის	
ბანსაზღვრული ვადის არარსებობისას	43
მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის	
მოქმედებისათვის	38
7. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა	
პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა	44
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის	40
ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა	45
ზიანის ანაზღაურება არაქმნებრივი ზიანისათვის	47
დაზარალებულის გრალი ზიანის დადგომაში	62
8. პირბასამტეხლო	
პირბასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ	48; 51; 132
9. ვალდებულების შეწყვეტა	
ვალდებულების შეწყვეტა დავმონიერებით	19
ვალდებულების შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო;	
მზღვეველის ანაზღაურებისგან	
განთავისუფლება თვითმკვლელობისას	52
10. სოლიდარული მოვალეობა	
სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის	54
11. ნასყიდობა და ჩუქება	
გამოსყიდვა	17
ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო;	
გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა	56
12. ძირავენობა	
მიმდინარე რემონტის ხარჯები	58
13. იჯარა	
იჯარის ხელშეკრულება	60
ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისათვის	61
14. ნარდობა	
სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება	62
ნარდობის ხელშეკრულების მოშლა	64; 65
დაამატებითი შესრულების მოთხოვნა	66
15. გადაზიდვა-გადაყვანა	
გადაზიდვის ხელშეკრულება	69
16. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა	
ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება	69

საერთო ქონების მართვა;
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მოვალეობები,
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდება და კრება 71

17. უსაფუძვლო გამდიდრება

ვითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები 73; 74; 76; 78
უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები 76; 78
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები 76
ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი 79
შეცდომით სხვისი ვალების გასტუმრება 80
მესამე პირის ვალდებულება,
უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული 76
სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები 130

18. დელიქტური ვალდებულებანი

ზიანის ანაზღაურება 82
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის
შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება 84
ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას 85; 87

19. ინტელექტუალური სამართალი

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების დაცვა 89

20. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი 90

21. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა 91
ბავშვის ინტერესების დაცვა 93
შვილების აღზრდა მშობლების შეთანხმებით 96
არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილი
მშობლების განქორწინებისას 98
განქორწინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები
მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ 93

22. მემკვიდრეობის სამართალი

უღირსი მემკვიდრე;
ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა 100

შრომის სამართალი

1. შრომის კოდექსის მოქმედების სფერო

შრომის კოდექსის მოქმედების სფერო 102; 104; 106

2. შვებულება

გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება;
საშვებულებო ანაზღაურება 107

გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება	109
3. პირბასამტახლო ანაზღაურების დაყოვნებისთვის	111
4. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები	113; 114; 116
5. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი	
პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა	117
კომპენსაცია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის	119
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი	121
6. შრომის კოდექსის მოქმედება დროში	
მოთხოვნის ხანდაზმულობა	122

სამოქალაქო სავროცესო სამართალი

1. სასამართლო შეტყობინება და დაბარება	
სასამართლო უწყების ჩაბარება	124
უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის	125
2. მხარეები	
არასათანადო მოსარჩელის (მოპასუხის) შეცვლა	41; 76; 126; 127
სავალდებულო სავროცესო თანამონაწილეობა	127
მესამე პირები	128
საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით	145
3. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება	
მტკიცებულების ტვირთი	61; 130; 132
მტკიცებულებათა დასაშვებობა	134; 135
მტკიცებულებათა შეფასება	136; 137
4. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა	
ექსპერტიზის დანიშვნა სასამართლოს მიერ	139
5. საქმის განხილვა პირველი ინსტანციით	
აღიარებითი სარჩელი	140; 141
6. სასამართლოს მთავარი სხდომა	
შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობის	
საკვატიო მიზეზი	142
მხარეთა მიერ შუამდგომლობისა და	
განცხადების წარუდგენლობის საკვატიო მიზეზი	144
საკვატიო მიზეზით სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობა	145
შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა	148
7. დაუსრულებელი გადაწყვეტილება; საქმისწარმოების შეწყვეტა	
მოპასუხის გამოუცხადებლობა	149
დაუსრულებელი გადაწყვეტილება აპელაციის ეტაპზე შესაგებლის	
წარუდგენლობის გამო	150; 159

სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა	152
საქმისწარმოების შეწყვეტა	54
8. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი	
საქმის გარემოების დადგენა სასამართლოს ინიციატივით	96; 153
9. აპელაცია; საქმისწარმოება სააპელაციო სასამართლოში	
გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები; გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები	155
10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება	
საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად	156
მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები	158
11. კასაციის დასაშვებობა	
გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები	160; 162

შემოკლება

ასსსჩ	– საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ
ბმა	– ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა
ბმამ	– საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ
ბუკ	– ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია
იხ.	– იხილე
მაგ.	– მაგალითად
მენშ	– საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ
მისთ.	– მისთანანი
მუხ.	– მუხლი, მუხლები
რედ.	– რედაქცია
საკონ	– საქართველოს კონსტიტუცია
სკ	– საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სმუშ	– საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ
სს	– სააქციო საზოგადოება
სსამ.კ	– საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1964 წ. რედ.)
სსიპ	– საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სსკ	– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სუსგ	– საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
სხვ.	– სხვა
შდრ	– შეადარე
შკ	– საქართველოს შრომის კოდექსი
შპს	– შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუსლოგრივი საკიეგელი

ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	გვერდი	ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	გვერდი	ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	გვერდი
ასსსრ	2; 3; 6	37		509	17		85	41; 76;
ბმა	8; 21; 23	71		529	14; 56			127
ბუკ	3; 5;	98		530	14; 56		86	127
	16			548	58	88-90	128	
	9	93		581	60	93	145	
მენშ	9	102; 104;		591	61	102	61; 130;	
		106		602	61		132;	
საკონ	21	37		632	62		134; 135;	
სკ	54	14; 16; 114		636	64; 65			137
	55	16		642	66	103	153	
	56	17; 19		668	69	105	136; 137;	
	59	22		850	52		144	
	128	33		930-940	69; 71	162	139	
	129	24; 26; 41		953	36	180	140; 141;	
	130	24; 26; 122		976	52; 73; 74;		152	
	137	28			76; 78	215	142; 144;	
	138	31		979	74; 76		145; 148	
	141	31		980	79	230	37; 149;	
	144	28; 43		982	76		158	
	172	33; 35		986	52; 80	232 ¹	150; 159	
	173	36		989	76	233	144; 152	
	182	33		991	130	241	144	
	289	19		992	82	272	54	
	317	38		998	54	354	93; 96;	
	325	62		999	84		153	
	341	22; 28		1006	85; 87	377	155	
	352	40; 41		1170	90	384	155	
	365	43		1197	91	385	128; 156	
	394	38; 45		1198	91	387	37; 150;	
	405	41		1199	91; 93		158; 159	
	408	44; 45;		1200	96	394	160; 162	
		82;		1201	91; 98			
		102; 109;		1202	91; 93	შკ	1	102; 104;
		117		1310	100			106
		411	40	1354	100		21	107; 109
		412	45	1488	52		26	107
		413	47				31	111
		415	62	სმუშ	17; 59		36	109
		420	48; 51; 132	სსამ.კ	73		37	109; 113;
		434	19		78			114; 116
		453	52	სსკ	73		38	102; 117;
	463	54		77			119; 121	
				84	53	122		

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

1. ბარიგებანი

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ბარიგებანი

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 529-ე და 530-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 31 მარტის განმარტება საქმეზე №ას-501-475-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა მოსარჩელესა და თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს შორის 2008 წლის 10 ივნისის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და კუთვნილი ქონების დაბრუნება. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, უნდა შეფასებულიყო – შესაძლებელია თუ არა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ჩუქება გაუქმდეს იმის გამო, რომ დასაჩუქრებულმა სათანადოდ არ იზრუნა ნაჩუქარ ქონებაზე, რითაც მჩუქებლის მიმართ გამოიჩინა დიდი უმადურობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უმადურობის გამო, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მჩუქებლის მძიმე მდგომარეობის გამო, ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების სამართლებრივ საფუძველებზე.

მოცემულ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა მასსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და ქონების უკან დაბრუნებას რამდენიმე საფუძველით, მათ შორის, იმ საფუძველით, რომ მან პროკურატურის მხრიდან ზენოლის გამო თავისი ქონება გადასცა სახელმწიფოს. სხვა მოთხოვნებთან ერთად მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნების ბათილობიდან გამომდინარე, სადავო მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დაბრუნება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ სკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უმადურობის გამო, ჩუქების ხელშეკრულების

გაუქმების, ასევე, სკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მჩუქებლის მძიმე მდგომარეობის გამო, ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლებზე, თუმცა არ შეუფასებია სადავო ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის წინაპირობები: დაცული იყო თუ არა ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფის შესაბამისი პირობები – მოსარჩელეზე ხომ არ ზემოქმედებდა ფსიქოლოგიურად პროკურატურა და ხომ არ განაპირობა ქონებაზე უარი შექმნილმა ვითარებამ; რა მოტივი ამოძრავებდა მჩუქებელს იმ უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქებისას, რომელზე საკუთრებაც ჩუქებამდე რამდენიმე თვით ადრე მოიპოვა და აღნიშნული ჩუქების ხელშეკრულების დადება, სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, არღვევს თუ არა საზოგადოებრივ მართლწესრიგს იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარე (კერძო პირი) სადავოდ ხდის მის მიერ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადებისას გამოვლენილი ნების ნამდვილობას.

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის (კასატორის) პრეტენზიის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით ყურადღება მიაქცია სადავო ჩუქების ხელშეკრულების შინაარსს და იგი განიხილა სკ-ის 54-ე მუხლის სამართლებრივ კონტექსტში.

სკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში სააპელაციო სასამართლოს მიერ პასუხგაუცემელი იყო კითხვები: სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის გაფორმებული ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მორალურ იმპერატივებსა და სუსტი მხარის ინტერესებს იმ პირობებში, როდესაც თავად სუსტი მხარე (ფიზიკური პირი) ხდის სადავოდ ხელშეკრულებას საკუთარი ნების ნამდვილობის გამო; სადავო ხელშეკრულების დადებისას, სახელმწიფოს მხრიდან დაცული იყო თუ არა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები, რომელთა ხარისხი ყველა სამართალურთიერთობაში, სადაც სახელმწიფო მონაწილეობს, განსაკუთრებით მაღალი უნდა იყოს. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია ასევე მტკიცების სტანდარტი, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ამტკიცოს მას და ფიზიკურ პირს შორის დადებული უსასყიდლო გარიგების მოტივი და მორალურ პრინციპებსა და საჯარო წესრიგთან მისი შესაბამისობა.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ბარიგებანი;

ბარიგების ბათილობა გავლენის გორბოტად გამოყენების გამომ

გარიგება ბათილია, თუ იგი არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს;

სკ-ის 55-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები კუმულაციურია და გარიგების ბათილად ცნობისათვის არაა საკმარისი მარტოდენ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის მიღებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1224-1149-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოსარჩელემ ნაწილობრივ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, სარჩელის უარყოფილ ნაწილში, ასევე, სააპელაციო პრეტენზიები წარადგინეს მოპასუხებმა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისას მიუთითა სკ-ის 54-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოხმობილი ნორმით გარკვეულწილად შეზღუდულია ადამიანის ნების გამოვლენის აბსოლუტური თავისუფლება. სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილი გარიგების ერთ-ერთ სახეს ამორალური გარიგება წარმოადგენს, რომლებიც განმარტებულია ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგებად. სასამართლოს შეფასებით, მხარეთა მიერ ვალდებულებების თანაბარი, სამართლიანი გადანაწილება გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა, მისი უგულებელყოფა კი, გარიგებათა ბათილობის საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 54-ე მუხლი გამიჯნა 55-ე და 85-ე მუხლებისაგან და იმსჯელა რომ გარიგების ამორალურად მისაჩნევად აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა ამ გარიგების დადება. საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის, რომ სასამართლომ იგი მიიჩნიოს ამორალურ გარიგებად. შესაბამისად, შეუძლებელია, გარიგების ამორალური ბუნების გამოვლიცხვა იმის გამო, რომ არ დგინდება ერთი მხარის მიმართ მეორე მიერ განხორციელებული იძულების ფაქტი. სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, არ დგინდებოდა მოსარჩელის მიმართ ძალადობა, მაგრამ მის მიერ წილის გასხვისება პირველ შპს-ში, ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო, ამორალურ გარიგებად უნდა მიჩნეულიყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 54-ე მუხლი, თავისი არსით, ზოგადი ხასიათის ნორმაა და გარიგების ბათილობის სამ განსხვავებულ, ასევე, ზოგად საფუძველზე უთითებს, კერძოდ, გარიგება ბათილია, თუ იგი არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინებით, სასამართლომ სწორედ ზნეობის საწინააღმდეგოდ, გასაკიცხ ქმედებად მიიჩნია მხარე-

თა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო და ისიც აღნიშნა, რომ ფაქტობრივად, მოსარჩელემ საკუთარი წილის ღირებულება თავისივე თანხით გადაიხადა, რაც საღ აზრს სცილდებოდა. განსახილველი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის და კონკრეტულად სადავო გარიგების ბათილად მისაჩნევად, მარტოოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება არასაკმარისი იყო და გადაწყვეტილების სამართლებრივ დაუსაბუთებულობაზე მიუთითებდა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არათუ არ უნდა გაემიჯნა სკ-ის 54-ე და 55-ე მუხლები, არამედ უნდა გამოეყენებინა გარიგების დადების დროისათვის მოქმედი ნორმით – 55-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, კუმულაციურია და გარიგების ბათილად ცნობისათვის არაა საკმარისი მარტოოდენ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის მიღებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა. სკ-ის 55-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების კვლევისას, სააპელაციო სასამართლოს ორივე წინაპირობა უნდა შეემოწმებინა დეტალურად, ანუ დასადგენი იყო ანაზღაურების აშკარა შეუსაბამობა და ის გარემოება, რომ 2011 წლის 7 თებერვლის ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ მოპასუხემ ისარგებლა საკუთარი საბაზრო ძალაუფლებით ან მოსარჩელის გულუბრყვილობით, გამოუცდელია, მისი მძიმე მდგომარეობით.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მორჩენებითი და თვალთმაქცური ბარიბება; გამოსყიდვა

მხოლოდ იმ ფაქტის დადგენა, რომ მოსარჩელეს სურდა სხვა გარიგების დადება, არ არის საკმარისი გარიგების თვალთმაქცურად მისაჩნევად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად;

გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის დადებისათვის მნიშვნელობა არა აქვს თუ რაში იყენებს ნასყიდობის თანხას გამყიდველი.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-876-834-2013 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: უძრავი ნივთის თავდაპირველმა მესაკუთრემ (მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა სამი მოპასუხის წინააღმდეგ 2011 წლის 17 თებერვლისა და 2012 წლის 16 ივნისის გარიგებების ბათილად ცნობისა და უძრავ ნივთზე საკუთრების დაბრუნების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკ-

მაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 17 თებერვალს უძრავ ნივთზე მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (გამოსყიდვის უფლებით); ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 16 ივნისს უძრავ ნივთზე მოპასუხეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებაც; უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მოსარჩელეს დაუბრუნდა და ამ ნივთზე პირველი მოპასუხის სასარგებლოდ დადგინდა იპოთეკა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 17 თებერვლის გარიგება თვალთმაქცური იყო, რადგანაც მხარეებს, სინამდვილეში, სესხის (სკ-ის 623-ე მუხლი) და არა ნასყიდობის (სკ-ის 477-ე მუხლი) ხელშეკრულების დადება სურდათ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ, მითითებული გარიგების ბათილობის გამო, სკ-ის 56.2-ის გამოყენებით, მასზე იმ გარიგების წესები ვრცელდებოდა, რომლის დასადებადაც მხარეებმა ნება გამოავლინეს, ანუ სესხისა და იპოთეკისათვის დადგენილი წესები (სკ-ის 623-ე და 289-ე მუხლები);

პალატის მოსაზრებით, რადგანაც 2011 წლის 17 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე პირველ მოპასუხეს არ შეუძენია საკუთრება უძრავ ნივთზე, ამ უკანასკნელის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებაც არ არსებობდა და მას არ ჰქონდა უფლება, მოსარჩელის თანხმობის გარეშე, მეორე და მესამე მოპასუხისათვის მიეყიდა იპოთეკის საგანი; მეორე და მესამე მოპასუხე არ წარმოადგენენ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენებს, რადგანაც მათ, 2012 წლის 16 ივნისის ხელშეკრულების დადებაამდე, იცოდნენ რომ გამსხვილებელი არ იყო მესაკუთრე (სკ-ის 185-ე მუხლის ბოლო წინადადება);

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე და მესამე მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა, არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევაც სურთ მხარეებს რეალურად. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. თვალთმაქცური გარიგება ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია, თუმცა ამ საფუძველით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სკ შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ არათუ დაამტკიცა 2011 წლის 17 თებერვალს დადებული გარიგების თვალთმაქცური ხასიათი, არამედ ისეთ ფაქტებზე მიუთითა, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა გარიგების ბათილობას, კერძოდ, მან დაადასტურა, რომ პირველ მოპასუხესთან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, ანუ მის მიერ გამოვლენილი ნება მიმართული იყო საკუთრების უფლების გადაცემისაკენ და არა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისაკენ. მხოლოდ იმ ფაქტის დადგენა, რომ მოსარჩელეს სურდა სხვა გარიგების დადება, რასაც არ

დაეთანხმა პირველი მოპასუხე, არ არის საკმარისი გარიგების თვალთმაქცურად მისაჩვენებელი და სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სკ-ის 509-ე მუხლის სამართლებრივ ბუნებაზე და განმარტა, რომ გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის დადებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რაში იყენებს ნასყიდობის თანხას გამყიდველი. მოცემულ შემთხვევაში, პირველი მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნება მიზნად ისახავდა ქონების შეძენას, მოსარჩელე კი იმ იმედით, რომ ის შეძლებდა 4 თვეში ქონების უკან გამოსყიდვას, დაეთანხმა პირველ მოპასუხეს და მას ქონებაზე საკუთრება გადასცა. რადგანაც მან დადგინდა ვადაში ვერ გამოისყიდა ნივთი, პირველი მოპასუხე გახდა ქონების სრულფასოვანი მესაკუთრე და ამ უკანასკნელს არაფერი ზღუდავდა, თავის შეხედულებისამებრ განეკარგა საკუთრება.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**თვალთმაქცური გარიგება;
ვალდებულების შეწყვეტა დეკონირებით;
იპოთეკა**

ვალდებულების შესასრულებლად მოვალეებს თანხა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე არ განუთავსებიათ, მაგრამ სამართლებრივად ამას ვერ ექნებოდა გამაწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც მათ თანხის საერთო სასამართლოების ანგარიშზე განთავსებით მკაფიოდ გამოხატეს შესრულების ნება;

იპოთეკა აქცესორული უფლებაა, ანუ ისეა დაკავშირებული კრედიტორის მოთხოვნის უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56.2, 434-ე და 289-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 6 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1212-1138-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოპასუხის მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალი წარედგინა ერთ-ერთ მოსარჩელეს და მოპასუხე ცნობილ იქნა დაზარალებულად, რომლისადმინაც მიყენებულმა ზიანმა 13 260 ლარი შეადგინა. ბრალდებულის მეუღლემ, ერთ-ერთმა მოსარჩელემ, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, კრედიტორს გადასცა 5000 ლარი, ხოლო დარჩენილი 8260 ლარის სანაცვლოდ, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე გამოსყიდვის უფლებით. მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება (გამოსყიდვის უფლებით) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, ...-ში მდებარე უძრავ ქონებებზე, რომელთა ნასყიდობის ფასი, შესაბამისად, 3260 და 5000 ლარს შეადგენდა. ნასყიდობის თანხის გადახდის ვადად ორივე უძრავი ქონების მიმართ განისაზღვრა 2014 წლის 6 აპრილი. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე სადავო უძრავ ქონებათა მესაკუთრედ აღირიცხა საჯარო რეესტრში. 2013 წლის 14 აპრილს მოსარჩელებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, კრედიტორს საკუთრებაში გადასცეს 1900 ლარი. 2014 წლის 7 აპრილს ერთ-ერთმა მოსარჩელემ საერთო სასამართლოების ანგარიშზე შეი-

ტანა 1260 ლარი და 5000 ლარი. 2014 წლის 16 აპრილს იმავე სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელეებმა დამატებით შეიტანეს 100 ლარი.

2014 წლის 15 აპრილს მოსარჩელეებმა მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს სასამართლოში და სადავო უძრავი ქონების მოპასუხის საკუთრებიდან გამოთხოვა და საჯარო რეესტრში კვლავ მათ საკუთრებაში აღრიცხვა მოითხოვეს იმ საფუძველით, რომ მათ ქონება ვადის დაცვით გამოისყიდეს. 2014 წლის 17 აპრილს მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელეთა წინააღმდეგ და სადავო უძრავი ქონებების საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელის მოპასუხეებს მათ თანასაკუთრებასა და მფლობელობაში არსებული სადავო უძრავი ქონების შეგებებული მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემა დაეკისრათ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოსარჩელეების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ერთ-ერთ უძრავ ნივთთან დაკავშირებით და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული ჩანაწერი ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და იგი აღირიცხა მოსარჩელეთა თანასაკუთრებად. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აპელანტთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, რადგან უდავოდ იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელეთა მიერ ვალდებულების შესრულების დროს – 7 აპრილს უკვე გასული იყო გამოსყიდვის 2-წლიანი ვადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: 2012 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა შემდეგი ფაქტები: 2009 წლის 19 მარტს სისხლის სამართლის საქმეზე მოპასუხის მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე ბრალი წარედგინა ერთ-ერთ მოსარჩელეს. ბრალდებულის მეუღლემ, იმავდროულად განსახილველ დავაზე ერთ-ერთმა მოსარჩელემ, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, კრედიტორს (მოპასუხე) გადასცა თანხის ნაწილი, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა კი, უზრუნველყოფილ იქნა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში მისი გამოსყიდვის უფლებით) დადებით. გამოსყიდვის ვადა შეადგენდა ორ წელს.

სააპელაციო სასამართლოს სწორედ ამ ფაქტებიდან გამომდინარე უნდა შეეფასებინა 2012 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებიც გამოეტანა. ამ შემთხვევაში, კრედიტორის (მოპასუხე) მიზანს წარმოადგენდა მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება, რისთვისაც მას ესაჭიროებოდა ბრალდებულისა და მისი ახლობლებისაგან გარკვეული სახის გარანტია, ანუ შესრულების უზრუნველყოფა, რაც განხორციელდა ყიდვა-გაყიდვის (2 წლის ვადით გამოსყიდვის უფლებით) სანოტარო წესით დამონმებული ხელშეკრულების გაფორმებით. აქედან გამომდინარე, 2012 წლის 6 აპრილს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება მიმართული იყო არა ნასყიდობის, არამედ იპოთეკის ხელშეკრულების დადებისაკენ (სკ-ის 56.2, 286.1 და 289.1 მუხლები).

ამრიგად, სასამართლოს დავის მოსაწესრიგებლად უნდა გამოეყენებინა დაფარული გა-

რიგების, იპოთეკის, მომწესრიგებელი ნორმები.

მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკა იურიდიული ძალის მქონე იყო, რადგანაც არსებობდა სსკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობები: ა) კრედიტორის ფულადი მოთხოვნა, ბ) მხარეთა შეთანხმება და გ) უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ნაწილობრივ ამართლებდა სააპელაციო (სასარჩელო) მოთხოვნას, დაუსაბუთებელი იყო. ერთმნიშვნელოვნად იქნა დადგენილი, რომ მოსარჩელები ყოველნაირად ცდილობდნენ, დროულად დაეფარათ ვალი და კუთვნილ ქონებაზე უფლება დაებრუნებინათ სახელდობრ:

2013 წლის 14 აპრილს, შესრულების ვადის დადგომამდე, მოპასუხემ ერთ-ერთი მოსარჩელისაგან მიიღო ვალის ნაწილი – 1900 ლარი. იგი თავის შესაგებელში ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ 2014 წლის მარტის ბოლოს მოსარჩელემ მას შესთავაზა 3200 ლარი, მაგრამ უარი თქვა შესრულების მიღებაზე, ვინაიდან ერთიანად ითხოვდა ვალს. მოსარჩელებმა 2014 წლის 7 და 16 აპრილს საერთო სასამართლოების ანგარიშზე შეიტანეს ვალის დარჩენილი ნაწილი 6360 ლარი იმის გამო, რომ კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას. მართალია, მათ ეს თანხა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე არ განუთავსებიათ (სკ-ის 434-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგრამ სამართლებრივად ამას ვერ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც მოსარჩელებმა ამით მკაფიოდ გამოხატეს შესრულების ნება.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში მოპასუხის ქცევა არ პასუხობდა სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტურ – ქცევის კეთილსინდისიერებისა და სოლიდარობის – პრინციპს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები; კრედიტორი ვალდებული იყო, გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ემოქმედა და მიეღო შესრულება (სკ-ის მე-8.3. და 361.2 მუხლები). იპოთეკა აქცესორული უფლებაა, ანუ ისეა დაკავშირებული კრედიტორის მოთხოვნის უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება, არსებობდეს (სკ-ის 286-ე მუხლის პირველი და 153-ე მუხლის პირველი ნაწილები). მოსარჩელებმა სრულად დაფარეს ვალი, რითაც გაუქმდა ის მოთხოვნა, რასაც უზრუნველყოფდა იპოთეკა. შესაბამისად, უძრავ ნივთზე, კრედიტორის სასარგებლოდ არსებული სანივთო უფლება, საკუთრება, უნდა გაუქმებულიყო და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეებად ისევ მოსარჩელები უნდა აღრიცხულიყვნენ.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

ფორმის დაუცველად დადებული ბარიბეზა; ვალის არსებობის აღიარება

ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები იგივე ფორმით უნდა იქნეს შეეტანილი, რა ფორმითაც იურიდიულად წარმოიშვა მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და განისაზღვრა ვალდებულების შესრულების ვადა და წესი;

თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-721-728-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ (მსესხებელმა) სარჩელი აღძრა სამი მოპასუხის (გამსესხებლების) წინააღმდეგ და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ: მის მიერ კრედიტორებისათვის გადახდილი თანხების ძირითადი თანხის ანგარიშში ჩათვლა, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება და პირგასამტეხლოს ვადის ათვლა არა 2012 წლის 19 მარტიდან, არამედ – იმავე წლის 19 ივლისიდან 2014 წლის 14 თებერვლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მსესხებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ნაწილობრივ გაუქმდა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლები, შემცირდა პირგასამტეხლო სესხის ძირითადი თანხის 0.05%-მდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 19 მარტიდან სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენამდე. სხვა ნაწილში ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლები დარჩა უცვლელად. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებული ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შემცირდა პირგასამტეხლო სესხის ძირითადი თანხის 0.01%-მდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მსესხებლის მსჯელობა ძირითადი თანხების ნაწილში ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლების არაკანონიერებასთან დაკავშირებით გასაზიარებელი იქნებოდა, რომ არა გამსესხებელთა მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმება და აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შეთანხმების თარიღზე და დაასკვნა, რომ შეთანხმება მხარეთა შორის გაფორმებულია 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ვადის ამოწურვისა და მსესხებლის მიერ სამივე გამსესხებლისათვის თანხე-

ბის გადახდის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მსესხებელი 05.10.2013 წლის შეთანხმებაში მაინც აფიქსირებს, რომ გადასახდელი აქვს 2010 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხები. 2013 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმებაში მსესხებლის მიერ გამოვლენილი ნება, რომ მისი დავალიანება პირველი და მეორე გამსესხებლების წინაშე, თითოეულის სასარგებლოდ კვლავ იყო – 10 000 აშშ დოლარი, მესამე გამსესხებლის წინაშე კი – 15 000 აშშ დოლარი, ფაქტობრივად არის აღიარება, შესაბამისად, 2013 წლის 5 ოქტომბრის მონაცემებით, გამსესხებელთათვის გადახდილი თანხები, მსესხებლის გამოვლენილი ნებით მიჩნეულ იქნა პირგასამტეხლოს და არა ძირითადი თანხის გადახდად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიაჩნია კასატორის არგუმენტები, რომ მის მიერ კრედიტორებისათვის გადახდილი თანხები, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, უნდა ჩათვლილიყო, ძირითადი თანხის ნაწილში. საკასაციო სასამართლომ ასეთი დასკვნა გამოაქვეს საქმეში განთავსებული 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, როგორც ხელშემკვრელი მხარეების გამოვლენილი ნების საფუძველზე შეთანხმებული პირობების ანალიზის შედეგად, კერძოდ, გარიგების მონაწილე მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, არც სარგებლის გადახდაზე და არც ჯარიმაზე.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები 2013 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმების ვალის აღიარებად შეფასებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ კრედიტორებსა და მოვალეს შორის მარტივი წერილობითი ფორმით ხელმოწერილი შეთანხმება არ არის ახალი გარიგება, რომელიც აბათილებს, იმავე მხარეთა შორის, სანოტარო წესით შედგენილ და დადასტურებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას. ამასთან, ნოტარიუსმა სააღსრულებო ფურცლები გასცა სწორედ ამ უკანასკნელი, სანოტარო წესით დამოწმებული, ხელშეკრულების და არა მხარეთა 05.10.2013 შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმება, თავისი არსით, ბათილი გარიგებაა და ვერ დაადგენდა 19.11.2010წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღსასრულებელ ვალდებულებასა და მის მოცულობას, რადგან არ არის ნამდვილი. ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ, 05.10.2013წ. შეთანხმებაზე მსჯელობისას, ბათილ გარიგებად განიხილა ის, არა მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობის საფუძველზე, არამედ იმ არგუმენტაციით, რომ აღსასრულებელი ვალდებულების გადასახდელოდ, მოვალისათვის მპოჭავი სამართლებრივი საფუძველი აქვს 19.11.2010 სანოტარო წესით დადასტურებულ ხელშეკრულებას, რომელშიც ცვლილებები და დამატებები იმავე ფორმით უნდა შეეტანათ ხელშემკვრელ მხარეებს, რა ფორმითაც იურიდიულად წარმოიშვა მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა და განისაზღვრა ვალდებულების შესრულების ვადა და წესი (სკ-ის 59-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ, ასევე, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომელიც უკავშირდება მოვალის მიერ თითქოსდა კრედიტორთა წინაშე არსებული ვალდებულების აღიარებას და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის 2013 წლის 5 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმება არ შეიძლება განხილული იქნეს ვალის აღიარებად. სკ-ის 341-ე მუხლის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ, დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი

ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს, ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ და აღნიშნული გარიგებით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია, ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, შესრულების მოთხოვნა, ვალის აღიარება არ არსებობს.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მოვალესა და კრედიტორითა შორის 2013 წლის 5 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმება არის მრავალმხრივი გარიგება, სადაც მხარეებმა მათ შორის უკვე არსებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თითქოსდა იკისრეს ძირითადი ვალდებულებიდან (2010 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან) გამომდინარე ურთიერთობის მოწესრიგება, მოვალისადმი შესრულების მოთხოვნის წესის განსაზღვრა, რაც ვერ იქნება განხილული მოვალის მიერ ნების ცალმხრივად გამოვლენის საფუძველზე, ვალის აღიარებად.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შემცირდა მსესხებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულების მოცულობა სესხის ძირითადი თანხის გადახდის ნაწილში.

2. ხანდაზმულობა

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა;

ხანდაზმულობის ვადის დანყება

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება ისაა, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-183-176-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების – 194 294.32 აშშ დოლარის, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოსა და ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, 15 თვის იჯარის ქირის სახით 97 250.000 აშშ დოლარის, ჯამში: 291 554.00 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის (მეორე საწარმოს) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გა-

უქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შედეგად, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 17 250 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება, ფაქტობრივად, შეწყდა 2012 წლის 2 მაისს. ასევე, დადგენილია, რომ მოპასუხემ, 2011 წლის იანვრის ჩათვლით გადაიხადა ქირა, ხოლო 2011 წლის იანვრიდან 2012 წლის 2 მაისამდე, ანუ ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, 15 თვის მანძილზე (თვეში 1150 აშშ დოლარი), მას ქვეიჯარის თანხა არ გადაუხდია, რის გამოც მოსარჩელემ განიცადა 17 250 აშშ დოლარის ზიანი. მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება სწორედ იმ თანხის ფარგლებში, რაც მოპასუხეს უნდა გადაეხადა ქვეიჯარის ქირის სახით, 17 250 აშშ დოლარი ამავე ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და, სკ-ის 129-ე, 130-ე მუხლების საფუძველზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 1 აგვისტოს ქვეიჯარის ხელშეკრულება (რომლის ვადა 5 წელი იყო) შეწყდა 2012 წლის 2 მაისს, ხოლო სარჩელი აღძრულია 2014 წლის 14 აგვისტოს, მიიჩნია, რომ არ იყო გასული კანონით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის საკასაციო პრეტენზია მოსარჩელის მოთხოვნის ნაწილობრივ ხანდაზმულობის თაობაზე და მიიჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორის მიერ დასაბუთებული საკასაციო შედეგება იყო წარმოდგენილი.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილი, რამაც საქმეზე ნაწილობრივ არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა (სსკ-ის 393.1-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ქვეიჯარის ხელშეკრულება 2012 წლის 2 მაისს შეწყდა. ქვემოიჯარის მიერ 2011 წლის 1 იანვრამდე საიჯარო ქირა, ყოველთვიურად 1150 აშშ დოლარი, გადახდილია. მეორე საწარმომ სარჩელი 2014 წლის 14 აგვისტოს აღძრა. სააპელაციო სასამართლომ პირველ მოპასუხეს 15 თვის ქირის გადახდა დააკისრა.

სკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში არსებობს ვალდებულება, რომლის შესრულება მოვალის მხრიდან გარკვეული პერიოდებით განისაზღვრება. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება ისაა, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

საკასაციო სასამართლო მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებლის არსებობის გამო, იზიარებს მოპასუხის პრეტენზიას, რომ საიჯარო ქირის მოთხოვნა ნაწილობრივ არ არის განხორციელებადი, კერძოდ, 2011 წლის თებერვლიდან 2011 წლის აგვისტოს ჩათვლით, ე.ი. 7 (შვიდი) თვის ქირის მოთხოვნა ხანდაზმულია.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, რვა თვის (2011 წლის სექტემბრიდან 2012 წლის მაისამდე) გადაუხდელი საიჯარო ქირის 9200 აშშ დოლარის გადახდა.

სახელუქრულეპო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის. პირს ყოველთვის შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა მაშინაც კი, როცა ხანდაზმულობის ვადა გასულია;

ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით;

ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია ვადის ათვლის დაწყების მომენტის განსაზღვრა, რაც მოვალის მიერ ხანდაზმულობის ფაქტზე მითითების შემთხვევაში სასამართლოს გამოსაკვლევი და დასადგენია.

- საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964წ. რედ.) 73-ე და 78-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-579-554-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა გამყიდველის მემკვიდრის წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის 9 906 (ცხრა ათას ცხრაას ექვსი) ლარის დაკისრება. მოპასუხემ როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე მისი განხორციელების ხელისშემშლელი (ხანდაზმულობის) შესაგებელი წარადგინა.

თეთრინყაროს რაიოული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა 5 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ასევე, სახელმწიფო ბაჟის – 298 ლარის ანაზღაურება.

ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ სკ-ის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მიუთითა, რომლის თანახმად ხანდაზმულობის საერთო ვადა 10 წელია, ხოლო 130-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სასამართლომ იმსჯელა მოპასუხის მტკიცებაზე, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო და დაასკვნა, რომ გამყიდველის გარდაცვლილად გამოცხადებამდე, მოსარჩელეს არ შეეძლო, მიემართა მისთვის, მოეთხოვა ვალდებულების შეს-

რულება ან განესაზღვრა ვალდებულებებზე პასუხისმგებელი პირი. ასეთი შესაძლებლობა მას მამკვიდრებლის გარდაცვლილად გამოცხადების დროიდან მიეცა. ამ დროიდან წარმოეშვა მოთხოვნის უფლება და მიიღო რა შესრულებაზე უარი, კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადაში – 2014 წლის 22 ივლისს მიმართა სასამართლოს, შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო პრეტენზია და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ მხარეები არ დავობდნენ, რომ უძრავი ქონების გამყიდველი გარიგების დადებიდან მალევე გაემგზავრა საზღვარგარეთ და იგი აღარ დაბრუნებულა. არც ერთი მტკიცებულებიდან არ იკვეთებოდა, რომ მოპასუხე მოსარჩელისაგან ითხოვდა ქონების დაბრუნებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული მსჯელობა, რომელიც უკავშირდებოდა 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამის მონესრიგებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობისა და სამართლებრივი შეფასების საგანია ის გარემოება, რომ ბათილი გარიგების საფუძველზე გადაცემული თანხის (ნასყიდობის საფასურის) დაბრუნების ვალდებულება წარმოეშვა თუ არა მამკვიდრებლის მემკვიდრეს, რომელიც მოცემულ დავაში მოპასუხეა, რადგან მისგან მოსარჩელე ითხოვდა 1993 წლის ბათილი გარიგების საფუძველზე გადაცემული ქონების ღირებულების დაბრუნებას.

მოპასუხემ შესაგებლის წარდგენის ეტაპზე არა მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნის გამომრიცხველ გარემოებებზე მიუთითა, რაც ქვემდგომმა სასამართლოებმა არ გაიზიარეს, არამედ – მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც, შესაბამისად, სწორედ ამ ნაწილში მიიჩნია საკასაციო სასამართლომ, რომ, მიუხედავად მოსარჩელის მოთხოვნის უფლების არსებობისა (დაიბრუნოს სადავო ქონების /მასალის/ შესაძენად გადაცემული თანხა), იგი განხორციელებადი აღარ იყო მისი ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე არანამდვილი (ბათილი) გარიგების საფუძველზე გამყიდველისათვის (ან გარდაცვლილი მამკვიდრებლისათვის) გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაწყების ათვისების წერტილად მიჩნეულ უნდა იქნეს მხარეთა შორის გარიგების დადების მეორე დღე – 1993 წლის 17 იანვარი (სსამ.კ-ის 73-ე მუხლით ვადის მიმდინარეობა იწყება კალენდარული თარიღის მომდევნო დღიდან ან იმ მოვლენის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი). სსამ.კ-ის 75-ე მუხლი ადგენდა სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადას იმ პირის უფლების დასაცავად, რომლის უფლებაც დაირღვა 3 (სამი) წლით, მე-80 მუხლით კი, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად მიიჩნეოდა სარჩელის უფლების წარმოშობის დღე; ხოლო სარჩელის უფლება წარმოიშობოდა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მტკიცებების საწინააღმდეგოდ, რომ მან მამკვიდრებლის გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ აღძრა სარჩელი, რადგან შეიტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, არამართებულად იქნა გაზიარებული გასაჩივრებული განჩინებით, რადგან საცხოვრებელი სახლის გასხვისების წინაპირობებს სსამ.კ განსაზღვრავდა 239-ე და 240-ე მუხლების საფუძველზე, ხოლო 48-ე მუხ-

ლით ბათილად მიიჩნეოდა გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა, ამასთან, „ბათილი გარიგების თითოეული მხარე მოვალეა, დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიიღო, ხოლო, როცა მიღებულის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულით, თუ კანონში არ არის გათვალისწინებული გარიგების ბათილობის სხვა შედეგი“. ამდენად, სსამ.კ-ის საფუძველზე, მყიდველის უფლება სარჩელზე, მოეთხოვა ბათილი (უკანონო) გარიგების საფუძველზე გამყიდველისათვის გადახდილი თანხის დაბრუნება, წარმოიშვა 1993 წლის 17 იანვარს, რაც ხანდაზმული გახდა 1996 წლის 18 იანვარს, რადგან საცხოვრებელი სახლის თაობაზე დადებული გარიგების ბათილობას (არანამდვილობას) კანონი ადგენდა, აქედან გამომდინარე, გამყიდველისათვის გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა მყიდველს (მოსარჩელეს) შეეძლო 1996 წლის 18 იანვრის ჩათვლით, რაც მას არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელს წარმატების პერსპექტივა არ გააჩნდა, რადგან ფორმალური გარიგების საფუძველზე, მამკვიდრებლისათვის 16.01.1993 წელს გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა ხანდაზმული გახდა სსამ.კ-ის 78-ე მუხლის ხანდაზმულობის სპეციალური ვ-წლიანი ვადის გასვლისთანავე, ანუ 1996 წლის 18 იანვარს, ამდენად, იგი დაგვიანებული და განუხორციელებადი იყო.

საკასაციო სასამართლოს გადანტვეტილებით გასაჩივრებული გადანჩინების შეცვლით მიღებულ იქნა გადანყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა;

ვალდებულებების პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას;

ვალის არსებობის აღიარება

ვალდებულების სხვაგვარად აღიარების საკითხი შეფასებითი კატეგორიაა და, კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებათა სრული ანალიზით უნდა დადგინდეს. სხვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით.

სკ-ის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა;

სკ-ის 341-ე მუხლის გაგებით, ვალის აღიარება არ ვლინდება, როდესაც მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე, 144-ე და 341-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 27 მაისის განმარტება საქმეზე №ას-383-364-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა ელექტროენერჯის ღირებულების –

2238.99 ლარის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლო განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ მოთხოვნის გაქვითვის შესახებ მოპასუხის წერილობითი მიმართვა ფულადი ვალდებულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნია და სწორედ მასზე დაყრდნობით არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა კასატორის (მოპასუხე) არგუმენტები და სადავო მტკიცებულების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიზნით, ყურადღება გაამახვილა ვალდებულების არსებობის აღიარების საკითხზე სკ-ის 137-ე, 144-ე და 341-ე მუხლების კონტექსტში:

სკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევათა რიცხვს მიეკუთვნება მოვალის იმგვარი ქმედება, როდესაც იგი (ვალდებული პირი) უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. პალატამ აღნიშნა, რომ ვალდებულების სხვაგვარად აღიარების საკითხი შეფასებითი კატეგორიაა და, კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებათა სრული ანალიზით უნდა დადგინდეს. მოვალის ასეთ ქმედებად – სხვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც ამკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით (მაგ. სუსგ №ას-330-733-06, 19.12.2006 წელი). ერთმანეთისაგან განსხვავდება მარტივი, კაუზალური და აბსტრაქტული აღიარება. როგორც მარტივი, ისე – კაუზალური აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და შედეგად, სკ-ის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო გაითვალისწინება, არამედ ვადა დაიწყება თავიდან. სკ-ის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. ჩნდება კითხვა – ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ ვალის მარტივ ან კაუზალურ აღიარებას აქვს თუ არა იურიდიული ძალა? საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ საკითხის მოგვარებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლივად განიმარტება, კერძოდ, 144.2 მუხლის თანახმად, თუკი მოვალე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ შეასრულებს ვალდებულებას, იგი შესრულების დაბრუნების მოთხოვნის უფლებას კარგავს, ასეთ შემთხვევაში, შესაგებელში არ შეიძლება იყოს მათ შორის იმაზე მითითება, რომ შესრულების მომენტში არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტის შესახებ, ანალოგიური ძალისაა მოვალის მიერ ვალდებულების აღიარება მოთხოვნის იძულებითი განხორციელების ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ეს აღიარება შეიცავს პირის გაცნობიერებულ ნებას, რომ იგი ვალდებულებას შეასრულებს. ეს რეგულაცია ვრცელდება ვალის როგორც მარტივ, ისე – კაუზალურ აღიარებაზე.

სკ-ის 341-ე მუხლით მონესრიგებული ვალის არსებობის აღიარება 137-ე და 144.3 მუხლებით გათვალისწინებული აღიარებისგან აბსტრაქტული ბუნებით განსხვავდება, იგი თავად წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას და დამოუკიდებელ ვალდებულებას წარმოშობს. ვალის აღიარების ხელშეკრულება, ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადავოობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სკ-ის 341-ე მუხლის გაგებით, ეს არ არის ვალის აღიარება, რო-

დესაც მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას (იხ. სუსგ □ას-392-371-2013, 8.11.2013 წელი). ვალის აღიარების ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნება იმ კუთხითაც განსხვავდება ვალდებულები პირის სხვაგვარი აღიარებისაგან, რომ სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ნამდვილია, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ დამოუკიდებლად აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენა.

საკასაციო პალატამ გაითვალისწინა მოპასუხის მიერ შესაგებელში გამოთქმული შედეგება, რომელიც იმდენად არსებითი ხასიათისაა, რომ მოთხოვნის განხორციელებას აფერხებს, კერძოდ, შესაგებლის თანახმად, მოთხოვნა (დავალიანება) წარმოშობილია 2007 წლამდე, სარჩელი კი სასამართლოში აღძრულია 2014 წელს. დავალიანების წარმოშობის თარიღი მოსარჩელეს სადავო არ გაუხდია, უფრო მეტიც, მოვალისათვის გაგზავნილ წერილს ერთვის აბონენტის ბარათი, რომლის თანახმადაც, წერილითა და წინამდებარე სარჩელით მოთხოვნილი დავალიანება – 2 238,99 ლარი მოპასუხე საწარმოს წარმოეშვა 2007 წლის 7 ივნისს, ხოლო სასამართლოს სარეგისტრაციო შტამპზე სარჩელის წარდგენის თარიღად მითითებულია 2014 წლის 3 აპრილი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება, საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისევე, როგორც ძველი მფლობელის ხელში იყო. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსარჩელემ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაანაცვლა მოვალის ძველი კრედიტორი და თავად ვალდებულებას სხვა რაიმე ცვლილება არ მოჰყოლია. ეს გარემოება შეეხება მოთხოვნის წარმოშობისა და მის განხორციელების ფარგლებსაც. იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ დავალიანება წარდგენის ხელშეკრულების ფარგლებშია წარმოშობილი, თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის საკითხის გადანაცვლისას გამოყენებული უნდა იქნეს სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ვადა. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, თავდაპირველი კრედიტორის მოთხოვნა (სკ-ის 130-ე მუხლი) წარმოიშვა 2007 წლის 7 ივნისს და ამოიწურა 2010 წლის 7 ივნისს. უდავოა ისიც, რომ სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია 2014 წლის 3 აპრილს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით;
ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან

საკითხის სადავოობა, ვარგისია თუ არა ერთ-ერთი მხარის მიერ გამოხატული ნება საარბიტრაჟო განხილვისათვის, არ შეიძლება, შეფასდეს იმგვარად, რომ არბიტრაჟი არ წარმოადგენს სამოქალაქო უფლების დაცვისათვის კომპეტენტურ ორგანოს, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც სარჩელი განხილულია არბიტრაჟის მიერ და არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე;

სასამართლოს გადაწყვეტილებით, საარბიტრაჟო განხილვის შედეგის ბათილობა, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სკ-ის 141-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა ათვისის საფუძველს ქმნის.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 138-ე და 141-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 12 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-196-187-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: 2010 წლის 15 თებერვლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მოვალეს, სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაეკისრა თანხის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

2013 წლის 20 ივნისს მოპასუხემ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რაც 2013 წლის 18 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა და გაუქმდა არბიტრაჟის გადაწყვეტილება. არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ არბიტრაჟი არ იყო უფლებამოსილი, განეხილა ხსენებული დავა, რადგანაც არ არსებობდა კანონმდებლობით დადგენილი წესით დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ ნამდვილი შეთანხმება.

2014 წლის 20 იანვარს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრება, ასევე იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებითი რეალიზაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 128-ე, 129-ე, 130-ე, 138-ე, 139-ე, 140-ე, 144-ე მუხლები. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა აპელანტმა (მოსარჩელე). სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასებები, რომლის მიხედვითაც, გაზიარებულ იქნა მოპასუხეების პოზიცია სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. მოპასუხეები მიუთითებდნენ, რომ მოსარჩელემ გაუშვა უფლების სასამართლოს მეშვეობით რეალიზაციის კანონით დადგენილი ვადა. მას მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2009 წლის 5 მარტს, ხოლო სასამართლოს სარჩელით 2014 წლის 20 იანვარს, სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: კასატორის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ სასამართლომ ისე გაიზიარა მოპასუხის შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის თა-

ობაზე, რომ არ გაითვალისწინა დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით წყდება ხანდაზმულობის ვადა: „სამოქალაქო სარჩელის განხილვისათვის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს როგორც სასამართლო, ისე კერძო არბიტრაჟი მხარეთა მიერ ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში. მართალია, სამართალწარმოება საქართველოში ხორციელდება საერთო სასამართლოების მეშვეობით, მაგრამ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის შემოღებით უზრუნველყოფს სამართალწარმოების ალტერნატიულ საშუალებას. ამავე დროს, სასამართლო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი ერთ-ერთი შტო, უფლებამოსილია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გადასინჯოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და შეამოწმოს პირის უფლების ხელყოფის ფარგლები. საკითხის სადავოობა, ვარგისია თუ არა ერთ-ერთი მხარის მიერ გამოხატული ნება საარბიტრაჟო განხილვისათვის, არ შეიძლება, შეფასდეს იმგვარად, რომ არბიტრაჟი არ წარმოადგენს სამოქალაქო უფლების დაცვისათვის კომპეტენტურ ორგანოს, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც სარჩელი განხილულია არბიტრაჟის მიერ და არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სადავოობა წარმოადგენს სასამართლოში დამოუკიდებელი განხილვის საგანს. მასთან დამოკიდებული გარემოებების შეფასება მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას. ასეთი სახის პრეტენზიის არსებობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ ვერ გახდება არბიტრაჟის არაკომპეტენტურობის ცალსახად დადგენის საფუძველი. ასეთი დასკვნის საარბიტრაჟო განხილვის ეტაპზე გამოტანის შეუძლებლობა კი, გამორიცხავს სარჩელის განხილვისათვის არბიტრაჟის არაკომპეტენტურ ორგანოდ მიჩნევას. ამასთან, სკ-ის 138-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას უკავშირებს სარჩელის შეტანას. სარჩელის განხილვისათვის კი, როგორც აღინიშნა, კომპეტენტური შეიძლება იყოს როგორც სასამართლო, ასევე – კერძო არბიტრაჟი. სკ-ის 129-ე, 130-ე, 138-ე მუხლებზე დაყრდნობით უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით შეწყდა შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, საარბიტრაჟო განხილვის შედეგის ბათილობა კი ქმნიდა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, სკ-ის 141-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა ათვლის საფუძველს (სუსგ №ას-1728-1710-2011, 23 იანვარი, 2012 წელი).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორმა არბიტრაჟს მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე კანონით დადგენილ ვადაში მიმართა. მის სასარგებლოდ მიღებული 2010 წლის 15 თებერვლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 2013 წლის 18 ივლისს, 2014 წლის 20 იანვარს კი, კასატორმა მოპასუხეების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი წარადგინა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რადგანაც ის არ შეესაბამება სკ-ის 138-ე მუხლის პირველი წინადადებას: „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად“ და 139-ე მუხლის პირველი ნაწილს: „ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება“. შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა გაეთვალისწინებინა შეწყვეტამდე განვლილი დრო და სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაეწყო თავიდან, ანუ 2013 წლის 18 ივლისიდან (სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი და 141-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

3. საკუთრება

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა;

სასაზღვრო ნაგებობით სარგებლობის უფლება;

სასარჩილო ხანდაზმულობა

ნეგატორული სარჩელი დაკმაყოფილება იხეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნივთის მესაკუთრე, რომლის საკუთრების ხელყოფა ან საკუთრების გამოყენებაში სხვაგვარი ხელშეშლა ხორციელდება სხვა პირის უკანონო მოქმედებით;

ნეგატორული სარჩელზე ხანდაზმულობის გავრცელება დაუშვებელია და მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღუდავი დანაწესისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172.2 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 182.4 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1041-998-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სასარჩილო მოთხოვნა უკანონო ხელშეშლის აღკვეთის, კერძოდ, მიწის ნაკვეთების გამყოფი საზღვრის კედელში გამოჭრილი კარის ღიობის ამოშენებისა და სასაზღვრო კედლის პირვანდელი სახის აღდგენის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, ვიდრე ერთ-ერთი მეზობელი დაინტერესებულია სასაზღვრო ნაგებობის არსებობით, დაუშვებელია მისი აღება ან შეცვლა მეზობლის თანხმობის გარეშე. განსახილველ შემთხვევაში, პალატამ აღნიშნა, რომ სასაზღვრო ნაგებობა რამდენიმე წელია არსებობს სადავო კართურთ და მოპასუხე დაინტერესებულია მისი ამგვარი სახით არსებობით; სადავო კარის ამოშენება გულისხმობს სასაზღვრო ნაგებობის შეცვლას, რაც სკ-ის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ კარის არსებობა აპელანტთა (მოსარჩელეთა) საკუთრების უფლებას ვერ შელახავს, თუ ამ კარის გავლით მოპასუხე არ ეცდება, გამოიყენოს აპელანტთა მიწის ნაკვეთი. ამდენად, აპელანტთა საკუთრების უფლება შეიძლება, შელახოს მხოლოდ ამ აქტიურმა ქმედებამ და არა უბრალოდ კარის არსებობამ. ჩგარდა აღნიშნულისა, სასამართლომ სარჩელი მიიჩნია ხანდაზმულად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა წარმო-

ადგენს ნეგატორულ სარჩელს, რომელიც, მესაკუთრის დაცვის მიზნით, მიმართულია უფლების დამრღვევი პირის წინააღმდეგ. სასამართლო ამ ტიპის სარჩელის განხილვისას ადგენს არა რაიმე ახალ უფლებას (ანესებს, ცვლის, წყვეტს და სხვა), არამედ მოდავე სუბიექტთა უფლებრივი მდგომარეობის შეუცვლელად სამოქალაქო უფლების სწორი რეალიზაციის წესს განსაზღვრავს. აღნიშნული ტიპის სარჩელი დაკმაყოფილდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნივთის მესაკუთრე, რომლის საკუთრების ხელყოფა ან საკუთრების გამოყენებაში სხვაგვარი ხელშეშლა ხორციელდება სხვა პირის უკანონო მოქმედებით.

მოცემულ საქმეში სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ: (1) მოპასუხე, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სარგებლობს მოსარჩელეთა კუთვნილი მიწის ნაკვეთით; (2) მოსარჩელებისა და მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთების გამყოფი საზღვრის კედელში გამოჭრილი კარი ის საშუალებაა, რომლითაც მოპასუხე მოსარჩელების საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთში აღწევს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის ოჯახის წევრების მიერ კედელში გაჭრილი კარის მეშვეობით მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში შესვლა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრეთა ნების საწინააღმდეგოდ, ხელყოფს მესაკუთრეთა უფლებას – არ დაუშვან სხვა პირის მიერ მათი ქონებით სარგებლობა. კარი კი საშუალებაა, რომლითაც ხორციელდება ზემოაღნიშნული ხელყოფა. შესაბამისად, კარი წარმოადგენს დარღვევის წყაროს. დარღვევის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლება კი მოიცავს დარღვევის წყაროს აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები და უსაფუძვლად უთხრა უარი მოსარჩელებს უძრავი ქონებების გამყოფ საზღვრის კედელში გამოჭრილი კარის ღიობის გაუქმებისა და სასაზღვრო კედლის პირვანდელი სახით აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორების მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ, სასაზღვრო ნაგებობაში გამოჭრილი კარის ღიობზე მსჯელობისას, არასწორად გამოიყენა და განმარტა სკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი. აღნიშნული მუხლის დანაწესი არეგულირებს მეზობელი მიწის ნაკვეთების გამმიჯვნელ სასაზღვრო ღიობის აღებისა და შეცვლის წესს მაშინ, როცა ერთ-ერთი მეზობელი დაინტერესებულია მისი არსებობით და იგი მოცემული შემთხვევის მოსაგვარებლად არ გამოიყენება.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა კასატორების მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ მართებული არ იყო.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ნეგატორული სარჩელზე ხანდაზმულობის გავრცელება დაუშვებელია და მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება, იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღუდავი დანაწესისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ უთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადები არ უნდა გავრცელდეს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნაზე, თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ ნეგატორულ სარჩელთან მიმართებით, ხანდაზმულობის ვადები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, მესაკუთრეს საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს იქამდე, სანამ ხელშეშლა გრძელდება, თუნდაც ხელშეშლა უსასრულოდ გრძელდებოდეს, ხოლო ხელშეშ-

ლის აღკვეთის შემდეგ ნეგატორული სარჩელის წარდგენა შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

ვინდიკაციური სარჩელი

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (ვინდიკაციური სარჩელი) მესაკუთრის უფლების დაცვის აღიარებული საშუალებაა. ამ სარჩელს მესაკუთრე მაშინ იყენებს, როდესაც შელახულია ნივთზე მისი მფლობელობა, სახელდობრ, როცა მესაკუთრის ქონება უკანონო მფლობელის ხელთაა. ვინდიკაციური სარჩელის არსი საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან მომდინარეობს, რაც გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის, მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-707-677-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და, ახალი გადაწყვეტილებით, მყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა სადავო უძრავი ქონება.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, დადასტურებული იყო, რომ სადავო უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო მოსარჩელის საკუთრების უფლება, ხოლო მოპასუხე ფლობდა ქონებას. ამასთან, მოპასუხემ ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მისი ფლობის მართლზომიერებას მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ სადავო უძრავ ქონებაზე. აღნიშნულის საფუძველზე, იკვეთებოდა ვინდიკაციური სარჩელის დასაკმაყოფილებლად საჭირო ფაქტობრივი შემადგენლობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დაასკვნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მინის ნაკვეთის არამართლზომიერი მფლობელი იყო, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, მოსარჩელისა და მოპასუხის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, თითოეულს მინიჭებული ჰქონდა უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი (სკ-ის 311-312 მუხლები), ამდენად, ვინდიკაციური სარჩელის დასაკმაყოფილებლად სავალდებულო სამი წინაპირობა არ არსებობდა (1. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; 2. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი; 3. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გამოსაკვლევი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 31.08.2010წ. წერილი, რადგან სადავო მინის ნაკვეთზე მხარეთა უფლებრივი მდგომარეობის დასადგენად უნდა გარკვეულიყო თითოეული მათგანის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

გარდა ამისა, მოპასუხის მიერ სადავო ნივთის ფლობის მართლზომიერების შესწავლისა და შემოწმების მიზნით, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გა-

მოკვლევის პროცესისათვის, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, საქმის მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მხარეთა საკუთრების უფლებით აღრიცხული მიწის ნაკვეთების ფაქტის გადაფარვის გამოკვლევას, რაც უდავო იყო, თუმცა არ იყო დადგენილი სადავო ნაკვეთი სრულად, თუ მისი რომელიმე ნაწილი იყო ზედდებული მეორე ნაკვეთთან.

საპელაციო სასამართლოს, საქმის ხელახლა განხილვისას, უნდა გამოეკვლია 1. გამყიდველს ჰქონდა თუ არა 2009 წელს საკუთრების უფლება ორ მიწის ნაკვეთზე, მათგან რომელი რა მონაცემებს მოიცავდა; 2. ამის შემდეგ გამოსაკვლევი იყო მოსარჩელისა და მოპასუხის მიწის ნაკვეთთა ზედდების ფაქტი 3. დამატებით იყო გამოსაკვლევი, თითოეული მესაკუთრის უფლება რეგისტრაცია როდის და უფლების დამდგენი რომელი დოკუმენტის საფუძველზე იყო დარეგისტრირებული.

პასუხისმგებლობა თანასაკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთისას

თანასაკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის, ასევე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე წარდგენილ პრეტენზიაზე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალოდ ხელმყოფი, ანუ პირი, რომლის ქმედების უშუალო შედეგსაც წარმოადგენს მესაკუთრის გარანტირებული უფლების ხელყოფა.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე და 953-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-603-578-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოპასუხეებს დაევაღათ ქ.თბილისში, ეზოში მდებარე საერთო სარგებლობის ონკანის მკვებავი მილისა და საპირფარეოს აღდგენა პირვანდელი სახით, კერძოდ, თვითნებურად ჩაჭრილი ონკანის მკვებავი მილის აღდგენა და საპირფარეოს გასუფთავება ქვიშა-ცემენტის ხსნარისაგან. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით. სარჩელზე პასუხისმგებელ პირებად მიჩნეულ იქნენ ნივთის თანამესაკუთრეები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვისას ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მხარე თავადვე ადასტურებდა ონკანის მკვებავი მილის ჩაჭრასა და საპირფარეოს ქვიშა-ცემენტის ხსნარით ამოვსების ფაქტს, თავის მხრივ, ეს გარემოება დადგენილია სააპელაციო პალატის მხრიდან, რომლის თაობაზე შედავებას საკასაციო საჩივარი არ შეიცავს. სკ-ის 953-ე და 173-ე მუხლების დისპოზიციიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ თანასაკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის, ასევე, პირვანდელი სახით აღდგენის თაობაზე წარდგენილ პრეტენზიაზე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალოდ ხელმყოფი, ანუ პირი, რომლის ქმედების უშუალო შედეგსაც მესაკუთრის გარანტირებული უფლების ხელყოფა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა ნ.თ-ს მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა;

კომპენსაციის ოდენობა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევისას

კომპენსაციის სახით შთავაზებული სხვა ქონების საბაზრო ღირებულება ან საკომპენსაციო თანხა უნდა იყოს წინასწარი, სრული და სამართლიანი და არ უნდა იყოს ექსპროპრიაციის მიერ შეფასების შედეგად განსაზღვრულ თანხაზე ნაკლები.

- „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლები
- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე და 387-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-727-695-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა:მესაკუთრემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმეული ქონების რეალურ ღირებულებასა და კომპენსირებულ თანხას შორის არსებული სხვაობის ანაზღაურება, ასევე, სასამართლო ხარჯების დაკისრება მოპასუხისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხემ.

სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 24 აპრილს, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა მოპასუხის მიმართ, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე; მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, მონინაალმდეგის შუამდგომლობის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობების მართებულობაზე (სსკ-ის 387-ე, 230-ე მუხლები) და დამატებით აღნიშნა: აპელანტის (მოპასუხის) მონინაალმდეგე მხარის (მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარში მითითებული და, აპელანტის მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ნაწილობრივ ამართლებდა მოთხოვნას;

სასამართლომ იხელმძღვანელა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლებით, სსკ-ის 312-ე მუხლით და მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომლითაც მესაკუთრე ითხოვდა სახელმწიფოს საკუთრებად აღრიცხული 42.09 კვმ სარდაფის სართულისა და 123 კვ.მ მიწის ნაკვეთის საექსპროპრიაციო ღირებულების მიკუთვნებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ნაწილობრივ ამართლებდა მოთხოვნას, არ გამომდინარეობდა განსახილველი სამართა-

ლურთიერთობიდან, რადგან სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და სპეციალური კანონით მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობას, ამდენად, მოთხოვნის იურიდიული საფუძველი უდავო იყო, მხარეთა შორის არც ის იყო სადავო, რომ ექსპროპრიაციის უფლება, სწორედ სპეციალური კანონის საფუძველზე, სასამართლოს გადანყვეტილებით მიენიჭა მოპასუხეს, რამაც მესაკუთრისათვის, ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ, კომპენსაციის მიღების წინაპირობა წარმოშვა, სპეციალური კანონითვე დადგენილი საფუძვლების დაცვით.

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი იყო, რომ მესაკუთრე არ დაეთანხმა მოპასუხის მიერ შეთავაზებულ კომპენსაციას, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოპასუხემ მესაკუთრეს მაინც ჩაურიცხა საკომპენსაციო თანხა. მესაკუთრე კი, როგორც სააპელაციო საჩივარში, ისე საკასაციო განაცხადში უთითებდა, რომ იგი არ ეთანხმებოდა საკომპენსაციო თანხას. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოთხოვნა იურიდიულად ნაწილობრივ იყო გამართლებული, დაუსაბუთებელი იყო, რადგან მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ქვეყნის ძირითადი და სპეციალური კანონები იყო, ხოლო საკომპენსაციო თანხასთან დაკავშირებით საქმეში განთავსებული მტკიცებულებები (მოდვე მხარეთა განმარტებები, საჯარო რეესტრის ამონაწერები, ექსპერტთა დასკვნები) ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად უნდა ყოფილიყო გამოკვლეული და ერთობლიობით შეფასებულიყო საქმის არსებითი განხილვისას.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ იურიდიულად არ იყო გამართლებული მესაკუთრის მოთხოვნა, სხვა ფართებთან ერთად, აუნაზღაურდეს, ასევე, 42.09 კვ.მ სარდაფ-სართულისა და მთლიანი მიწის ნაკვეთის საექსპროპრიაციო ღირებულებაც, საჭიროებდა შესწავლასა და გამოკვლევას საქმის არსებითი განხილვის დროს და დეტალურ გაანგარიშებას იმის მიხედვით, თუ მესაკუთრის რომელ ქონებაზე მიენიჭა სასამართლოს გადანყვეტილებით მოპასუხეს ექსპროპრიაციის უფლება.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

4. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი

ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები;
მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის
მოქმედებისათვის

მოპასუხეთა პასუხისმგებლობის წარმოშობის წინაპირობების განსაზღვრისათვის უნდა შეფასდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები და ამ ურთიერთობის იურიდიული ბუნება, რათა განისაზღვროს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და გაირკვეს, არსებობს თუ არა ამ ნორმის აბსტრაქტული წინაპირობები.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე და 394-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 17 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-313-298-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზუგდიდის რაინული სასამართლოს გადანყვეტილებით სარჩელი დაკმყოფილდა, მოპასუხეებს, ლ. ჯ-ს და ლ. შ-ს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 5750 ლარის, ასევე საქმის გან-

ხილვასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც აპელანტებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად დელიქტურ ვალდებულებაზე მიუთითა, ასევე, მოპასუხეები მიიჩნია სოლიდარულად პასუხისმგებლებად, რაც არასწორია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, სკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დელიქტი პასუხისმგებლობის წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია, თუმცა, სარჩელში მითითებული და სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, დელიქტურ ვალდებულებაზე საუბარი დაუშვებელია, კერძოდ, დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ განხორციელებული ქმედება (ზეთისა და ფილტრის შექმნა/შეცვლის სამუშაოები) მხარეთა შეთანხმებით შესრულდა, რაც მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობაზე მიუთითებს. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეთა პასუხისმგებლობის წარმოშობის წინაპირობების განსაზღვრისათვის უნდა შეფასდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები და ამ ურთიერთობის იურიდიული ბუნება, რათა განისაზღვროს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და გაირკვეს, არსებობს თუ არა ამ ნორმის აბსტრაქტული წინაპირობები. დადგენილად მიჩნეული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და ლ.ჯ-ძეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებები (სკ-ის 477-ე და 629-ე მუხლები), რომლის ფარგლებშიც გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, შექმნილიყოს (მოსარჩელე) გადაეცა ნივთი (ავტომობილის ძრავის ზეთი და ფილტრი) და გაეწია მომსახურება. არც მხარეებს მიუთითებიათ და არც სასამართლოს არ დაუდგენია მოსარჩელის შეთანხმება ქვემდგომარდესთან – ლ. შ-სთან, არამედ დადგენილია, რომ შესრულებაზე პასუხისმგებლობა სწორედ გამყიდველმა იკისრა. პასუხისმგებლობის საფუძვლის განსაზღვრისათვის, პალატის მოსაზრებით, სკ-ის 647-ე მუხლთან ერთად უნდა გამოყენებულიყო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები. სკ-ის 394-ე მუხლი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ვალდებულების დარღვევისას და ნორმის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

რაც შეეხება უშუალოდ ქვემდგომარდის – ლ. შ-ს პასუხისმგებლობას, ამ საკითხის სწორად შეფასების მიზნით, პალატამ კვლავ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ როგორც ნასყიდობის, ისე – ნარდობის ნაწილში შეთანხმება მოსარჩელესა და ლ.ჯ-ძეს შორის შედგა, სწორედ ამ უკანასკნელის მითითებით შეასრულა სამუშაო ლ. შ-მ. მართალია, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ქვემდგომარდე ზეთისა და ფილტრის შერჩევაში მონაწილეობდა, თუმცა, საკასაციო პალატის შეფასებით, ეს გარემოება მოსარჩელის წინაშე შემსრულებლის მისი წარმომშობი მაინც ვერ გახდება, რამდენადაც, სკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

5. სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი დებულებანი; ხელშეკრულებიდან გასვლა

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები;

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

სკ-ს 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს წარმოიშობა მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნების ვალდებულება.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 411-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განმარტება საქმეზე №ას-945-895-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა 2008 წლის 16 მაისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე და 2010 წლის 23 თებერვლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების შეწყვეტა, საცხოვრებელი ფართის შესაძენად გადახდილი თანხის – 38 416 აშშ დოლარის დაბრუნება და მიყენებული ზიანის – 39424.59 აშშ დოლარის ანაზღაურება, საიდანაც ზიანის თანხა განსაზღვრა 27 924.59 აშშ დოლარით, ხოლო მიუღებელი შემოსავალი – 11 500 აშშ დოლარით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 2013 წლის 17 ივნისიდან 38 416 აშშ დოლარის ანაზღაურებამდე 38 416 აშშ დოლარის ყოველწლიური 14 %-ის ანაზღაურება; 2013 წლის 17 ივნისიდან 11 500 აშშ დოლარის ანაზღაურებამდე 11 500 აშშ დოლარის ყოველწლიური 10%-ის ანაზღაურება; სარგებლის ჯამის მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრა 27 924 აშშ დოლარით.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებად უნდა მიჩნეულიყო ის, რასაც მოსარჩელისთვის ხელშეკრულება და ვადაში საგნის გადაუცემლობა ითვალისწინებდა. ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელეს ბინა უნდა მიეღო 2010 წლის დეკემბერში. შესაბამისად, პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ 2013 წლის 17 ივნისამდე ბინის გაქირავების შედეგად მოსარჩელე მიიღებდა 11 500 აშშ დოლარს ქირის სახით, რაც სკ-ის საფუძველზე უნდა დაჰკისრებოდა მოპასუხეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ კასატორის პრეტენზია გაიზიარა იმ ნაწილში, რომლითაც 2011 წლის იანვრიდან 2013 წლის 17 ივნისამდე მიუღებელი შემოსავლის ოდენობად განისაზღვრა 11 500 აშშ დოლარი, რადგან აუდიტის დასკვნაში მითითებული ბინის ყოველთვიური ქირის შესაბამისად 2011 წლის იანვრიდან 2013 წლის 17 ივნისამდე პერიოდში ბინის გაქირავებით მიუღებელი შემოსავალი 11 500 აშშ დოლარის ნაცვლად იქნებოდა 9000 აშშ დოლარი ($300 \cdot 30 = 9000$). ამრიგად, 9000 აშშ დოლარის ნაწილში სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომ მას არ უნდა დაჰკისრებოდა ზიანის ანაზღაურების სახით 2013 წლის 17 ივნისიდან მიუღებელი შემოსავლის, 11 500 აშშ დოლარის, წლიური 10 %-ის გადახდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბინის გაქირავებით მოსარჩელის მიერ მიუღებელი შემოსავალი იყო 9000 და არა 11 500 აშშ დოლარი, ამასთან, სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს წარმოიშობა მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნების ვალდებულება. ზემოაღნიშნული თანხა კი წარმოადგენდა მიუღებელ შემოსავალს, რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეს დაეკისრა, ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლამდე პერიოდისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნული არ ექცეოდა 352-ე მუხლის რეგულირების სფეროში. შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სკ-ის 352-ე და 394-ე მუხლები, ამიტომ ამ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო, რაც, სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი იყო. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სკ-ის 509-ე მუხლის სამართლებრივ ბუნებაზე და განმარტა, რომ გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის დადებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რაში იყენებს ნასყიდობის თანხას გამყიდველი. მოცემულ შემთხვევაში, პირველი მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნება მიზნად ისახავდა ქონების შექცენას, მოსარჩელე კი იმ იმედით, რომ ის შექცეულა 4 თვეში ქონების უკან გამოსყიდვას, დაეთანხმა პირველ მოპასუხეს და მას ქონებაზე საკუთრება გადასცა. რადგანაც მან დადგინდა ვადაში ვერ გამოისყიდა ნივთი, პირველი მოპასუხე გახდა ქონების სრულფასოვანი მესაკუთრე და ამ უკანასკნელს არაფერი ზღუდავდა, თავის შეხედულებისამებრ განეკარგა საკუთრება.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილების ნაწილში.

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები;

არასათანადო მოპასუხის შიცვლა

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 405-ე და 129-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 23 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1189-1119-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება

და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდა 2010 წლის 23 ნოემბერს, ზეპირი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, რა დროსაც, გამყიდველმა (მოპასუხე) მოსარჩელეს პირდაპირ მფლობელობაში გადასცა ნასყიდობის საგანი – ავტომანქანა, ხოლო მყიდველმა (მოსარჩელე) გადაიხადა შეთანხმებული საფასური და მიიღო ნაყიდი ქონება. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოფდა ავტომანქანის მყიდველის სახელზე გადაფორმებას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის მიყიდვას უკავშირებდა. ვინაიდან, 2010 წლის 23 ნოემბერს, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და მოსარჩელის მიერ ავტომობილის შეძენის დროისათვის, ნივთზე პრეტენზია არავის გააჩნდა, მასზე რაიმე სახის უფლებრივი შეზღუდვა არ არსებობდა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნივთი უფლებრივად უნაკლოს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ნასყიდობის საგნის საფასურის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების შესაბამისად, დასაბუთებული იყო. ამასთან, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სკ-ის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლებით და დაადგინა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადაგინა მოსარჩელემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ არასწორად შეაფასა ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება და მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარის (მყიდველის) უფლება, გავიდეს ხელშეკრულებიდან მართლზომიერია თუმცა, ხანდაზმული. საკასაციო პალატამ სკ-ის 405-ე და 352-ე მუხლების გაანალიზების საფუძველზე განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და მისი თავისებურება ისაა, რომ ამისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა. ეს თავისებურება განაპირობებს იმასაც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და, მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები (სკ-ის 405-ე, 352-359-ე მუხლები).

ამდენად, საქმის განხილველი სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობის სამართლებრივი დასკვნა, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების ხანდაზმულობასთან მიმართებით, რაც, ამავე სასამართლოს მოსაზრებით, საფუძველად დაედო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს, დაუსაბუთებელი იყო და არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების სწორი სამართლებრივი განმარტებიდან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე არ უმსჯელია, სარჩელი აღძრული იყო თუ არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, სახელდობრ, სასამართლოს არ უმსჯელია წარმოადგენდა თუ არა მოპასუხე სათანადო მოპასუხეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

6. ვალდებულების შესრულება და დარღვევა

ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას;

ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 365-ე და 144-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-431-414-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოთხოვნა მოპასუხისათვის თანხის დაკისრების თაობაზე, რაც აპელაციის წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან სარჩელის აღძვრამდე რწმუნებულს არ ჰქონდა ვალდებულება შესრულებული, მარწმუნებელს სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებით შეეძლო მოეთხოვა ხელშეკრულებიდან გასვლა და თანხის დაბრუნება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა მოპასუხის (კასატორი) შედავება, რომელიც ხანდაზმულობას შეეხებოდა და იმდენად არსებითი იყო, რომ, დამტკიცების შემთხვევაში, სარჩელის წარმატებას აფერხებდა. ხანდაზმულობის საკითხის შემონგებისას, საკასაციო პალატამ ნაწილობრივ (სკ-ის 365-ე მუხლის არასწორი განმარტების ნაწილში) გაიზიარა კასატორის პრეტენზია და ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ 2011 წლის 16 აპრილის ხელწერილზე (სწორედ ამ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დადგინდა ვალდებულების არსებობა), რომლის თანახმადაც, მოსარჩელემ თანხა გადარიცხა ხუთი თვის ვადით 2010 წლის 12 დეკემბრამდე, ეს თანხა მოპასუხემ გადასცა ტ-რ მ-ს, რომელმაც გადააცილა მის დაბრუნების ვადას და არც ავტომობილს აგზავნიდა და არც თანხას, მიუხედავად იმისა, რომ გასული იყო 2011 წლის თებერვალიც. შესაგებლის წინააღმდეგ წარდგენილ შეპასუხებაში მოსარჩელემ დაადასტურა ის გარემოება, რომ 2011-2012 წლებში იგი აქტიურად ცდილობდა მოპასუხისაგან თანხის დაბრუნებას და მიმართავდა მის ხელთ არსებულ საშუალებებს. ამ განმარტებების სამართლებრივი ანალიზის მიზნით, სასამართლომ მოიხმო სკ-ის 365-ე მუხლი და აღნიშნა, რომ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადა არ არის განსაზღვრული (როგორც ეს დაადგინეს ქვემდგომმა სასამართლოებმა), უფლების დარღვევის შესახებ კრედიტორი შეიტყობს მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას, ხოლო მოვალე უარს იტყვის შესრულებაზე ან ფაქტობრივად არ შეასრულებს მას. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უფლების დარღვევის თაობაზე მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა 2010 წლის 12 დეკემბრიდან, ანუ მისი მოთხოვნა, სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, სწორედ ამ დროიდან წარმოიშვა, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც, მოსარჩელის განმარტებით, გერმანიაში გაემგზავრა. პალატამ განმარტა, რომ დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ მოქმედებს სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა (იხ. სუსგ №ას-1264-1204-2014, 2 ოქტომბერი, 2015 წელი), რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, ამოინურა 2013 წლის 12 დეკემბერს, სარჩელი კი, სასამართლოში წარდგენილია 2014 წლის

14 აპრილს (სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადება – 2014 წლის 1 აპრილს). ამ გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვალდებული პირი უფლებამოსილია, სკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უარი განაცხადოს შესრულებაზე, რადგანაც ხანდაზმულობის ვადის გასვლით მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნა იძულებით განხორციელებას აღარ ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული ზიანის მიმყენებელი, გადაეხადა კომპენსაცია დაზარალებულისათვის.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1220-1145-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, 2014 წლის სექტემბრიდან ყოველთვიური სარჩოს გადახდა – თვეში 800 ლარი, აგრეთვე, ზიანის 16 252,08 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციით, ევროპის სოციალური ქარტიით, შკ-ის 44-ე მუხლით, სკ-ის 316-ე, 317-ე, 992-ე, 408-ე მუხლებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა და დამატებით მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხი გადაწყდა მართებულად შკ-ისა და სკ-ის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განსახილველი დავის სამართლებრივი შეფასებისას ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 1982 წლის 13 აგვისტოს, უბედური შემთხვევისას, დაზარალებული იყო 43 წლის. მოსარჩელეს მოპასუხე ყოველთვიურად უხდის სარჩოს – 282,96 ლარს და ამ ფაქტზე მხარეები არ დავობენ. დაზარალებულის სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდებოდა, მოქმედი მემანქანის თანაშემწის ყოველთვიური ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშებას, რადგან 2011-2014 წლებში რამდენჯერმე გაიზარდა ელმავლის მემანქანის თანაშემწის ხელფასი და, მომატებული ხელფასის მიხედვით, მიუღებელი კომპენსაციის გამო, დაზარალებულს ადგებოდა ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კვლევისა და შეფასების საგანს წარმოადგენდა, სკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუ-

ხისათვის დაკისრებული, გაზრდილი (გადაანგარიშებული) კომპენსაციის დაკისრების მართლზომიერება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ როდემდეა ვალდებული საწარმო, გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია, ხოლო, განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა დაზარალებულისათვის მოქმედი ელმავლის მემანქანის თანაშემნის ხელფასის მიხედვით, ზიანის ასანაზღაურებლად თანხის გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელი იყო სასარჩელო მოთხოვნა, დაზარალებულის სასარგებლოდ, სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, 2011-2014 წლებში მოქმედი ელმავლის მემანქანის თანაშემნის ხელფასის ცვლილების საფუძველზე, რადგან ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში პრეზუმირებულია, რომ დასაქმებული იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე და საწარმო სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული, გადაეხადა სარჩო.

საკასაციო სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით (საქმე № 789-746-2015, 22.01.2016წ) შეიცვალა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა. განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სრულდება, მიუხედავად იმისა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, რომ დაზარალებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაზარალებულისათვის ყოველთვის სარჩოს გადახდის ვალდებულება, მოცემულ შემთხვევაში, მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება საწარმოს, თუმცა, 2011-2014 წლებში გაზრდილ ხელფასზე მისადაგებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული, რის გამოც, უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო განაცხადი და გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება.

საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, არ დააკმაყოფილა მოსარჩელის პრეტენზია, 2011-2014 წლებში მოქმედი ელმავლის მემანქანის თანაშემნის გაზრდილი ხელფასის მიხედვით გადაუანგარიშებლობის გამო, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და უარყო სასარჩელო მოთხოვნა.

ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა

ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში, ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის რაიმე მაჩვენებელი (ორიენტირი) განმტკიცებულია სკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან სწორედ ის გამომდინარეობს, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე, 408-ე და 394-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-167-163-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ზიანის სახით 11,200 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის ნაწილში დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში კი უარი ეთქვა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მო-

პასუხემ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარს ეთქვა უარი, შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მოსარჩელეს უარი ეთქვა თანხის ანაზღაურებაზე. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმის მასალებით არ ირკვევოდა, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო მოსარჩელის მიერ მ-სთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფასი და ის ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულების გაუქმებით მოსარჩელეს წარმოეშობოდა 10000 აშშ დოლარის ზიანი, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ხელშეკრულების გაუქმებით წარმოშობილი ზიანის – 10000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებულად იქნა მიჩნეული სკ-ის 412-ე მუხლიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ფუნქციიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის რაიმე მაჩვენებელი (ორიენტირი) განმტკიცებულია სკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან სწორედ ის გამომდინარეობს, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. აღნიშნული მუხლი კიდევ ერთხელ ასახელებს ვალდებულების დარღვევას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ზიანის ანაზღაურების წინაპირობად. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, სასამართლომ, უპირველესად, უნდა შეაფასოს ზიანის, როგორც მეორეული მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა. საკასაციო პალატის განმარტებით, ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა) და ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატის განმარტების საგანი გახდა სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი და 408-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნორმით დადგენილი ზიანის ანაზღაურების, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებაში, სწორედ იმ ფაქტობრივი ვითარების აღდგენა იგულისხმება, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (“ტოტალ რეპარატიონ-ის” პრინციპი). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის მიყენებაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია.

სკ-ის 394-ე 1-ლი მუხლი ცენტრალური და უზოგადესი ნორმაა, რომელიც განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და კრედიტორს ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობებია: 1) მართლწინააღმდეგობა; 2) ბრალი; 3) მიზეზობრივი კავშირი; 4) ზიანი.

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ (სკ-ის 408-ე მუხლი). ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. პირდაპირ ზიანს მიეკუთვნება როგორც დადებითი ზიანი, ისე – მიუღებელი შემოსავალი. არაპირდაპირი ზიანი, ეს ისეთი ზიანია, რომელსაც გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ ივარაუდებდა მოვალე.

როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს, ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ერთ-ერთ გარემოებად იმაზე მიუთითებს, რომ 2011 წლის 18 ნოემბერს გაგზავნილ წერილში აღნიშნული პირობის შეუსრულებლობით, მან ახალ მყიდველთან გაფორმებული და შემდეგ გაუქმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით ვეღარ მიიღო დამატებით 10,000 დოლარი (სამართლებრივი საფუძველი სკ-ის 394-ე და 408-ე მუხლი), რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, საფუძლიანია და ამ სხვაობის, როგორც მიყენებული ზიანის ანაზღაურება, უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ და ამ ნაწილში სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 10,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის

კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზეა დამოკიდებული.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-866-816-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით (№2/1343-14) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, კერძოდ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 3225 ლარისა და მორალური ზიანის, 2000 ლარის, გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და მოპასუხეს დაეკისრა 500 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება ნაწილობრივ, მორალური ზიანის ანაზღაურების შემცირების ნაწილში, საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა სკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის – არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სა-

მართლებრივი წინაპირობები. ამასთან, სასამართლომ სათანადოდ არ დაასაბუთა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული არაქონებრივი ზიანის, 2000 ლარის, 500 ლარამდე შემცირების მიზანშეწონილობა, არ გაითვალისწინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, ის რომ კლინიკის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედების შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რის გამოც იგი ნორმალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს, თითქმის ორი წლით გამოეთიშა (ჰქონდა მუდმივი ფსიქოლოგიური სტრესი, პროთეზის მორგების უზუსტობის გამო, უჭირდა საუბარი, ეშინოდა მისი ჩამოვარდნის, დაქვეითებული ჰქონდა ლეჭვის ფუნქცია, ამის გამო ის ვერ ჩნდებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ). ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის, ცხადია, რომ აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობა და ნერვული დაძაბულობა, ეს ის ფაქტორებია, რომელიც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს. არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის დროს სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. ამ საკითხში უზენაესმა სასამართლო, დაამკვიდრა მყარი პრაქტიკა: “საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზე დამოკიდებული“ იხ.სუსგ №ას-95-90-2013, 14.06.13; №ას-594-562-2015, 6.11.2015; №ას-797-940-2015, 10.09.2015

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი არაქონებრივი ზიანი, 2000 ლარი, დაუსაბუთებლად შეამცირა 500 ლარამდე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

8. პირბასამტეხლო

პირბასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

პირბასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო ითვალისწინებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირბასამტეხლოს ოდენობასთან.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 13 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1199-1127-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბანკმა, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარჩელი აღძრა მოპასუხეების მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 15281,02 აშშ დოლარის დაკისრება, საიდანაც ძირითადი დავალიანება იყო 8385,19 აშშ დოლარი, პროცენტი – 1553,16 აშშ დო-

ლარი და პირგასამტეხლო – 5342,67 აშშ დოლარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეების სოლიდარულად დაეკისრათ 10472.35 აშშ დოლარის (საიდანაც, ძირითადი თანხაა – 8385.19 აშშ დოლარი, დარიცხული პროცენტი – 1553.16 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო – 534 აშშ დოლარი) გადახდა მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ. ჩ გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოპასუხეთა საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოსარჩელე ბანკის საპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი პირგასამტეხლოს გადახდევინების თაობაზე დაკმაყოფილდა სრულად.

საპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში სადავო იყო ის გარემოება, უნდა გადაეხდა თუ არა მოვალეს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით შეთანხმებული ოდენობით. ამ თვალსაზრისით, საპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 417-ე და 418-ე მუხლებით.

საპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საბანკო კრედიტს საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო სარჩელის აღძვრის შემდგომ აღარ ერიცხებოდა; სარჩელის აღძვრის შემდეგ კი, გასული იყო ერთი წელი. წინამდებარე სამართალწარმოება, თუ რომელიმე მხარე გამოიყენებდა საკასაციო საჩივრის წარდგენის უფლებას, შეიძლება კიდევ 6 თვით გახანგრძლივებულიყო, რასაც ემატებოდა საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ვადებიც.

არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზანშეუწონელი იყო სკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით პირგასამტეხლოს შემცირება, რომელიც განსაზღვრულია მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით, იმავე კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და იგი, დროის გასვლასთან ერთად, არ იზრდება. საპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამგვარი პრაქტიკა, შეიძლება იქცეს არაკეთილსინდისიერ მოვალეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლო გათავისუფლების, აგრეთვე, კეთილსინდისიერ მოვალეთა ნაქეზების საშუალებად, დაარღვიონ ვალდებულება, მოსალოდნელი პირგასამტეხლოს დაუსაბუთებლად შემცირების იმედით; ეს კი არ წაადგება სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის სტაბილური, პროგნოზირებადი ხასიათით განხორციელებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით (სკ-ის 420-ე მუხლი). სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება და, რაც უმთავრესია, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება, სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სკ-ის 420-ე მუხლის წინააღმდეგ, სააპელაციო პალატამ ბანკის სარჩელის საფუძვლიანობა დაუკავშირა იმგვარ გარემოებებს, როგორიცაა, პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებით კეთილსინდისიერი გადამხდელების წახალისება, რათა პირგასამტეხლოს შემცირების იმედით მათ აღარ შეასრულონ ვალდებულება, რაც, პალატის მოსაზრებით, ხელს შეუშლის სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას და არ წაადგება სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის პროგნოზირებადი ხასიათით განხორციელებას.

წინამდებარე სამართალწარმოების გახანგრძლივების შემთხვევაში, საბანკო კრედიტის, საპროცენტო სარგებელისა და პირგასამტეხლოს გადახდის აღსრულების ვადების გაჭიანურებაზე და ზოგადად, სხვა არაკეთილსინდისიერ მოვალეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლო გათავისუფლების, აგრეთვე, კეთილსინდისიერ მოვალეთა ნაქეზების საშუალებებზე დეკლარირებული სახის მსჯელობამ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელი და ობიექტური არბიტრის როლს, ისე, სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციის სრულფასოვან განხორციელებას, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, მოითხოვს ყოველ კონკრეტულ საქმეზე უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას და არა ზოგადი ხასიათის პრევენციების გატარებას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის 420-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობას. პირგასამტეხლოს შემცირებისას, სასამართლო ითვალისწინებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

საკასაციო პალატამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები: სკ-ის 867-ე მუხლის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება წარმოადგენს სარგებლიან სესხს, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იბრუნებს, როგორც სესხად გაცემული თანხის ძირს, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულობას, საკასაციო პალატამ, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, დარღვევის თანაზომიერ, გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე დარიცხული პირგასამტეხლოდან – 1534 აშშ დოლარი, რომელიც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, კანონშესაბამისია და სავსებით უზრუნველყოფდა მინიმალური ზიანის ანგარიშში კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შემცირდა მოპასუხეთათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

პირბასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

პირბასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირბასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირბასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 22 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-214-204-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ სესხის ძირის – 4221 აშშ დოლარის, სარგებლის – 1094 აშშ დოლარისა და პირბასამტეხლოს – 1700 აშშ დოლარის, სულ – 7015 აშშ დოლარის გადახდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (პირბასამტეხლოს დაკისრება) მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება პირბასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ გაუქმდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დამატებით პირბასამტეხლოს სახით დაეკისრათ 2413,81 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირბასამტეხლოს ოდენობად მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს დარჩენილი სესხის თანხის 0.2%, ანუ არა მხოლოდ გადაუხდელი ძირითადი სესხის 0.2%, არამედ დარჩენილი სესხის 0.2%, რაც, ცხადია, მოიცავდა იმ პერიოდისთვის გადაუხდელ არა მხოლოდ ძირ თანხას, არამედ პროცენტსაც. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, ანუ მათ სააპელაციო სასამართლოშიც დადასტურეს, რომ პირბასამტეხლო უნდა განსაზღვრულიყო დავალიანებიდან, რომელიც მოიცავდა, როგორც ძირ თანხას, ისე – პროცენტს. ს.კ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელის პროფესიული საქმიანობა სესხის გაცემა და ამ გზით მოგების მიღება, ამიტომ გონივრულია ყოველდღიურად პირბასამტეხლოს ოდენობად 0.2%-ის განსაზღვრა, შრომითსამართლებრივი დავისაგან განსხვავებით, სადაც პირბასამტეხლოდ 0.07%-ია გათვალისწინებული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საურავი, ისევე, როგორც ჯარიმა, პირბასამტეხლოს ერთ-ერთი სახეა. იგი უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებული პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმისაგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირბასამტეხლოს თავისებურება ისაა, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირბასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ აქვს. საურავის თავისებურება ისაა, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ ვა-

დაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისაგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა სადავო სესხის ოდენობა, მოვალე მხარის დავალიანების მოცულობა (5315 აშშ დოლარი), ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა (1 წელი და 22 დღე) და მიაჩნია, რომ კასატორების არგუმენტი, პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობასთან დაკავშირებით, დასაბუთებული იყო.

სსკ-ის 420-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას. ნორმის დასახელებული დანაწესი სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის ლეგიტიმური საფუძველია და ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს ისეთი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და სხვა (იხ. სუსგ №ას-914-864-2015, 4 დეკემბერი, 2015 წელი).

პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ. სუსგ 28.12.2012წ. საქმე №ას-1560-1463-2012; სუსგ 16.05.2014წ.-ის საქმე №ას-1200-1145-2013).

მოცემული გარემოებების ყოველმხრივ და ურთიერთშეჯერებით შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში უნდა გაუქმებულიყო, რადგან პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობას განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენდა 1700 აშშ დოლარი.

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-848-814-2016 28.12.2016.

9. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო;

მგლვეველის ანაზღაურებისგან განთავისუფლება
თვითმკველოვნისას

იმგვარ შემთხვევაზე, როდესაც საბანკო დანესებულება ითხოვს სესხის დაბრუნებას, სკ-ის 453-ე მუხლის პირველი ნაწილი ვერ გავრცელდება, ამ ვითარებაში ვალდებულება მოვალის გარდაცვალებით არ წყდება.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 453-ე, 850-ე, 976-ე, 986-ე და 1488-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 30 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ას-461-435-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ გარდაცვლილი

მეუღლის ნაცვლად, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბანკს (მოპასუხე) გადაუხადა 3136 აშშ დოლარი. მოსარჩელის მეუღლე სარგებლობდა საკრედიტო სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებით (შემდეგში დაზღვევის ხელშეკრულება), რადგან იყო ბანკის იპოთეკური სესხის მომხმარებელი და, 2012 წლის 31 აგვისტოდან, სარგებლობდა იპოთეკური სესხის მომხმარებლებისათვის სიცოცხლის დაზღვევის ღია ოფსეტური პოლისით. ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ ამგვარი სადაზღვევო პოლისით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნება მხოლოდ ბანკი. აღნიშნული პოლისის დანართით, დასახელებული სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად, დაზღვევს წარმოადგენს ბანკი, ხოლო მზღვეველს – სადაზღვევო კომპანია. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ბანკის წინააღმდეგ და მოითხოვა მეუღლესა (დაზღვეულსა) და ბანკს (დამზღვევს) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა და გადახდილი თანხის, 3136 აშშ დოლარის, დაბრუნება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მამკვიდრებლის მეუღლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. ბანკსა და დაზღვეულს შორის, ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო, შეწყდა 2012 წლის 22 აგვისტოს საბანკო მომსახურების ხელშეკრულება. მოსარჩელის სასარგებლოდ, ბანკს დაეკისრა 3136 აშშ დოლარის გადახდა.

სასამართლომ სკ-ის 850.2-ე, 316.1-ე, 317.1-ე, 385-ე მუხლებზე, 976.1-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, 986-ე მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ მოსარჩელე არ იყო ვალდებული, ბანკისათვის გადაეხადა 3136 აშშ დოლარი, ამასთან, ისიც აღნიშნა, რომ, სკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, უფლება არ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს ბოროტად მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვას მიადგეს ზიანი. სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, უზრუნველყოს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სკ-ის 428-ე მუხლზე რომლის მიხედვითაც, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი, ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად, შესრულებად იღებს სხვა შესრულებას, ხოლო, 453-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე. დამზღვევსა და დაზღვეულს შორის 2012 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული საბანკო მომსახურების ხელშეკრულება დაზღვეულის გარდაცვალების გამო შეწყდა და, შესაბამისად, მოსარჩელეს აღარ ჰქონდა ვალდებულება, ეხადა ბანკისათვის სესხის სარგებელი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ დავა წარმოშობილი იყო საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან (სკ-ის 867-ე მუხლი), რომლის ფარგლებშიც დაზღვეული სარგებლობდა სიცოცხლის დაზღვევის ღია ოფსეტური პოლისით, რომლის თანახმად დაზღვეული იყო დამზღვევის ფინანსური ინტერესი დაზღვეულის მიმართ. ამდენად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სიცოცხლის დაზღვევის ნორმა უნდა გამოყენებულიყო (სკ-ის 850-ე მუხლი).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიუღებელი იყო სკ-ის 453-ე მუხლის გამოყენება, ვინაიდან გამოვლინდებოდა კონტრაპირების იძულება, თუმცა, ამ შემთხვევაში, უნდა გამოყენებულიყო სკ-ის 1488-ე მუხლი, რომლის თანახმად, „მამკვიდრებლის კრედიტო-

რებმა ექვესი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად“. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულების გარდა, მოთხოვნების დაკმაყოფილებისას, მემკვიდრის კრედიტორებთან შედარებით, მამკვიდრებლის კრედიტორების უპირატესობა დადგენილია სამემკვიდრეო სამართლის მომწესრიგებელი ნორმებით (სკ-ის 1491-ე მუხლი). ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სკ-ის 453-ე მუხლის გამოყენების საჭიროება არ არსებობდა, რადგან სამემკვიდრეო ნორმებით გვარდება საკითხი და, ასევე, იმ დასაბუთებით, რომ, დავიდან გამომდინარე, იკვეთებოდა არა დასახელებული ნორმის გამოყენების წინაპირობა, რომ „მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე“, არამედ დამზღვევის მიერ შესრულების მიღება მოვალის მემკვიდრისაგან.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბანკი არ შესაძლებელია მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაუცემლობის გამო, ანუ რამდენად დასაბუთებული იყო მზღვეველის უარი. აღნიშნული კი, მოსარჩელეს წარმოუშობდა უფლებას, რომ მოთხოვნა წარედგინა მზღვეველისათვის (სადაზღვევო კომპანიისათვის), რადგან სწორედ ამ უკანასკნელის ნაცვლად მოუწია დაზღვეულის მემკვიდრეს ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულება და ეს მიიღო კრედიტორმა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

10. სოლიდარული მოვალეობი

სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის;

საქმისწარმოების შეწყვეტა

სსკ-ის მე-11 მუხლის არცერთი დანაწესი სამენარმეო სუბიექტის (გადასახადის გადამხდელი) მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმის განხილვას არ ითვალისწინებს. აღიარებული საგადასახადო დავალიანების, ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებისა თუ ამ თანხის ამოღების მიზნით მიმდინარე სააღსრულებო წარმოების კანონიერების სამოქალაქო წესით შემონიშნების წინაპირობები ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს;

სკ-ის 463-ე და 998-ე მუხლების ერთობლივი ანალიზი ქმნის დასკვნის საფუძველს, რომ პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სოლიდარულად დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს ორი ან რამდენიმე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელსაც შედეგად ზიანი მოჰყვა.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 998-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 9 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-708-677-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამარ-

თლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა სანარმოს დირექტორისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე დირექტორს დაეკისრა 403 348 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ. სააპელაციო პალატის დასკვნით, შპს-ს დირექტორი წარმოადგენდა ზიანის მიყენებაში სოლიდარულად ვალდებულ პირს. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

სსიპ შემოსავლების სამსახურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს-ს და მისი დირექტორის მიმართ მოპასუხეებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის – 924 593 ლარის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით. სარჩელი ემყარებოდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოპასუხე სანარმოს საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე დაერიცხა ძირითადი გადასახადის – 403 348 ლარის გადახდა. გადასახადის დარიცხვის კანონიერება სადავო გახდა მოპასუხე საზოგადოებამ, თუმცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სანარმოს დირექტორმა თავი აარიდა გადასახადის გადახდას, რის გამოც ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. დარიცხული გადასახადი გაიზარდა და იგი სარჩელის აღძვრის მომენტისათვის შეადგენდა 924 593 ლარს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის მე-11 მუხლით დადგენილია სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი და კანონი პირდაპირ განსაზღვრავს დავათა იმ კატეგორიას, თუ რომელი მათგანი შეიძლება, განიხილოს სასამართლომ ამ კოდექსით დადგენილი წესით. მოხმობილ ნორმაში მითითებული არცერთი დანაწესი სამენარმეო სუბიექტის (გადასახადის გამამხდელის) მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გამომწვეული ზიანის ანაზღაურების საქმის განხილვას არ ითვალისწინებს. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ წინაპირობებს, სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, ადგენს დელიქტური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები. სკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრულია დელიქტური ვალდებულების უზოგადესი წესი და იგი საგადასახადო კანონმდებლობის (საჯარო სამართლის სფერო) საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას, ასევე, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, დარიცხული საურავის ანაზღაურებას არ არეგულირებს, მითითებული საკითხი სრულად ექცევა საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოწესრიგების ფარგლებში. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ აღიარებული საგადასახადო დავალიანების, ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების გადასახადის გამამხდელისათვის დაკისრებისა თუ ამ თანხის ამოღების მიზნით მიმდინარე სააღსრულებო წარმოების კანონიერების სამოქალაქო წესით შემონიშნების წინაპირობები ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს.

ზემოაღნიშნული განვითარებული მსჯელობისა და სსკ-ის 272-ე მუხლის დისპოზიციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმისწარმოება სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელზე შპს-ს მიმართ ზიანის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნის ნაწილში უნდა შეწყვეტილიყო, შესაბამისად, საქმისწარმოების შეწყვეტის გამო, ვინაიდან აღარ არსებობს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრის განხილვის საგანი, საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე, უნდა შეწყვეტილიყო საქმისწარმოება სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარზე.

სკ-ის 463-ე მუხლით დეფინირებულია სოლიდარული ვალდებულების არსი, რომელიც მაშინ ვლინდება, როდესაც რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთგვარადი მოთხოვნის უფლება, ამავე კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, განსაზღვრავს დელიქტურ ვალდებულებაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძვლებს, რომლის თანახმადაც, თუ ზიანის მიყენებაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ხსენებულ ნორმათა ერთობლივი ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სოლიდარულად დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს ორი ან რამდენიმე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელსაც შედეგად ზიანი მოჰყვა. საგადასახადო ვალდებულების წარმოშობა-შესრულების საკითხი სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის არ შეიძლება დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში იქნეს განხილული, შესაბამისად, სააპელაციო პალატის დასკვნას, რომლის თანახმადაც შპს-ს დირექტორი წარმოადგენდა ზიანის მიყენებაში სოლიდარულად ვალდებულ პირს, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი შპს-ს დირექტორის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

11. ნასყიდობა და ჩუქება

ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო;

გარუქებული ნივთის გამოთხოვა

დასაჩუქრებული, ჩუქების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულია, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს გამჩუქებლის მიმართ, მით უფრო მაშინ, როცა მათ ქორწინება აკავშირებთ.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე და 530-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 18 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1011-954-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა, ჩუქების ხელშეკრულებებისა და უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის (მოსარჩელე) მითითება იმის შესახებ, რომ დასაჩუქრებული (მოპასუხე) მჩუქებელს აყენებდა მძიმე შეურაცხყოფას. სასამართლოს დასკვნით სადავო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში არ წარმოდგენილა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა არც სკ-ის 530-ე მუხლის გათვალისწინებით, ვინაიდან, თუკი ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მითითებული გარემოების

მტკიცების ტვირთი აწევს მჩუქებელს, რომელმაც უნდა დაადასტუროს თავისი ეკონომიკური მდგომარეობის არსებითად გაუარესების ფაქტი. ამასთან, არსებით გაუარესებად მიიჩნევა ვითარება, როცა მჩუქებელს არ გააჩნია სახსრები თავის გამოსაკვებად და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. პალატის შეფასებით, აპელანტის მხოლოდ ზეპირი მითითება იმ გარემოებაზე, რომ გაჩუქებული ბინას აქირავდება და თავს მიღებული ქირით ირჩენდა, ვერ გახდება სადავო გარემოების დადასტურებულად მიჩნევის საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებთან ერთობლივად არ შეაფასა მოსარჩელის ახსნა-განმარტება და ისე გამოიტანა დასკვნა, რომ არ არსებობდა სკ-ის 529.1 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი წინაპირობები. საქმეზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებები და საპატრულო პოლიციის მასალები, სულ მცირე, პირველი მოპასუხის მხრიდან დიდი უმადურობის გამოჩენას ადასტურებდა. არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ დასაჩუქრებული, ჩუქების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულია, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს გამჩუქებლის მიმართ, მით უფრო მაშინ, როცა მათ ქორწინება აკავშირებთ. ორივე შემთხვევაში, ქონების უსასყიდლოდ გადაცემა მხარეთა შორის არსებულ საქორწინო ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული და ქონება წარმოადგენდა მოსარჩელის შენატანს მეუღლესთან თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად. უძრავი ნივთის უსასყიდლოდ გადაცემის დროს, ბუნებრივია, გამჩუქებელი ამ ნაბიჯს დგამდა იმის მოლოდინით, რომ მოპასუხესთან მშვიდობიან საქორწინო ურთიერთობას გააგრძელებდა, ეს უკანასკნელი კი, როგორც მეუღლე, შეასრულებდა მასზე ზრუნვის არა მარტო ზნეობრივ, არამედ კანონისმიერ მოვალეობასაც (სკ-ის 1182-ე მუხლი). ამ შემთხვევაში პირველ მოპასუხეს უფრო მეტი მაღლიერებისა და ყურადღების გამოჩენა ევალება და მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა დასაჩუქრებული მესამე პირი/ან თუნდაც ნათესავია. ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ვერ ახერხებდა ბინაზე მფლობელობის აღდგენას პირველი მოპასუხის მხრიდან წინააღმდეგობის გამო, მიუღებელი და გასაკიცხი მოქმედებაა არა მარტო საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით, არამედ კანონიდან გამომდინარეც (სკ-ის 1182-ე მუხლი). შესაბამისად, მხოლოდ ამ გარემოების დადგენაც სრულიად საკმარისი იყო იმ დასკვნისათვის, რომ დასაჩუქრებულმა მოსარჩელის მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა.

რაც შეეხება მოთხოვნის მეორე საფუძველს, საცხოვრისის გასხვისების გამო კასატორის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნას, საკასაციო სასამართლო არც ამ შემთხვევაში დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოსეულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნია, რომ სკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი წინაპირობებიც ვლინდებოდა: მოსარჩელე ხანდაზმული იყო, იგი საჭიროებდა მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას. მას არა ჰქონდა შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის სამუალებები დამოუკიდებლად მოეპოვებინა. ქონების გასხვისებით კასატორი უდავოდ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, მას მოესპო იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებით განეკარგა ქონება, მაგალითად, გააქირაოს (სკ-ის 531-ე მუხლი) და მიიღოს სარგებელი ან მთელი სიცოცხლის მანძილზე მისთვის მისაღებ პირს (მარჩენალს) სარჩოს გადახდის პირობით, გადასცეს უძრავ ნივთზე საკუთრება (სკ-ის 941-942-ე მუხლები) და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად არ გაუარესებულა, სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნა-

წილობრივ, კერძოდ, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისა და ამ ქონებაზე საკუთრების აღდგენის შესახებ; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

12. ქირავნობა

მიმდინარე რემონტის ხარჯები

კანონმდებელი განასხვავებს დამქირავებლის მიერ მიმდინარე რემონტისა და არსებითი გაუმჯობესებისათვის განუღო ხარჯებს იმისდა მიხედვით, თუ დამქირავებელმა რა სახის, რა მასშტაბისა და ხასიათის სამუშაო შეასრულა, კერძოდ, მიმდინარე რემონტი ჩაატარა თუ ფართი არსებითად გაუმჯობესა, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს ადგენს ამ ხარჯების ანაზღაურებისათვის. ერთ შემთხვევაში, თუკი დამქირავებელმა მიმდინარე რემონტის ხარჯი გაიღო, ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუკი ჩატარებული სამუშაოები სცდება მიმდინარე რემონტის ფარგლებს და ამ სამუშაოთა შედეგად ქირავნობის საგანი არსებითად გაუმჯობესდა, ამისათვის განუღო ხარჯები ექვემდებარება დამქირავებლის მხრიდან ანაზღაურებას, თუკი დამქირავებლის თანხმობით გაუმჯობესდა ფართი.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 12 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-744-705-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დამქირავებელმა სარჩელი აღძრა დამქირავებლის წინააღმდეგ და მოითხოვა: ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა; მოპასუხის დავალებულება, გაეთავისუფლებინა შენობა და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენილი დაებრუნებინა მისთვის; ასევე, მან მოითხოვა მიყენებული ზიანის – 8 920 ლარის ანაზღაურება. დამქირავებელმა შეგებებული სარჩელი წარადგინა დამქირავებლის წინააღმდეგ და მოითხოვა: ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმება; ზიანის სახით კი, მის მიერ განუღო ხარჯის – 13 412 ლარისა და გადახდილი ქირის – 1 588 ლარის, სულ 15 000 ლარის ანაზღაურება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დამქირავებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოიშალა ქირავნობის ხელშეკრულება და დამქირავებელს დაევალა 212,6 კვ.მ შენობა-ნაგებობის გათავისუფლება. დამქირავებლის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული ახალი გადაწყვეტილება: დამქირავებლის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, დამქირავებელს დაეკისრა 4 960 ლარი; დამქირავებლის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, დამქირავებელს დაეკისრა 2 387.72 ლარი.

გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დამქირავებელმა გაიღო 2 387.72

ლარი გაზიფიცირების სამუშაოებისათვის, რაც გამქირავებლისათვის სარგებელს წარმოადგენდა: ქირავნობის საგნის მისთვის დაბრუნების შემდეგ, ამ სამუშაოთა შედეგით გამქირავებელს (მესაკუთრეს) შეეძლებოდა, ესარგებლა ისე, რომ თავად აღარ დასჭირდებოდა ხარჯების განევა სამენარმეო დანიშნულებით გამოსაყენებელი ობიექტის ამ აუცილებელი ინფრასტრუქტურული სისტემით აღჭურვისათვის. შესაბამისად, დამქირავებლის შეგებებული სარჩელი ამ ხარჯების ანაზღაურების გამქირავებლისათვის დაკისრების თაობაზე დასაბუთებული იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ დამქირავებელმა დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულება: გამქირავებელთან შეთანხმებულად ჩაატარა დაქირავებულ ფართობში რეკონსტრუქცია-გადაკეთება, რამაც ქირავნობის საგანი ფაქტობრივად დააზიანა. ამ ზიანის აღმოსაფხვრელად (პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად) საჭირო იყო 6 297.66 ლარი, თუმცა მესაკუთრე ითხოვდა მხოლოდ 4 960 ლარის ანაზღაურებას, რის გამოც, სსკ-ის 248-ე მუხლის გათვალისწინებით, სარჩელის დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომ გაზიფიცირების სამუშაოებით გამქირავებელმა მიიღო სარგებელი და ამ სამუშაოთა შედეგით მას შეეძლება ისარგებლოს ისე, რომ თავად აღარ დასჭირდებოდა ხარჯების განევა ამ აუცილებელი ინფრასტრუქტურით სამენარმეო დანიშნულებით გამოსაყენებელი ობიექტის აღსაჭურვად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებით, მხარეები შეთანხმდნენ გრძელვადიან ურთიერთობაზე, ამასთან, დამქირავებელს სამედიცინო საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდებოდა გარკვეული ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ფართი, რისთვისაც ხელშემკვრელმა მხარეებმა იტვირთეს ის ვალდებულებები, რაც უკავშირდებოდა მათ მიზნებს, ამასთან, დაეხმარებოდა დამქირავებელს საქმიანობის განხორციელებაში. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია გამქირავებლის შედავება, რომ მას არასწორად დაეკისრა დამქირავებლის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ გაზიფიცირების სამუშაოებისათვის გადახდილი 2387,72 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მეორე კასატორის პრეტენზიების ის ნაწილი, რომლებიც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაქირავებული ფართის სამედიცინო საქმიანობის მიზნებისათვის, შესაფერისი, აუცილებელი სამუშაოების ჩასატარებლად გაწეული ხარჯების გამქირავებლის სასარგებლოდ დაკისრების უსაფუძვლობას უკავშირდებოდა.

საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ გამქირავებლის სასარგებლოდ, დამქირავებელს უნდა დაკისრებოდა 4960 ლარი. აღნიშნული არ გამომდინარეობდა სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ურთიერთვალდებულებებიდან, გამქირავებელს არ მისდგომია ზიანი, გაქირავებულ ფართში ჩატარებულია გარკვეული სამუშაოები, რაზედაც მხარეთა შეთანხმება არსებობდა, მაგრამ არ არსებობდა პირვანდელი სახით აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რაც ამ ნაწილში მეორე კასატორის პრეტენზიის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და გამქირავებლის დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფის საფუძველი იყო.

საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილებით საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილების ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება.

13. იჯარა

იჯარის ხელშეკრულება

იჯარის ხელშეკრულების მახასიათებელი ნიშნებია გრძელვადიანი ორმხრივი შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება და უზრუნველყოს ამ ურთიერთობის ფარგლებში ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, ხოლო მოიჯარე ვალდებულია, გადაიხადოს საიჯარო ქირა, რომელიც შეიძლება, ნატურითაც ანაზღაურდეს. ამ ურთიერთობის საგანს წარმოადგენს განსაზღვრული ქონება, ასევე, მათგან გამომდინარე ქონებრივი უფლებები.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 13 მაისის განმარტება საქმეზე №ას-8-8-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ ფაქტობრივად განეული ხარჯის – 10 948 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 10 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მხარეთა შორის არსებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხეს დაეკისრა 2 999 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 119,96 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეთა შორის არსებობდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხარეებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა იუო შეთანხმება ერთობლივ საქმიანობაზე, სადაც მოსარჩელის შენატანს მომსახურების განევა, მოპასუხისას – უძრავ-მოძრავი ქონება, ამხანაგობის მიზანს კი – მოგების მიღება წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა არასწორად შეფასდა ერთობლივ საქმიანობად, რამდენადაც საქმეების ერთობლივად გაძლოლის ფაქტზე მათ არ მიუთითებთ, ასევე, ამხანაგობის თანასაკუთრებაში ქონების გადაცემის ან სხვაგვარი შეთანხმების არსებობის ფაქტი არ არის აღნიშნული სარჩელსა და შესაგებებელში, მითითებულის საპირისპიროდ, მხარეთა განმარტება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ კასატორის მიერ მოპასუხისათვის გადაცემული ქონების დაბრუნებაზე, ინვენტარის განადგურების რისკსა თუ სასყიდლის ნატურით ანაზღაურების სა-

კითხის თაობაზე ქმნიდა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ხელშემკვრელ პირთა ნამდვილი ნება სწორედ იჯარის სამართლებრივ ურთიერთობაზე შეთანხმებაა, რამდენადაც, სკ-ის 581-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, იჯარის ხელშეკრულების მახასიათებელი ნიშნებია გრძელვადიანი ორმხრივი შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება და უზრუნველყოს ამ ურთიერთობის ფარგლებში ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, ხოლო მოიჯარე ვალდებულია, გადაიხადოს საიჯარო ქირა, რომელიც შეიძლება, ნატურითაც ანაზღაურდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისათვის; მტკიცების ტვირთი

საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნების შემთხვევაში მოთხოვნის წარმომშობი ფაქტის მითითება (სკ-ის 591-ე მუხლი) ევალება მეიჯარეს, მაგრამ ამ ფაქტის უარყოფელი მტკიცებულების წარდგენა, სკ-ის 602-ე მუხლიდან გამომდინარე, ევალება მოიჯარეს.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 591-ე და 602-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 1 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1203-1130-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეს დაეკისრა 2002 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2012 წლის საიჯარო ქირის – 360 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. მოპასუხეს დაეკისრა 2002 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2012 წლის საიჯარო ქირის გადაუხდელობით გამოწვეული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს – 131,40 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისათვის იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2002-2011 წლების საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს თანხის დაკისრებაზე ხანდაზმულობის გამო, ასევე, უარი ეთქვა მოპასუხისათვის, იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2013-2015 წლების საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს თანხის დაკისრებაზე ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის უსაფუძვლოდ გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მეიჯარის მტკიცება, რომ მოიჯარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც აგრძელებდა საიჯარო ქონებით სარგებლობას. პალატის მოსაზრებით, არ არსებობდა ქონების დაბრუნების დაყოვნების გამო თანხის დაკისრების საფუძველი. აპელანტმა საკუთარი პოზიციის დასაბუთებლად მიუთითა საიჯარო რეესტრის ჩანაწერზე, სადაც მითითებულია, რომ მინის ნაკვეთი დატვირთული

იყო იჯარის ხელშეკრულებით 2015 წლის მარტამდე. პალატამ განმარტა, რომ ზემოხსენებული გარემოება ვერ გამოდგებოდა აპელანტის მოსაზრების დასადასტურებლად, რადგან საჯარო რეესტრის ჩანაწერებში აღნიშნული იყო მხოლოდ ის გარემოება, რომ მიწა დატვირთულია იჯარის უფლებით 2002 წლის 17 დეკემბერს დამონმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მტკიცებულება, რომ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ მოპასუხე კვლავ ფლობდა საიჯარო ქონებას, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო პალატის დასკვნა მცდარია იმ ნაწილში, რომლითაც არ იქნა გაზიარებული მეიჯარის (მოსარჩელე) პრეტენზია ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის (2013-2015 წწ) ქირის დაკისრების თაობაზე. დასკვნის მცდარობა განაპირობა იმან, რომ სასამართლომ არასწორად გაანალიზა მტკიცებების ტვირთი მხარეებს შორის და მოსარჩელეს დაავალა იმის დამტკიცება, რომ მოიჯარეს ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უკან არ დაუბრუნებია. უუდავო იყო, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნის წარმომშობი ფაქტის (ქონების დაბრუნების დაყოვნება) მითითება (სკ-ის 591-ე მუხლი) ევალდებოდა მოსარჩელეს, რაც მან გააკეთა კიდეც, მაგრამ ამ ფაქტის უარყოფელი მტკიცებულების წარდგენა კი – მოიჯარეს სკ-ის 602-ე მუხლიდან გამომდინარე, მითუმეტეს, რომ 2015 წლის 26 მარტამდე, საჯარო რეესტრის მონაცემებით, იჯარის უფლება ისევ მასზე ირიცხებოდა. ამრიგად, კასატორის პრეტენზია ამ ნაწილში დასაბუთებული იყო, რადგანაც განხორციელებულია სკ-ის 591-ე მუხლის პირველი წინადადებით გთვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი წინაპირობები და მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის 736,62 ლარი.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის 736.62 ლარის გადახდა.

14. ნარდობა

სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება;

ვალდებულების პირობათა განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე;

დაზარალებულის პრაქტიკული ზიანის დადგომაში

მომსახურების მიღება შეუძლებელია დაკავშირებული იყოს, განუჭვრეტად რისკთან;

მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 632-ე, 325-ე და 415-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1-1-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, განეული ე.წ როუ-მინგული მომსახურების ღირებულების – 50 611 ლარის ანაზღაურების თაობაზე. თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სწორედ მომხმარებლის (მოპასუხე) მოთხოვნით გადავიდა კონკრეტული სატელეფონო ნომერი მომსახურების პირველ ჯგუფში და მას მუდმივად ჩაერთო როუმინგი, რითაც მან უკვე განია გარკვეული რისკი მოსალოდნელ შედეგებზე. ამასთანავე პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სააბონენტო ნომრით მოპასუხეს გაუგზავნეს გამაფრთხილებელი მოკლე ტექსტური შეტყობინება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავაზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლოს მოსაზრებით, საზღვარგარეთ თანამედროვე ტელეფონებით სარგებლობის წესის განუმარტებლობა არ შეიძლება, შეფასებულიყო მომხმარებელთა უფლებების დარღვევად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მხარეთა შორის არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხემ უკვე განია გარკვეული რისკი მოსალოდნელ შედეგებზე, როდესაც მოითხოვა კონკრეტული აბონენტის მომსახურების პირველ ჯგუფში გადაყვანა და მისთვის მუდმივი როუმინგული მომსახურების უზრუნველყოფა. საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია გასაჩივრებული განჩინების აღნიშნული დასკვნა, რადგან მომსახურების მიღება შეუძლებელია დაკავშირებული იყოს განუჭვრეტად რისკთან. ორ იურიდიულ პირს შორის სამართლებრივ ურთიერთობაში, კონკრეტულ სფეროში ავტორიზებული სამეწარმეო სუბიექტი ვალდებულია, მომხმარებელ სანარმოს მიაწოდოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ საზღვარგარეთ თანამედროვე ტელეფონებით სარგებლობის წესის განუმარტებლობა არ შეიძლება, შეფასებულიყო მომხმარებელთა უფლებების დარღვევად. აღნიშნული მსჯელობა მცდარია და ეწინააღმდეგება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებას.

საკასაციო სასამართლომ, სკ-ის 632-ე მუხლზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ: „მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან“, ელექტრონული კომუნიკაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სპეციალური კანონისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის № 3 დადგენილების საფუძველზე, სწორედ მოსარჩელე იყო ვალდებული, შეესრულებინა სამუშაო – გაეგზავნა უტყუარი, ამომწურავი და გასაგები შეტყობინება მომხმარებლის (მოპასუხის) კონკრეტული აბონენტისათვის. მითითებული მოტივაციით, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების – მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის საკითხი, სწორედ არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოებაა, რომელიც მიმწოდებლის (მოსარჩელე) კანონისმიერი ვალდებულებაა და არა შესაძლებლობა, რომელსაც საკუთარი შეხედულებით, იგი გამოიყენებდა ან არა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ეს ფაქტი არ იყო მტკიცების საგანში შემავალი გარემოება, იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო და არ გამომდინარეობდა კანონის მოთხოვნებიდან, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია ამ ნაწილში კასატორის შედაგება.

სკ-ის 415-ე მუხლის შესაბამისად: „თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეუ-

ლი ზიანი. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცილებინა ზიანი“. საქმის გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ დაარღვია ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულება, მიენოებინა უტყუარი, ამომწურავი და გასაგები ინფორმაცია მომხმარებლისათვის, საზღვარგარეთ როუმინგული მომსახურებით სარგებლობისას, იმგვარად შეცვლილი ტარიფის შესახებ, რომელიც, ხელშეკრულების გაფორმებისას ცნობილი რომ ყოფილიყო, მაღალი ალბათობით, შეთავაზებულ პირობას არ მიიღებდა შემკვეთი, რაც მისი შემდგომი მოქმედებითაც დადასტურდა. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მოდავე მხარეებს თანაბრად მიუძღვოდათ ბრალი ზიანის (დავალიანების) წარმოშობაში, ხოლო მომხმარებელს, არ უარუყვია მომსახურების მიღება, თუმცა ვერ დაასაბუთა, თუ რამდენი ღირდა, საკასაციო სასამართლო მხარეთა შორის პასუხისმგებლობას თანაბრად გაანაწილა და, საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, კასატორს (მოპასუხე), სკ-ის 325-ე მუხლიდან გამომდინარე, დააკისრა 25 306 ლარის ანაზღაურება.

ნარდობის ხელშეკრულების მოშლა

სკ-ის 636-ე მუხლით კანონმდებელი არ ანებს შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის ნაწილობრივად, არამედ, ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამაწონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 15 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-700-670-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მენარდემ აღძრა სარჩელი და მოითხოვა, მის სასარგებლოდ, შემკვეთს დაჰკისრებოდა 266 605 ევროს, ხოლო მიყენებული ზიანის სახით, 200 000 ევროს გადახდა; შემკვეთმა შეგებებული სარჩელი აღძრა და მოითხოვა, მის სასარგებლოდ, მენარდეს დაჰკისრებოდა 238 114 ევროსა და 744 215 ლარის, ასევე, პირგასამტეხლოსა და ჯარიმის სახით – 425 671 ევროს გადახდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა როგორც სარჩელი, ისე შეგებებული სარჩელი, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ორივე აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რაც ასევე ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: უდავოა, რომ მხარეთა შორის დადებული იყო ნარდობის ხელშეკრულებები და ისინი ორივე შემთხვევაში ვადამდე მოშალა შემკვეთმა (სკ-ის 629-ე, 636-ე მუხლები), ასევე, დადგენილია, რომ შემკვეთი, პრაქტიკულად, არ ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს და ყოველი კვარტლის ბოლოს არ უნაზღაურებდა მენარდეს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

სააპელაციო სასამართლომ, აგრეთვე, მიუთითა, რომ 2010 წლის მაისში მენარდემ მია-

ტოვს სამუშაოები, ანუ მოშალა ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ წინააღმდეგობრივად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები, რომლებზეც სააპელაციო პალატამ მიუთითა და განმარტა, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების დადგენას, კერძოდ, პირველად რომელმა მხარემ მოშალა ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლომ სავალდებულოდ მიიჩნია ხელშეკრულების მოშლის ინიციატორის დადგენა, რადგან გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 636-ე მუხლზე მიუთითა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უდავოდ იყო დადგენილი, რომ მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება, ორივე შემთხვევაში, ვადამდე მოშალა შემკვეთმა. სააპელაციო სასამართლოს ეს დასკვნა ეწინააღმდეგებოდა მისავე დასკვნას, რომ მენარდემ 2010 წლის მაისში მიატოვა სამუშაოები ანუ, მოშალა ხელშეკრულება. მოდავე მხარეთა შორის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატორი მხარის დადგენა არსებითი მნიშვნელობისაა, რადგან სამოქალაქო კოდექსი ნარდობის მომწესრიგებელ ნორმათა შორის კონკრეტულ პირობებს განსაზღვრავს ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, იქნება ეს შემკვეთისა თუ მენარდის ინიციატივით.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ნარდობის ხელშეკრულების მოშლა

სკ-ის 636-ე მუხლი ადგენს შემკვეთის უფლებას, უპირობოდ, სამუშაოების დასრულებამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-901-851-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ (მენარდე) სარჩელი აღძრა მოპასუხის (შემკვეთი) წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის, 82 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ანაზღაურება. მან მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სკ-ის 629-ე, 394-ე, 411-ე მუხლებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე ხელშეკრულებიდან გავიდა, როდესაც სხვა კომპანიას გააგრძელებინა სამუშაოები; არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხემ დაიცვა ხელშეკრულებიდან გასვლის სკ-ით დადგენილი წესი. მოსარჩელეს ვალდებულება არ დაურღვევია, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი გახდა შემკვეთის მხრიდან, ამ უკანასკნელისათვის უკეთესი პირობებით, სხვა კომპანიასთან გარიგების დადება. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული გარემოება არ შეიძლება

ბოდა განხილულიყო ხელშეკრულებიდან გასვლის სკ-ის 398-ე მუხლით დადგენილ პირობად, ამ ნორმის საფუძველზე მხარეს არ მოეთხოვება ხელშეკრულების პირობების მკაცრად დაცვა, თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხელშეკრულების საფუძველად არსებული გარემოება ამკარა შეიცვალა, და მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა პირობებით, ეს ცვლილება რომ გაეთვალისწინებინათ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ დაარღვია კეთილსინდისიერი მხარის ქცევის ვალდებულება, კერძოდ, მან აღარ მისცა მოსარჩელეს სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობა და დაასრულებინა სხვა კომპანიას. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე, ხელშეკრულებიდან გავიდა ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე და დადგენილი წესის დაუცველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნარდობის ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკ-ის 636-ე მუხლი ადგენს შემკვეთის უფლებას, უპირობოდ, სამუშაოების დასრულებამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე. სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ინსტიტუტებთან შედარებისას და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთობისათვის ამოსავალი პრინციპის – კონრაპენტთა კეთილსინდისიერების გათვალისწინებით (სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი), შეიძლება ითქვას, რომ ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში 636-ე მუხლი არის ის სპეციალური რეგულაცია, რომელსაც არ სჭირდება წინაპირობების დაცვა. აღნიშნული მჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

დამატებითი შესრულების მოთხოვნა

შემკვეთის მიერ კანონით განსაზღვრულ შესაძლებლობათაგან (სკ 642-ე მუხლი) დამატებითი შესრულების მოთხოვნის არჩევა, კანონითაა დადგენილი და ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის შემადგენელი ელემენტია. კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული მონესრიგებიდან შემკვეთმა თვითონ აირჩია და დამატებითი ვადა განუსაზღვრა მენარდეს, ხოლო ამ უკანასკნელმა დამატებით ვადაში სრულად აღმოფხვრა ნაკლოვანებები, რაც მხარეთა შორის სადავო არაა. შესაბამისად, სკ-ის 642-ე მუხლის დეფინიციის გათვალისწინებით, მოცემულ ვადაში დასრულებული სამუშაოები უნდა ჩაითვალოს შესრულებულად.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-164-160-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ (შემკვეთი) მოპასუხის (მენარდე) წინააღმდეგ მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 887 180 ლარის დაკისრება სკ-ის 417-ე მუხლის საფუძველზე, ასევე, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის ანაზღაურება, სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით შემკვეთის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, მენარდეს დაეკისრა 116 400 ლარის გადახდა, ასევე, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3 492 ლარი. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით მენარდის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, საწარმოსათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, 116 400 ლარის დაკისრების ნაწილში უცვლელად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შემკვეთის სააპელაციო განაცხადი და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მენარდეს დამატებით დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით – 420 980 ლარის ანაზღაურება. იმავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ გაანაწილა მხარეთა მიერ ასანაზღაურებელი სახელმწიფო ბაჟი.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოები იყო ხარვეზიანი, რაც მთლიანად აღმოიფხვრა მხოლოდ 2014 წლის 30 ივლისისათვის. სასამართლომ დაასკვნა, რომ მენარდემ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება – 2014 წლის 1 ივნისს შემკვეთისათვის წარედგინა ნივთობრივად უნაკლო შესრულება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების, 4 850 000 ლარის, 0,04% გონივრული იყო, საბანკო გარანტიის წარდგენის ვადაგადაცილების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარი, მისი შემცირების მოტივით, არ გამომდინარეობდა სსკ-ის 420-ე მუხლის მოთხოვნებიდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეზე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მენარდის მიერ სამუშაოების დასრულების ფაქტის სამართლებრივი შეფასება, რადგან ამას უკავშირდება მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს მართლზომიერების დადგენა. საკასაციო სასამართლო ყურადღება მიაქცია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს და მენარდის მიერ შესასრულებულ სამუშაოთა დასრულების თარიღთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენისას, ცხადია, ნარდობის ურთიერთობაში ფაქტობრივად მისაღწევი შედეგია ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობის წარდგენა შემკვეთისათვის. მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრებოდა ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობის წარდგენის ვალდებულება. ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში განმარტებულია, როგორც ხარისხიანი ნაკეთობის დამზადება, რაც ნარდობის ხელშეკრულების საგნის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, განსაზღვრულ იქნეს ხელშეკრულებით (თანდართული დოკუმენტაციით) ან გარკვეულ ტექნიკურ ნორმატივზე მითითებით. განსახილველ შემთხვევაში, სამართლებრივად უნდა შეფასდეს ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობის დამზადება უზრუნველყო თუ არა მენარდემ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, რისთვისაც მნიშვნელოვანია ობიექტის ტექნიკური დათვალიერების აქტის შინაარსის შეფასება. მენარდემ 2014 წლის 2 ივნისს წერილობით აცნობა შემკვეთს, რომ სამუშაოები დასრულებული იყო, ხოლო 7 ივნისს, მშენებლობაზე ზედამხედველი კომპანიის წარმომადგენელმა და მენარდის სამუშაოთა მწარმოებელმა შეადგინეს დასრულებული სამშენებ-

ლო სამუშაოების ტექნიკური დათვალიერების აქტი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასებისათვის, სკ-ის 642-ე მუხლის დეფინიციის გათვალისწინებით, 2014 წლის 1 ივნისის მონაცემებით დასრულებული სამუშაოები უნდა ჩაითვალოს შესრულებულად, რადგან, სპეციალისტის შეფასებით, ძირითადი სამუშაოები დამთავრებული იყო, ხოლო მცირე ხარვეზებისათვის 40-დღიანი დამატებითი ვადის განსაზღვრა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ არსებითი (ძირითადი) სამუშაოები განხორციელდა, ხოლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად დამატებით ვადის განსაზღვრული ვადა საკმარისი იყო. დამატებით ვადაში მენარდემ უზრუნველყო მცირე ხარვეზების აღმოფხვრა.

ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, ამ ტიპის ხელშეკრულების სპეციფიკურობის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზუმირებულია გარკვეული ნაკლისა თუ ხარვეზის აღმოჩენა/გამოვლენა, შემკვეთის მიერ დამატებითი შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობასაც ადგენს სკ-ის 642-ე მუხლით, თუმცა ეს არაა ერთადერთი რეგულაცია, რადგან დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, კანონმდებელი ადგენს შესაძლებლობას, შემკვეთმა თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება სკ-ის 643-ე მუხლი), ასევე, ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთს სკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით, შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სკ-ის 644-ე მუხლი), ხოლო, თუკი შემკვეთი არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას არ მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს არ განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია, შეამციროს საზღაური იმდენით, რამდენითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას (სკ-ის 645-ე მუხლი). დასახელებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და მის მონაწილეთა კეთილსინდისიერების ნაგულები პრეზუმფციის (სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი) გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთის მიერ კანონით განსაზღვრულ შესაძლებლობათაგან დამატებითი შესრულების მოთხოვნის არჩევა, კანონითაა დადგენილი და ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის შემადგენელი ელემენტია. სკ-ის 642-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მენარდეს შეუძლია, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს. განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული უფლება მენარდეს არ გამოუყენებია. ამდენად, კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული მონესრიგებიდან შემკვეთმა თვითონ აირჩია და დამატებითი ვადა განუსაზღვრა მენარდეს, ხოლო ამ უკანასკნელმა დამატებით ვადაში სრულად აღმოფხვრა ნაკლოვანებები, რაც მხარეთა შორის სადავო არაა. მეორე კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია, რადგან შემკვეთის მიერ მენარდისათვის დამატებით განსაზღვრულ ვადაში სამუშაოების დასრულების მიუხედავად, ამ უკანასკნელს მაინც დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა, რაც დაუსაბუთებელია ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით.

15. გადაზიდვა-გადაყვანა

გადაზიდვის ხელშეკრულება

სკ-ის 668-ე მუხლის საფუძველზე გადახდილი გადაზიდვის საზღაური არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს ზიანად.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-569-544-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანისა და გადაზიდვის ხარჯის დაკისრების მოთხოვნით, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაზიდვის საზღაურის – 394,9 ლარის კასატორისათვის დაკისრების თაობაზე, ქვემდგომი სასამართლოს განჩინება სსკ-ის 393-ე მუხლის დარღვევით იყო მიღებული. იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ გადაზიდვის საზღაური სკ-ის 668-ე მუხლის ფარგლებში იყო გადახდილი, რომელიც გადამზიდველს არც გამგზავნის მითითების და არც გადაზიდვის ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (სკ-ის 684-ე მუხლის შესაბამისად, გადამზიდვს, გამგზავნის მითითების შესრულების შემთხვევაში, წარმოემოზოდა დამატებითი შესრულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოსარჩელის მიმართ), არ წარმოემოზოდა, ეს თანხა არ შეიძლება მიჩნეულიყო კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანად და, შესაბამისად, მისი ანაზღაურება არ შეიძლება, დაკისრებოდა კასატორს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა გადაზიდვის ხარჯის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

16. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე და იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობა არ იძენს იურიდიული პირის სტატუსს, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ამხანაგობის თითოეულ წევრს.

- საქართველო სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-803-758-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ (შუამავალი)

სარჩელით მიმართა სასამართლოს შემკვეთის (მოპასუხე) წინააღმდეგ და, ზიანის სახით, მოპასუხისათვის 389 400 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის განჩინებით, შუამავლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამავალს არ წარუდგენია მტკიცებულებები, საშუამავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. ამასთან, ვინაიდან, შუამავლის სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა მის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტს, ამ გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრებოდა.

სასამართლომ სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სკ-ის 317-ე, 629-ე და 744-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ გასამრჯელოს/საზღაურის გადახდა დამოკიდებულია შუამავლობის შედეგად ხელშეკრულების დადებაზე ან გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე. თუ ეს გარემოებები სახეზე არ ვლინდება, მაშინ არც თანხის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშობა. ვინაიდან, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა შუამავლის მიერ არც საშუამავლო და არც საზედამხედველო ვალდებულებების შესრულება, შესაბამისად, არ არსებობდა საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებაც.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია და ემსჯელა მხარეთა ურთიერთვალდებულებები უკავშირდებოდა საშუამავლო გარიგებას (სკ-ის 744-ე მუხლი) თუ ერთობლივ საქმიანობას სსკ-ის 930-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლოს დამატებით უნდა ემსჯელა საშუამავლო ხელშეკრულებაზე, როგორც ორმხრივ კონსესუალურ გარიგებაზე, რომელიც გულისხმობს შუამავლის მოქმედებებს, შემკვეთის ინტერესების სასიკეთოდ, რათა მიღწეულ იქნეს მესამე პირებთან ხელშეკრულების დადება, რაც უკავშირდება სასყიდლიან ანუ ანაზღაურებად საქმიანობას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ სკ-ის 744-ე მუხლში მითითებული გასამრჯელო, ამავე კოდექსის 745-ე, 748-ე მუხლების დეფინიციის გათვალისწინებით, არ გულისხმობს ნატურით ანაზღაურებას, როგორც ეს განსახილველ შემთხვევაში ჰქონდათ დათქმული მხარეებს 2005 წლის 1 დეკემბერს ხელმოწერილი გარიგებით, შესაბამისად, გამოსაკვლევი იყო საკითხი, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ხომ არ განეკუთვნებოდა სკ-ის 930-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთობლივ საქმიანობას.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

საერთო ქონების მართვა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მოვალეობები,
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდება და კრება

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის გამგეობის, როგორც ასეთი ორგანოს არსებობას კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე (დაშვებულია, რაც აკრძალული არ არის კანონით, სკ-ის მე-10 მუხლი), ამხანაგობას შეუძლია, შექმნას ნებისმიერი სხვა ორგანო, გარდა კანონით გათვალისწინებულია, ოღონდაც იმ პირობით, რომ ეს არ შეაფერხებს და არ გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული ორგანოების, წევრთა საერთო კრებისა და თავმჯდომარის, ფაქტობრივ გაუქმებას.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლები
- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, 21-ე და 23-ე მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 26 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1046-986-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეს დაეკისრა საერთო ქონების მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის – 8625.04 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. ცილისმნამებლური განცხადებების უარყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ 2008 წლის 13 მარტს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე დაფუძნდა ამხანაგობა, დამტკიცდა წესდება და აირჩიეს ამხანაგობის გამგეობა 9 წევრის შემადგენლობით. კრებას 33 წევრიდან ესწრებოდა 25, ე.ი. წევრთა 2/3. სასამართლომ დაასკვნა, რომ კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, ვინაიდან მას არაა 25, არამედ 18 წევრი ესწრებოდა, ხოლო კრების არალეგიტიმურობას ის გარემოებაც ადასტურებდა, რომ კრების ოქმს ხელს არ აწერდნენ დამსწრე წევრები. გამგეობის გადაწყვეტილება უკანონო იყო, რადგან გამგეობა აირჩია კრებამ, რომელზეც არ იყო გადაწყვეტილებისათვის საკმარისი კვორუმი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ, გაიზიარა კასატორის (მოსარჩელე) პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა შენობის მოვლისა და ექსპლუატაციისთვის მოსაკრებლის დაწესებისა და მისი ოდენობის განსაზღვრის გამგეობისთვის დელეგირებისა და წესდების მიღების შესახებ ამხანაგობის საერთო კრების 13.03.2008 წ. გადაწყვეტილების, ასევე, მოსაკრებლის დადგენის თაობაზე გამგეობის 23.04.2008 წ. გადაწყვეტილების, ბათილად მიჩნევის შესახებ უკანონო იყო. მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებები, შესაბამისად, ამხანაგობის სარჩელის ფარგლებში, რომლითაც მოთხოვნილია საერთო საკუთრებაში რიცხული ქონების მოვლა-პატრონობისთვის ამხანაგობის მიერ განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდა, სასამართლოს არ უნდა ემსჯელა ამხანაგობის გადაწყვეტილებების ან/და საერთო კრებაზე დამტკიცებული წესდების კანონიერებაზე, კრების

მონვევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურის ლეგიტიმურობაზე.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ, მეორე მუხლებზე, მე-8 მუხლის პირველ ნაწილზე, მე-13 მუხლზე, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებობდა კანონისმიერი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც უკავშირდება ამხანაგობის საერთო ქონების ნორმალურ ფუნქციონირებას და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სავალდებულოა ამხანაგობის წევრებისათვის. ამხანაგობის გამგეობის, როგორც ასეთი ორგანოს არსებობას, კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე (დაშვებულია, რაც აკრძალული არ არის კანონით (სკ-ის მე-10 მუხლი), ამხანაგობას შეუძლია, შექმნას ნებისმიერი სხვა ორგანო, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, ოღონდაც იმ პირობით, რომ ეს არ შეაფერხებს და არ გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული ორგანოების – წევრთა საერთო კრებისა და თავმჯდომარის ფაქტობრივ გაუქმებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამხანაგობის კრების ოქმის, წესდებისა და ამხანაგობის კრების მიერ არჩეული მართვის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არსებობის პირობებში, გამგეობის მიერ განსაზღვრული მოსაკრებლის დაკისრების მოთხოვნა წარმოიშვა, იგი არ შეწყვეტილა და განხორციელებადია. შესაბამისად, საფუძვლიანია სარჩელი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე განსაზღვრული მოსაკრებლის ამხანაგობის წევრისთვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის არგუმენტები, რომ სასამართლომ არ გამოიყენა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. მითითებული ნორმის მიხედვით: „ამხანაგობის წევრთა კრების გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. თითოეული მესაკუთრე უფლებამოსილია, გაეცნოს ოქმს“. ამხანაგობის 13.03.2008 წ. კრების ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი, კანონი არ მოითხოვს კრების ოქმზე ყველა დამსწრე პირის ხელმოწერას. ამდენად, ამხანაგობის 13.03.2008 წ. კრების ოქმი და მის საფუძველზე მიღებული 23.04.2008 წ. ოქმი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად განმარტა კანონის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილი. მოპასუხეს მოსაკრებელი დაკისრებული ჰქონდა საერთო ქონების მოვლა-შენახვისათვის. მოპასუხე ამხანაგობის წევრი გახდა 2013 წლის დეკემბერში და იგი მონაწილეობას ვერ მიიღებდა ამხანაგობის 13.03.2008 წ. და 23.04.2008წ. კრებებზე, როდესაც დაწესდა მოსაკრებელი და მას ესწრებოდა ის სუბიექტი, რომელიც იყო უძრავი ქონების მესაკუთრე იმ პერიოდში. მოპასუხეს არ მოუთხოვია ამხანაგობის 23.04.2008 წ. საერთო კრების მიერ დადგენილი მოსაკრებლის გადასინჯვა და არ მიუმართავს ამ მიზნით ამხანაგობისათვის და, როგორც ზემოთ აღინიშნა, არც სასამართლოში გაუსაჩივრებია იგი.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

17. უსაფუძვლო გამდიდრება

პითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები

კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა ვლინდებოდეს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-135-131-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად 2800000 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის, 1 036 000 ლარის, დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა 3,360,000 ლარის გადახდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სკ-ის 976-ე მუხლის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტია ის გარემოება, რომ მესამე პირზე არ გაიცა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი, რის გამოც გარიგება, რომლის დადების მიზნითაც მოსარჩელემ გადაარიცხა თანხა, არ შედგა. ის, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება აუქციონის შედეგების ბათილობის თაობაზე, პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. 2009 წლის 24 აპრილის სპეციალურ აუქციონს საბოლოო შედეგი არ მოჰყოლია და აუქციონზე გატანილი ქონება ისევ ირიცხებოდა სახელმწიფოს სახელზე. სახელმწიფოს ქმედებების შეცილების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის, სწორედ სახელმწიფოს უნდა დაემტკიცებინა, მოცემულ შემთხვევაში, რატომ არ გამოიცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ერთი თვის ვადაში თანხის გადაუხდელობის შედეგად აუქციონის შედეგების ბათილობის თაობაზე ადმინისტრაციული აქტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა ვლინდებოდეს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ რისი შედეგია უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედებისა თუ მესამე პირთა მოქმედების ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ პირი გამდიდრდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების იზრდება მეორის ქონების შესაბამისი

შემცირების ხარჯზე.

სკ-ის 976-ე მუხლი ისეთ შემთხვევებს არეგულირებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სადავო თანხა სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხა კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების შედეგად, კერძოდ, დადგენილი იყო, რომ 2009 წლის 8 მაისს, მოსარჩელის ანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხა 2,800,000 ლარი.

ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება აუქციონის შედეგების ბათილობის თაობაზე, მოსარჩელის/აპელანტის მითითებას სადავო თანხის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაირიცხვასა და მიღებაზე, სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არ გააჩნია, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს კონდიქციური ვალდებულების არსებობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებული იყო, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება – დაუსაბუთებელი, რის გამოც მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

შესრულების კონდიქცია

უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის მომწესრიგებელი არცერთი ნორმა არ ადგენს კრედიტორის უფლებადაცავ იმგვარ დანაწესს, რომელიც ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კრედიტორის სუბიექტური ინტერესის შესაბამისად დაადგენდა, შესრულების კონდიქციის მიზანი უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპენსაცია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობების არსებობისასა დასაშვები.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე და 979-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-344-329-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 703 610,51 ლარის (სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოების ღირებულება – 261 851,88 ლარი, ხოლო შეძენილი და დამონტაჟებული საჭაერო ამომრთველის ღირებულება – 441 758,63 ლარი) გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელემ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოპასუხის მიმართ შეასრულა გარკვეული ვალდებულება, რომლის საერთო ღირებულება 703 610,50 ლარს შეადგენს, შესაბამისად, მოპასუხე დაავალდებულა, დაუბ-

რუნოს შემსრულებელს ის, რაც მან ვალდებულების გარეშე მიიღო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ საჰაერო ამომრთველის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში გაიზიარა კასატორის პრეტენზიები და აღნიშნა შემდეგი: შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე, გამდიდრების კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება შეიძლება იყოს. უპირველესად, უნდა შემოწმდეს რამდენადაა შესაძლებელი ამ ნივთის დაბრუნება (სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი) და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო (სკ-ის 979.2 მუხლი). სარჩელის თანახმად, კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორმა ზემოხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში შეიძინა და დაუმონტაჟა მოვალეს ნივთი, რასაც შესაგებლით არ დაეთანხმა მოპასუხე და განმარტა, რომ ნივთის გადაცემით იგი არ გამდიდრებულა, ნივთი დასაწყობებულია და მას იგი არ მოუხმარია. ამ გარემოების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გადაცემული ნივთის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს იმის დადასტურება, რომ ნივთი მართლაც დაამონტაჟა, ამ დამონტაჟების შედეგად გაუმჯობესდა მოვალის ქონებრივი მდგომარეობა და მან დაზოგა შესაბამისი მატერიალური სახსრები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კასატორის ის შედაგებაც, რომლის თანახმადაც მოთხოვნის წარმოშობის დროისათვის ნივთის ღირებულების განმსაზღვრელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა იმის თაობაზე, რომ საჰაერო ამომრთველი, რადგანაც გამდიდრების კრედიტორისათვის გამოსაყენებელ ნივთს არ წარმოადგენს და მისი უკან დაბრუნება მოსარჩელის ინტერესს არ შეესაბამება, ამასთანავე, გადაეცა არა ფორმალური ნასყიდობის, არამედ მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ნივთის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე სარჩელი საფუძვლიანია. სააპელაციო პალატის ამგვარი მსჯელობა არ გამომდინარეობდა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ასევე 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების სწორი განმარტებიდან. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის მარეგულირებელი არცერთი ნორმა არ ადგენს კრედიტორის უფლებადაცვა იმგვარ დანაწესს, რომელიც ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კრედიტორის სუბიექტური ინტერესის შესაბამისად დაადგენდა, შესრულების კონდიქციის მიზანი უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპენსაცია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობების არსებობისასა და დასაშვები.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები;
უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები;
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები;
მესამე პირის ვალდებულება, უკან დაბრუნოს უსაფუძვლოდ
მიღებული;
არასათანადო მოპასუხის შეცვლა

მხოლოდ იმის დადგენა, რომ ქონებრივი გადაადგილება განხორციელდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აუცილებელია იმის დადგენაც, ამის შედეგად გამდიდრდა თუ არა მოპასუხე, ანუ ამ გადაადგილებით გაიზარდა თუ არა მისი ქონება.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე, 979-ე, 982-ე და 989-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 31 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1193-1122-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე, 165 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით (№2-2172-14) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის გადახდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სკის 316-ე, 317-ე, 976-ე, 977-ე, 979-ე მუხლები. მხარეებმა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, პირი, რომელმაც ქონება უსაფუძვლოდ მიიღო, მოვალეა, აგრეთვე, დააბრუნოს ან ანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვა ან უნდა მოეპოვებინა იმ დროიდან, როცა შეიტყო ან უნდა შეეიტყო, რომ ქონება უსაფუძვლოდ ჰქონდა მიღებული. ამასთან, დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება, აგრეთვე, ყველა იმ შემთხვევაზე, რაც მოვალემ მიიღო უსაფუძვლოდ მიღებული ქონების განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმების ანაზღაურების სახით. თუ აღნიშნული ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, გადაცემული ქონების მდგომარეობის ან სხვა მიზეზით, უნდა ანაზღაურდეს ქონების შეძენის მომენტში არსებული ღირებულებით. ქონების დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა შემძენმა იგი სხვას გადასცა უსასყიდლოდ, რადგან მან გააჩუქა სხვისი ქონება და თავისი დაზოგა. კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ უსაფუძვლოდ სხვისი ქონებით სარგებლობის ან სხვის ხარჯზე რაიმე სარგებლის მიღების შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს დაზოგილი ხარჯების ტოლფასი თანხა.

პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ სადავო მინის ნაკვეთის გაჩუქებით უსაფუძვლოდ დაზოგა მისი ქონება 20 000 ლარით, შესაბამისად, მოპასუხეს სწორედ მის მიერ უსაფუძვლოდ დაზოგილი ქონების ტოლფასი თანხის ანაზღაურება უნდა დაჰკისრებოდა

და არა 165 000 ლარი, ვინაიდან სადავო უძრავი ქონება მიჰყიდა არა მოპასუხემ, არამედ ვ-ქემ, რომელმაც ქონება დასაჩუქრებულისაგან შეიძინა 21000 ლარად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოპასუხისათვის 165 000 ლარის დაკისრების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა უსაფუძვლო გამდიდრების (კონდიქცია) ნორმებზე. ყველა სახის კონდიქციური მოთხოვნის, მათ შორის, შესრულების კონდიქციის დროს (სკ-ის 976-981-ე მუხლები) მოპასუხე (მოვალე) აუცილებლად უნდა იღებდეს ქონებრივ სარგებელს, ანუ მდიდრდებოდა. ამ წინაპირობის არარსებობა კი, იმთავითვე გამორიცხავს მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ მოპასუხეს სახელმწიფომ სპეციალური კანონის საფუძველზე ქონება საკუთრებაში გადასცა მიზანმიმართულად (შესრულების კონდიქცია) და მხოლოდ მოგვიანებით, ისიც მესამე პირის და არა სახელმწიფოს მოთხოვნით, გამოეცალა ამ შესრულებას სამართლებრივი საფუძველი, რაც შეიძლება, საფუძველად დასდებოდა მოსარჩელის (შემსრულებლის) მხრიდან შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნას სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუმცა იმის გამო, რომ მიმღებმა მიღებული უსასყიდლოდ გადასცა (აჩუქა) მესამე პირს, ხოლო ამ უკანასკნელმა კი, მოგვიანებით გაყიდა მიღებული, მოპასუხე არ წარმოადგენს იმ პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე (სსკ-ის 85-ე მუხლი). მოპასუხის სათანადოობა უკავშირდება სადავო მატერიალურსამართლებრივ ურთიერთობას, მისგან გამომდინარე მოთხოვნების ნამდვილობის წინაპირობებს და ამ წინაპირობების განხორციელების სამართლებრივ შედეგებს. მხოლოდ იმის დადგენა, რომ ქონებრივი გადაადგილება განხორციელდა სამართლებრივი საფუძველის გარეშე, არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აუცილებელია იმის დადგენაც, ამის შედეგად გამდიდრდა თუ არა მოპასუხე, ანუ ამ გადაადგილებით გაიზარდა თუ არა მისი ქონება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხემ მესამე პირზე ქონების გაჩუქებით დაზოგა მისი ქონება 20 000 ლარით. ამ შემთხვევაში ქონება არ გადაცემულა ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ (სსკ-ის 525-ე მუხლის მესამე ნაწილი) და არც დასაჩუქრებულს წარმოშობია რაიმე სახის საპასუხო ვალდებულება, შესაბამისად, არც მისი ქონება არ გაზრდილა. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სკ-ის 989-ე მუხლის დანაწესით და, აქედან გამომდინარე, მოპასუხის არასათანადოობის გამო უარეყო სარჩელი.

ამრიგად, მოპასუხის გამდიდრების ფაქტის არარსებობა გამორიცხავს სარჩელის საფუძველიანობას – არა მარტო შესრულების, არამედ ხელყოფის კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნასაც (სკ-ის 982-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ დააკამოფილა მოპასუხის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა საჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკამოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ვითომ-კრედიტორისგან გამომთხოვის საფუძველი;
უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 21 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-341-326-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა, ამ უკანასკნელისათვის, მოსარჩელისადმი მიყენებული ზიანის – 6 351 000 აშშ დოლარის დაკისრება, სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 979.2 მუხლის საფუძველზე. მისი განმარტებით, მოპასუხემ ბათილი გარიგების საფუძველზე მიღებული ქონების რეალიზაციით მიიღო ეს თანხა. მან ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის 600 000 ლარის დაკისრება, სკ-ის 979.1 მუხლის შესაბამისად, რაც დივიდენდის სახით მიიღო მოპასუხემ, ასევე – მიუღებელი შემოსავლის სახით, სკ-ის 411-ე მუხლით, სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულ ანაზღაურებამდე, დაკისრებული თანხის წლიური 6 %.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, მოპასუხეს 5 339 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა, ხოლო დაკმაყოფილებული მოთხოვნის შესაბამისად, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად 2000 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 4137.5 ლარის გადახდა. მოსარჩელეს უარი ეთქვა მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა აპელაციის წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. განჩინება ორივე მხარემ გაასაჩივრა კასაციის წესით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები და შეფასებები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, დადგინდად მიიჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდებოდა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების (სკ-ის მ. 976) საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ, საქმის მასალების შესწავლის, მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის შედეგად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივად გაანალიზებით, მიიღო გადაწყვეტილება პირველი კასატორის (მოპასუხის) მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მეორე კასატორის (მოსარჩელის) საკასაციო საჩივრის უარყოფის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა იმას ეფუძნებოდა, რომ საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 30.12.2005წ. დადებული ხელშეკრულებები, ხოლო შესრულების მიმღები (მოპასუხე) იმიტომ არის უსაფუძვლოდ გამდიდრებული, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება არ არსებობდა. მოსარჩელის მტკიცებით, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ არსებობს ნამდვილი ხელშეკრულებები, მას წარმოეშვა უფლება, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით დააყენოს მოთხოვნა მოპასუხის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოსარჩელესთან ერთად,

მოპასუხე იყო მინორიტართა ინიციატივით დაწყებულ და 2012 წელს დასრულებულ დავაში. იმის გამო, რომ მოპასუხემ გაასხვისა სამი საწარმოს წილი, სკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მოსარჩელემ მოითხოვა გაბათილებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მოპასუხის მიერ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის დაბრუნება. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს, რომ რადგან მოსარჩელის მინორიტარმა აქციონერებმა 2008 წელს დაიწყეს დავა მოცემული დავის სუბიექტების – მოსარჩელისა და მოპასუხის, როგორც მოპასუხეების წინააღმდეგ, საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმისა და სს-სა და მ-იას შორის დადებული წილთა დათმობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რათა ე.წ. მცირე აქციონერთა ინტერესის გათვალისწინებით, სს-ის წილები სხვა საზოგადოებებში, ერთ-ერთ პარტნიორს არ გადასცემოდა, მოპასუხეს არ უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ საზოგადოების სურვილი იყო, მერიისათვის წილების საკუთრებაში უსასყიდლოდ დაბრუნება.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოტანილი დასკვნის გათვალისწინებით, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხეს, როგორც იმხანად სს-ის 50,1 %-ის მფლობელ მაჟორიტარ აქციონერს, სამი სხვა საწარმოს სანესდებო კაპიტალში სს-ის კუთვნილ წილზე იურიდიულად ჰქონდა უფლება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი იურიდიული შედეგის სააქციო საზოგადოების ფაქტობრივ წინაპირობად გამოყენება მოპასუხის წინააღმდეგ, რომელიც დასახელებულ დავაში მოსარჩელესთან ერთად მოპასუხის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობდა, თითქოსდა მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრების გამო, გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნით, დაუსაბუთებელია პროცესუალურსამართლებრივი და აქედან გამომდინარე, მატერიული საფუძვლის გათვალისწინებით.

ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი

სამართლებრივ სიკეთეთა უსაფუძვლო განააცვლების შედეგად ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კანონმდებელი უკავშირებს ფულად ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრება მფლობელის (დაზარალებულის) მიერ ფაქტობრივად განეული დანახარჯებით გამოწვეული გამდიდრებით და არა ამ დანახარჯების საფუძველზე განხორციელებული გაუმჯობესების საბაზრო ღირებულებით.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-318-303-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი მოპასუხისათვის 455 868 ლარის დაკისრების თაობაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელეების სასარგებლოდ დაეკისრა 455 868 ლარის გადახდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ უძრავი ქონების შეძენისას მოსარჩელები წარმოადგენდნენ კეთილსინდისიერ შემძენებს, მათ სადავო შენობის აშენებაზე განიეს ხარჯები, თუმცა, მოსარჩელეთა საკუთრების უფლების წარმომშობი დოკუმენტის (ნასყიდობის ხელშეკრულების) სასამართლოს მიერ ბათილად ცნობის გამო, სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაეცა მფლობელების ხარჯით აშენებული კომერციული ფართი, რის შედეგადაც მინის მესაკუთრე უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა კასატორის სამართლებრივ არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სკ-ის 980-ე მუხლზე დაყრდნობით არასწორად დააკმაყოფილა სარჩელი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტების გათვალისწინებით, სკ-ს 980-ე მუხლის გამოყენებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გადაჭრა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის კონკურენციის საკითხი, თუმცა არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, მან ისე დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ქონების საბაზრო ღირებულების ანაზღაურების თაობაზე, რომ არ დაუდგენია გამდიდრების ფაქტის არსებობა და მისი ოდენობა, რამდენადაც სამართლებრივ სიკეთეთა უსაფუძვლო გადასაცემების შედეგად ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კანონმდებელი უკავშირებს ფულად ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრება მფლობელის (დაზარალებულის) მიერ ფაქტობრივად განეული დანახარჯებით გამონვეული გამდიდრებით და არა ამ დანახარჯების საფუძველზე განხორციელებული გაუმჯობესების საბაზრო ღირებულებით. ამ მხრივ, სასამართლოს არ გაუთვალისწინებია მოპასუხის მიერ შესაგებელში გამოთქმული შედაგება, ისე დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას შენობის ღირებულების განსაზღვრის თაობაზე, რაც, როგორც აღინიშნა, კონდიქციური სარჩელის მოთხოვნებიდან არ გამომდინარეობს.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა მოსარჩელების მიმართ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით გარანტირებული უფლების დარღვევის თაობაზე და განმარტავს, რომ უცილოდ ბათილი განკარგვის პირობებში მოსარჩელებს საკუთრების უფლება არ მოუპოვებიათ, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით აღიარებული საკუთრებით თავისუფალი სარგებლობის ნეგატიური ვალდებულების დარღვევაზე საუბარი გაუმართლებელია, რამდენადაც არ არსებობს დაცვის ობიექტი – საკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

შეცდომით სხვისი ვალეზის გასტუმრება

სკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ვალი და იგი არა მოვალემ, არამედ მესამე პირმა გაისტუმრა.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 16 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1069-1022-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მყიდველის ბინის შესაძენად საქირო 35000 აშშ დოლარიდან 27500 აშშ დოლარი მოსარჩელემ გამყიდველს საკუთარ-

რი სახსრებით გადაუხადა.

მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, სესხის – 27500 აშშ დოლარისა და ზიანის – 4125 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 16200 აშშ დოლარის გადახდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე; მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისათვის წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის – 2000 ლარის დაკისრებაზე. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნია, რომ ამ უკანასკნელმა სამართლებრივად სწორად შეაფასა ისინი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სკ-ის 623-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, მართებულად დაეკისრა 16200 აშშ დოლარის გადახდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი იყო მოპასუხის (პირველი აპელანტის) მიერ გასაჩივრებულ ნაწილში და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო ურთიერთობა, კერძოდ, ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არასწორად გამოიყენა სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 986-ე მუხლი. მითითებული ნორმის მიხედვით, სხვისი ვალის გადახდა კონდიქციური ვალდებულების საფუძველი ხდება იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადამხდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება.

სკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ვალი და იგი არა მოვალემ, არამედ მესამე პირმა გაისტუმრა.

მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს (მყიდველს) გამყიდველისათვის უნდა გადაეხადა 35000 აშშ დოლარი. დადგენილია ისიც, რომ მყიდველის ვალდებულება გამყიდველის წინაშე ნაწილობრივ შეასრულა მესამე პირმა (მოსარჩელემ). ეს შესრულება შეესაბამება სკ-ის 371-ე მუხლის დანაწესს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არსებობდა სკ-ის 986-ე მუხლის წინაპირობები, კერძოდ, მოსარჩელემ შეგ-

ნებულად გაისტუმრა მოპასუხის ვალი, რითაც ეს უკანასკნელი მოსარჩელის ხარჯზე გამდიდრდა (დაზოგა საკუთარი ქონება), შესაბამისად, მოსარჩელემ განიცადა ქონებრივი დანაკლისი, ამასთან, სამართლებრივმა სიკეთემ მოსარჩელისაგან (კრედიტორიდან) მოპასუხესთან (მოვალესთან) უსაფუძვლოდ გადაინაცვლა. აქედან გამომდინარე, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის უპირველესი ფუნქცია კრედიტორის ადრინდელი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაა, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს უკან უნდა დაუბრუნოს დაზოგილი ქონება.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

18. დელიქტური ვალდებულებანი

ზიანის ანაზღაურება

სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელმწიფოებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 408-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ას-155-151-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხის – 20 036 ლარისა და 2014 წლის ივლისიდან სარჩოს – 1 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიუთითა შემდეგი: საქმეში წარმოდგენილი აქტებითა და მოპასუხის კონკლუდენტური ქმედებებით დასტურდება დამსაქმებლის ვალდებულება, გადაუხადოს სარჩო მოსარჩელეს. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების პირველივე პუნქტში მითითებულია, რომ შრომითი მოვალეობის დროს ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება შრომის კოდექსით და სკ-ის ნორმებით. აღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმში სწორედ იმდენი ხელფასია, რომელსაც მოსარჩელე მიიღებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა მოპასუხისათვის დასაკისრებელი სარჩოს ოდენობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უკვე დაწინაურებული სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი აქვს, თუმ-

ცა, განსახილველ შემთხვევაში, ის სრულად წარმოშობილი და განხორციელებადი არ იყო. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ამ საკითხზე მყარად დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე და განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“, რომელიც ძალადაკარგულია 03/02/2013 წლიდან, არ ითვალისწინებდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული „ზიანის ანაზღაურების სარჩოს“ გადაანგარიშების სპეციალურ წესს. მთავრობის შემოსხენებული დადგენილების თანახმად, ახლებურად მოწესრიგდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესები. სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით. სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ შექმნილიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თავად ის გარემოება, რომ, ჯანმრთელობის დაზიანების გამო, მოსარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის არარსებობის პირობებში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა ხელფასს, თუმცა განუსაზღვრელი ვადით სარჩოს დაწესება, თავისთავად არ გულისხმობს სარჩოს უვადოდ გადახდის ვალდებულებას. სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმდენით, რამდენითაც სარჩოს მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო (შდრ: სუსგ, №ას-169-497-09, №ას-939-889-2015; №ას-84-80-2016).

ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმაზე, შესრულებულია თუ არა ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა. შესაბამისად, მოთხოვნის წარმოშობას ხელს არ უნდა უშლიდეს გამომრიცხველი გარემოების არსებობა და წარმოშობილი მოთხოვნა განხორციელებადი უნდა იყოს. განსახილველ შემთხვევაში, 2011 წლის ნოემბრის შემდეგ, მოთხოვნის წარმოშობას აბრკოლებს დაზარალებულის ასაკი. მოქმედი კანონმდებლობით დაზარალებულ მამაკაცთა საპენსიო ასაკი 65 წლით განისაზღვრება, შესაბამისად, პრეზუმირებულია, რომ ამ ასაკამდე მოსარჩელე იმუშავებდა თავისი პროფესიის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამღვარი ზიანის ანაზღაურება

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 4 მარტის განმარტება საქმეზე №ას-811-762-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებულის მკურნალობაზე განეულის ხარჯების, 35 401.35 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის ლარის დაკისრების ნაწილში, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი იყო სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობების ერთობლივად არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნას არ გააჩნდა პერსპექტივა. პალატამ დაასკვნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხემ შეძლო მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურება კერძოდ, მის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობის დამტკიცება. პალატის მოსაზრებით, არ არსებობდა მოპასუხის მიმართ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებიც.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ, რადგანაც არ არსებობდა სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წინამძღვარი, კერძოდ, ზიანის მიმყენებლის ბრალი, სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი იყო. ამის საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სასამართლოს სკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის წინაპირობები უნდა გამოეკვლია და შემდეგ უნდა გამოეტანა შესაბამისი დასკვნები.

სკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამა პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომ-

ხმარების ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ დავის მოსაწესრიგებლად სკ-ის 992-ე მუხლის გამოყენება იმთავითვე გამორიცხული იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება, იყოს სკ-ის 999-ე მუხლის პირველი ან მეოთხე ნაწილი. საქმის ხელახალი განხილვისას, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს მოპასუხის სამართლებრივი სტატუსი, წარმოადგენდა თუ არა იგი ავტოსატრანსპორტო საშუალების იურიდიულ მფლობელს, ანუ პირს, რომელიც კანონიერი საფუძველით ფლობს ნივთს. ამ გარემოების გარკვევაზეა დამოკიდებული მოპასუხის სათანადოობის საკითხი (სსკ-ის, 85-ე მუხლი) და შემდგომში დადგენილი ყველა ფაქტობრივი ნაწინამძღვრის სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლოს იმის გამო, რომ მან არასწორად განსაზღვრა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, არ გამოუკვლევია არც ეს გარემოება და არც მტკიცების საგანში შემავალი სხვა გარემოებები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს იმ ფაქტს, რომ მოპასუხე არ იყო მანქანის იურიდიული მფლობელი და მას მანქანა გადასცა მისმა მფლობელმა, მაშინ მიყენებული ზიანისათვის ამ უკანასკნელმა უნდა აგოს პასუხი სკ-ის 999-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობის განხორციელების შემთხვევაში და არა მოპასუხემ. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოპასუხე მფლობელის დაუკითხავად მართავდა მანქანას და მისი გამოყენება შესაძლებელი არ გამხდარა ამ უკანასკნელის ბრალით, მაშინ პასუხს აგებს მოპასუხე (სკ-ის 999-ე მუხლის მეოთხე ნაწილის პირველი წინადადება).

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება სკ-ის 1006-ე მუხლის შესაბამისად.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 22 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-789-746-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ (მარჩენლის მეუღლე) სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაჰკისრებოდა 2011 წლის ივნისიდან 2014 წლის ივნისამდე, ბოლო სამი წლის მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხის, ხოლო 2014 წლის ივნისიდან – ყოველ-

თვიურად 500 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ, სარჩოს გადაანგარიშების საკითხზე მსჯელობისას, მართებულად იხელმძღვანელა სკ-ის 1006-ე მუხლითა და შკ-ის 44-ე მუხლით და სწორად შეაფასა, რომ საწარმომ არამართლობიერად არ გადაიანგარიშა მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩო, მემანქანის გაზრდილი ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, რის გამოც სარჩენი არასრულად იღებდა სარჩოს და მას ზიანი ადგებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კვლევისა და შეფასების საგანია სკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის დაკისრებული, გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლობიერება. დასახელებულ ნორმაზე მითითებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ როდემდეა ძალაში რჩენის ვალდებულება, ხოლო, განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა მარჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის მოქმედი მემანქანის ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. განსახილველ დავაში, 1972 წელს დადგა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, როდესაც, საწარმოს ბრალით, მიღებული ტრავმის შედეგად, მისმა მემანქანემ, 54 წლის ასაკში დაკარგა შრომის უნარი 80%-ით და ამის გამო ვეღარ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო, პრეზუმირებულია, რომ მემანქანე იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა, სარჩენის სასარგებლოდ, სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, მოქმედი მემანქანის ხელფასის ცვლილების საფუძველზე, რადგან მარჩენალი გარდაიცვალა 1990 წელს, 72 წლის ასაკში. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, როგორც უკვე აღინიშნა, იგი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე და სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები. სკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე, საწარმომ – ზიანის მიმყენებელმა – სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე, საწარმოს ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი, ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სრულდებოდა მარჩენლის სიცოცხლეში, როდესაც ამ უკანასკნელმა, საწარმოს ბრალით დაკარგა შრომის უნარი და მისი გარდაცვალების შემდეგაც, მიუხედავად იმისა,

რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, 72 წლის პირი, ელმავლის მემანქანედ ვერ იმუშავებდა, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მარჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება, მოცემულ შემთხვევაში, მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება საწარმოს, თუმცა, 2011-2014 წლებში გაზრდილ ხელფასებზე მისადაგებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული, რის გამოც, უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო განაცხადი და გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება.

ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის ბარდაცვალებისას

ზიანის მიმყენებელმა საწარმომ სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე საწარმოს ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი, ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 3 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1216-1141-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის გადანყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა:

1) მარჩნალის დაკარგვის გამო, ზიანის ასანაზღაურებლად, მიუღებელი სარჩოს – 4 960.80 ლარის ერთჯერადად გადახდა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით;

2) 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ყოველთვიურად, სარჩოს – 250 ლარის გადახდა, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით.

მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არსებობდა სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების დაკისრების ყველა წინაპირობა. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ, სარჩოს გადანაგარიშების საკითხზე მსჯელობისას, მართებულად იხელმძღვანელა სკ-ის 408-ე და 1006-ე მუხლებით, ასევე, სკ-ის 44-ე მუხლით და სწორად შეაფასა, რომ მოპასუხემ არამართლობიერად არ გადაიანგარიშა მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩო, მატარებლის შემადგენლის გაზრდილი ხელფასის გათვალისწინებით, რის გამოც სარჩენი არასრულად იღებდა სარჩოს და მას ზიანი ადგებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე კვლევისა და შეფასების საგანს წარმოადგენდა სკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის დაკისრებული, გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლობიერება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ როდემდეა ძალაში რჩენის ვალ-

დებულება, ხოლო, განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა მარჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის მოქმედი მატარებლის შემდგენლის ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

განსახილველ დავაში, 1979 წელს დადგა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, როდესაც, საწარმოს ბრალით, უბედური შემთხვევის შედეგად, 50 წლის მატარებლის შემდგენელი გარდაიცვალა.

მოპასუხეს აღიარებული აქვს ვალდებულება, მის მიერ მიყენებული ტრავმის გამო, მარჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდაზე, რასაც ასრულებს კიდევ, აღნიშნულ ფაქტზე მხარეები არ დავობენ. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა, სარჩენის სასარგებლოდ, სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, მოქმედი მატარებლის შემდგენლის ხელფასის ცვლილების საფუძველზე, რადგან ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, როგორც უკვე აღინიშნა, პრეზუმირებულია, რომ მარჩენალი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე და სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები. „სკ-ის 1006 მუხლის საფუძველზე, საწარმომ – ზიანის მიმყენებელმა – სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე, საწარმოს ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი, ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის“ (იხ. სუსგ № 789-746-2015, 22.01.2016).

საკასაციო სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით (საქმე № 789-746-2015, 22.01.2016) შეიცვალა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა. განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სრულდებოდა მარჩენლის გარდაცვალების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, რომ საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა ან გარდაცვლილი მარჩენალი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩენისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება, მოცემულ შემთხვევაში, მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება მოპასუხეს, თუმცა, 2011-2014 წლებში გაზრდილ ხელფასებზე მისადაგებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.

საკასაციო სასამართლომ, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, არ დააკმაყოფილა მოსარჩელის პრეტენზია, 2011-2014 წლებში მოქმედი მატარებლის შემდგენლისათვის გაზრდილი ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაუანგარიშებლობის გამო, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და უარყო სასარჩელო მოთხოვნა.

19. ინტელექტუალური სამართალი

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების დაცვა

რეპუტაციის პატივისცემის უფლება ავტორის კანონით აღიარებული ის განსაკუთრებული უფლებაა, რომელიც უპირობო დაცვას ექვემდებარება. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს, დამრღვევისაგან მოითხოვოს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს.

- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 17.1 და 59-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განმარტება საქმეზე №ას-924-874-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოპასუხეებს დაევალებათ ქ.თბილისში მდებარე შენობის გარეფასადის მოსარჩელის მიერ შექმნილი დიზაინის შესაბამისად აღდგენა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი იმით დაასაბუთა, რომ, მიუხედავად ნაწარმოების ავტორის თანხმობის არარსებობისა, მოპასუხეებს არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა საავტორო უფლების დარღვევაში მათი ბრალეულობის დაუდგენლობის გამო, ამასთანავე, საკუთარი შეფასება სასამართლომ იმითაც გაამყარა, რომ ნაწარმოების თავდაპირველი ავტორის უფლების დაცვის თვალსაზრისით, ნივთისათვის პირვანდელი იერსახის აღდგენა გამოიწვევს შენობის გარეფასადის ახალი დიზაინის ავტორის უფლების დარღვევას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს ავტორის უფლებათა დაცვის ქმედით მექანიზმებს და ადგენს გონივრულ ბალანსს ავტორის საავტორო უფლებათა და ქონების შესაკუთრის ინტერესებს შორის.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 17.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეპუტაციის პატივისცემის უფლება ავტორის კანონით აღიარებული ის განსაკუთრებული უფლებაა, რომელიც უპირობო დაცვას ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა ადგენს უფლების დაცვის წესსაც, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს, დამრღვევისაგან მოითხოვოს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფ-

რთხეს (59.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), თუმცა ნორმით განსაზღვრული შედეგის მიღწევისათვის შესამონმებელ გარემოებათა წრეს წარმოადგენს: რეკონსტრუქციის შედეგად შეილახა თუ არა ნაწარმოების იერსახე, განხორციელდა თუ არა არქიტექტურულ ობიექტში ცვლილება და ამით ილახება თუ არა ავტორის უფლებები, კერძოდ, ადგება თუ არა ზიანი ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კვლევითი ნაწილი ამ კუთხით არ შეიცავდა რაიმე დასაბუთებას ავტორის უფლების რეალური დარღვევის თვალსაზრისით.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე საზოგადოების შედავება იმის თაობაზე, რომ მისთვის არ შეიძლებოდა, ცნობილი ყოფილიყო მოსარჩელის საავტორო უფლების თაობაზე, რადგანაც მან ეს უფლება „საქპატენტში“ ნივთის რეკონსტრუქციის შემდეგ დაარეგისტრირა, ხოლო მისი ქმედება საჯარო მმართველობისადმი კანონიერი ნდობის პრინციპს ემყარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უმთავრესი საფუძველი პირის არაბრალეულობა იყო, სკ კი, ამკვიდრებს მხოლოდ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების საპირისპიროდ, საკასაციო პალატამ განმატა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დელიქტური ვალდებულება არ ვლინდებოდა, შესაბამისად, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის თაობაზე მსჯელობაც გაუმართლებლად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

20. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი

სკ-ის 1170-ე მუხლის მე-3 ნაწილის განხორციელების წინაპირობის არარსებობა, არ გამოორიცხავს ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-927-877-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მომავალში აღსაძრავი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის ბრძანებით ყადაღა დაედო მ-ს კუთვნილ ავტომობილ „ნივას“ და უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრში მ-ს მეუღლის საკუთრებად იყო რეგისტრირებული.

მოსარჩელემ (მესაკუთრე) მ-ს, პროკურატურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ აღძრა სარჩელი და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ყადაღისაგან გათავისუფლდა და სამივე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარუ-

ლად დაეკისრათ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 100 ლარის, ანაზღაურება. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურატურამ და სამინისტრომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; კერძოდ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებისა და, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად სახელმწიფო ბაჟის, 100 ლარის, გადახდის დაკისრების ნაწილში, სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურატურამ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულებრივი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მეუღლეთა თანასაკუთრებაზე გადახდევინების მიქცევით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ დადგინდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა შექმნილი. პროკურატურამ კი ვერ დაამტკიცა ის გარემოება, რომ მოსარჩელის სახელზე რიცხული დაყადაღებული ქონება შექმნილი იყო დანაშაულის ჩადენის გზით მიღებული სახსრებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ, რადგანაც არ არსებობდა სკ-ის 1170-ე მუხლის მესამე ნაწილის განხორციელების წინაპირობა, არც ამავე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების საფუძველი არ ვლინდებოდა, საკასაციო სასამართლომ არამართებულად მიიჩნია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ყადაღა მოეხსნა მეუღლეთა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების 1/2 ნაწილს.

21. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

სასამართლოს განსახილველია არა მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ შვილთან და ნახოს იგი, არამედ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი, ოჯახური გარემოს ჰარმონიული აღქმისა და აღზრდა-განვითარებისათვის ყველა პირობა ჰქონდეს, რათა ურთიერთობა არ შეწყდეს მშობელთან, მიუხედავად მათი დაშორებისა.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე, 1199-ე, 1201-ე და 1202-ე მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1149-1081-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა როგორც თავდაპირველი (შვილის ნახვის დღეების განსაზღვრა), ისე შეგებებული (აღიშენებისა და დამატებითი ხარჯების დაკისრება) სარჩელის მოთხოვნა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ (შეგებებული მოსარჩელე).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით,

სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, შვილთან ურთიერთობის საკითხი განისაზღვრა შემდეგნაირად: მამას დაერთო ნება, შეხვდეს შვილს, ყოველი კვირის შაბათსა და კვირას, 12-დან 13 საათამდე, ამასთან, უნდა შეხვდნენ აპელანტის საცხოვრებელ ადგილას აპელანტის ან მის მიერ მითითებული პირის თანდასწრებით. ურთიერთობის ეს წესი გაგრძელდეს ვითარების შეცვლამდე, ე.ი. მანამ, სანამ შესაძლებელი არ იქნება მამასა და შვილს შორის უფრო ხანგრძლივი შეხვედრები, მათ შორის, დედის დასწრების გარეშე;

ვითარების შეცვლის შემდეგ კი, მამას უნდა დაერთოს ნება, დამოუკიდებლად იქონიოს ურთიერთობა შვილთან ყოველი მეორე კვირის შაბათის 10 საათიდან – კვირის 18 საათამდე. გარდა ამისა, ვითარების შეცვლის შემდეგ, მას უნდა დაერთოს ნება, ნაიყვანოს შვილი ზაფხულის სასკოლო არდადეგების პერიოდში პირველი ორი კვირისა და ზამთრის სასკოლო არდადეგების პერიოდში – ბოლო 10 დღის განმავლობაში, ასევე, აღდგომის დღეს და აღდგომის მეორე დღეს, 20 საათამდე.

სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილება დააფუძნა ფსიქოლოგის დასკვნას, რომლის შესაბამისადაც, „ბავშვის ქცევაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ ბავშვისათვის მამასთან შეხვედრა ემოციურად არასასიამოვნო მოვლენაა. იმ დამოკიდებულების ფონზე, რომელიც ამჟამად ვლინდება მამასა და შვილს შორის, მათი შემდგომი შეხვედრები წარუმატებელი აღმოჩნდება. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ ეს შეხვედრები ბავშვის ოჯახის წევრების დასწრების გარეშე წარიმართოს და, აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში, შეუძლებელი იქნება ბავშვის ხანგრძლივი დროით ნაყვანა მამის სახლში. ფსიქოლოგმა ისიც განმარტა, რომ იმ ვადის დადგენა, რაც მამასა და შვილს შორის კონტაქტის აღდგენას დასჭირდება, ამ ეტაპზე, შეუძლებელია. ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია, ეს ურთიერთობა გაგრძელდეს, არა უმეტეს 1 საათისა და კვირაში ერთხელ მაინც შეხვდნენ“.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ გაიზიარა, კასატორის (მოსარჩელე) პრეტენზიის ის ნაწილი, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით, მამა-შვილს შორის ურთიერთობის განსაზღვრისათვის ზოგადი ცნების „ვითარების შეცვლის შემდეგ“ დანესება, რომელიც შეფასებითი კატეგორიისა, იმთავითვე სადავოდ ხდოდა მშობელთა შორის, თუ რამდენად და ვის სასიკეთოდ შეიცვალა ვითარება და როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (შესაბამისი პუნქტები), მის აღსრულებასაც აყენებს საფრთხის ქვეშ, ამასთან გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის მიზნით, 2014 წელს დანყებული დავა, რომელიც საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე 2016 წელს იხილებოდა, რისკის ქვეშ აყენებდა მამა-შვილის გაურკვეველ და მოუგვარებელ ურთიერთობას. ფსიქოლოგის დასკვნა, რომელიც ერთ-ერთი შესაფასებელი მტკიცებულებაა სხვებთან ერთობლივად, ასევე, ის გარემოება, რომ მხარეებს არ გაუპროტესტებიათ ფსიქოლოგის განმარტება და რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ბავშვის ნახვის წესი, არ შეიძლება, დაედოს საფუძვლად სასამართლოს გადანყვეტილებას. სასამართლოს განსახილველია არა მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ შვილთან და ნახოს იგი, არამედ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი, ოჯახური გარემოს ჰარმონიული აღქმისა და აღზრდა-განვითარებისათვის ყველა პირობა ჰქონდეს, რათა ურთიერთობა არ შეწყდეს მშობელთან, მიუხედავად მშობლების დაშორებისა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადანონის მშობლის უფლებასა და ინტერესს.

საკასაციო სასამართლომ, ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების, იქონიოს მამასთან კონტაქტი, მაღალი სტანდარტის გათვა-

ლისწინებით, გაიზიარა კასატორის პრეტენზიის იმ ნაწილი, რომელიც მამა-შვილის ურთიერთობას უკავშირდება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ არა მხოლოდ განესაზღვრა ბავშვთან მამის ურთიერთობა, არამედ დაედგინა გადაწყვეტილების აღსრულების წესიც.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის ნაწილში და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება.

ბავშვის ინტერესების დაცვა;

ბანქორნინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

მშობლების ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრასთან დაკავშირებული დავების განხილვისას სასამართლოსათვის, უპირველესად, სახელმძღვანელოა ბავშვის კეთილდღეობა და მისი უპირატესი ინტერესი. სადავო საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს გარემო, სადაც ბავშვი ცხოვრობს და სადაც მას ურთიერთობა უნდა ჰქონდეს თითოეულ მშობელთან, არასრულწლოვნის ჯანმრთელობა, მისი ასაკი და ინდივიდუალური მოთხოვნილება, რის შედეგადაც შესაძლებელია გადაწყდეს, რამდენი ხნით და რა წესით უნდა დაერთოს მშობელს შვილთან ურთიერთობის (მეორე მშობლისაგან დამოუკიდებლად სახლში წაყვანის, ღამით დატოვებისა და სხვა) ნება. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორიც – ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა;

საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და სსკ-ის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1199-ე 1202-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი
- „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განმარტება საქმეზე №ას-888-838-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ განქორწინებისა და შვილის ნახვის დღეების განსაზღვრის თაობაზე, ხოლო მოპასუხემ წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა ალიმენტის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი და შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც მხარეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, რაც მხარეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

მოსარჩელის საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა, ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებები იყო ფაქტის შემცველი, რომელთა რეალობასთან შეუსაბამობა დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. სადავო განცხადებებით, კი შეილახა მოსარჩელის (იურიდიული პირის) პატივი და საქმიანი რეპუტაცია, შესაბამისად, არსებობდა „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-17 მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ბავშვის უფლებათა შესახებ“ გაერთიანებული ერების კონვენციის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით განმტკიცებულ ოჯახური ცხოვრების უფლებას, დადგენილია ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა. აღნიშნული პრინციპი საქართველოს შიდა ნორმატიულ აქტებშიც აისახა. კერძოდ, სკ-ის 1202-ე მუხლის შესაბამისად, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. თუმცა, იმავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

ბავშვისა და მშობლების ურთიერთობის უფლება შეიძლება, შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული უფლების შეზღუდვის ან გამორიცხვის საკითხის განხილვისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: (ა) არსებობს თუ არა საკითხის გადაწყვეტის უფრო ნაკლებად შემზღუდავი საშუალება; (ბ) არის თუ არა უფლების შესაძლო შეზღუდვა ან გამორიცხვა პროპორციული ზომა და (გ) არის თუ არა უფლების შეზღუდვის ან გამორიცხვის აუცილებლობა სათანადოდ დასაბუთებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ ბავშვის სურვილები და გრძნობები უნდა გათვალისწინდეს მშობელთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტისას.

მოცემულ საქმეში საკასაციო სასამართლომ შემოწმების საგანს წარმოადგენდა, მცირეწლოვნის საუკეთესო ინტერესებში შედიოდა თუ არა მამასთან ღამისთევით დარჩენა, ასევე დედისგან დამოუკიდებლად არდადეგების გარკვეული დღეების გატარება მამასთან და, სწორად დაადგინა თუ არა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომ მამის უფლების განხორციელება, ღამით დაიტოვოს ბავშვი, შეესაბამებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

აღნიშნული საკითხის შეფასების მიზნით, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე. ამასთან, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართლწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და სსკ-ის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიცი-

ატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

საკასაციო პალატამ პალატის საოქმო განჩინებით სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობა-მზრუნველობის განმახორციელებელ ორგანოს, დაევალა არასრულწლოვანსა და მის მამას შორის არსებული ფსიქო-სოციალური დამოკიდებულების დამატებითი გამოკვლევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად. საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, კიდევ ერთხელ განემარტა, რომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, სასამართლოსათვის, უპირველესად, სახელმძღვანელოა ბავშვის კეთილდღეობა და მისი უპირატესი ინტერესი. სადავო საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ ზედმინევით უნდა შეისწავლოს გარემო, სადაც ბავშვი ცხოვრობს და სადაც მას ურთიერთობა უნდა ჰქონდეს თითოეულ მშობელთან, არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ასაკი და ინდივიდუალური მოთხოვნილებები, რის შედეგადაც შესაძლებელია, გადაწყდეს, რამდენი ხნით და რა წესით უნდა დაერთოს მშობელს შვილთან ურთიერთობის (მეორე მშობლისაგან დამოუკიდებლად სახლში წაყვანის, ღამით დატოვებისა და სხვა) ნება. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა გათვალისწინდეს სუბიექტური ფაქტორიც – ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მამის საცხოვრებელ სახლში ღამით მისი დარჩენის მიზანშეწონილობა. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ბავშვის ასაკი და მისი ჯანმრთელობა. 5 წლის მცირეწლოვანის ჯანმრთელობის შესახებ საქმეში წარმოდენილი დოკუმენტების შესწავლისა და შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მას აღენიშნებოდა ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება (დაუზუსტებელი), არადიფერენცირებული მოძრაობის აშლილობა, რომელიც მცირედ პროგრესირებს. ავადმყოფობის დამახასიათებელი მიზეზი გადაჭრით ვერ დგინდება. მითითებული ფაქტი კი უდავოდ მნიშვნელოვანი დეტალია არასრულწლოვნის დედისაგან (რომელიც ბავშვზე ზრუნვის რეჟიმს უძღვება), თუნდაც დროებით მოშორების წესისა და ვადის განსაზღვრისას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

შვილების აღზრდა მშობლების შეთანხმებით;
საქმის გარემოების დადგენა სასამართლოს ინიციატივით

სასამართლოს პოზიტიური ვალდებულება, მშობელთა შეუთანხმებლობისას შვილის აღზრდის საკითხის მოგვარების თაობაზე, უნდა ემყარებოდეს ეროვნული და საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ბავშვის უპირატეს ინტერესებს, რაც საქმის გარემოებების ობიექტური და სრულყოფილი კვლევის გზით უნდა განხორციელდეს;

საოჯახო საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-876-826-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი შვილების ნახვის დღეების განესაზღვრის თაობაზე, რომლითაც ნება დაერთო მამას (მოსარჩელეს), მონახულებინა შვილები ყოველი კვირის შაბათ დღეს, დილის 12 საათიდან 17 საათამდე. სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა და მოსარჩელის მიერ შვილების ნახვის დღეები განესაზღვრა ყოველ თვეში 1 კვირით (კერძოდ, თვის პირველი კვირის ორშაბათიდან კვირა დღის ჩათვლით) წაყვანის უფლებით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ცალკე მცხოვრები მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან, არ ნიშნავს, ცალკე მცხოვრებ მშობელს უფლება ჰქონდეს მოითხოვოს შვილთან ურთიერთობა განუსაზღვრელ დროს ან დაარღვიოს ბავშვის ნორმალური ცხოვრება, თუმცა, აღნიშნულის საპირისპიროდ, პალატამ დაასკვნა, რომ მამას უნდა მისცემოდა ბავშვების ბათუმიდან ბოლნისში წაყვანის უფლება ყოველ თვეში ერთი კვირით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული წესით (ყოველ თვეში ერთი კვირით ბავშვების წაყვანის უფლებით) მამის შვილებთან ურთიერთობა არ ეწინააღმდეგებოდა ბავშვების ინტერესს და ზიანს არ აყენებდა მათ. პალატამ აღნიშნული დასკვნის საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტის მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ზემოაღნიშნული წესით მამის შვილებთან ურთიერთობისას ბავშვების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევის ფაქტს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელა-

ციო სასამართლოს დასკვნები და მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა დავის გადანყვეტიისათვის მნიშვნელობის მქონე არაერთი გარემოება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 1200-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასამართლოს პოზიტიური ვალდებულება, მშობელთა შეუთანხმებლობისას შვილის აღზრდის საკითხის მოგვარების თაობაზე, უნდა ემყარებოდეს ეროვნული და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ბავშვის უპირატეს ინტერესებს, რაც საქმის გარემოებების ობიექტური და სრულყოფილი კვლევის გზით უნდა განხორციელდეს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ მამის მიერ ყოველ თვეში ერთი კვირით შვილების ბოლნისში წაყვანა და მათი სასწავლო პროცესისაგან მონყვეტა, მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნიდა ბავშვების აღზრდა-განვითარებას. პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მოცემული საკითხის შეფასებისას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ბავშვები ჩაბმული არიან წინასასკოლო სასწავლო პროცესში და უახლოეს მომავალში სწავლას დაიწყებენ სკოლაში, ხოლო ყოველ თვეში ერთი კვირით სასწავლო პროცესის გაცდენა არა მარტო სირთულეებს შეუქმნის მათ აღზრდა-განვითარებას და შეუზღუდავს ბავშვებს სწავლის უფლებას, არამედ შესაძლოა საფრთხე შეექმნას სასწავლო დანესებულებაში მათი ყოფნის საკითხსაც.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია იმ დადგენილ ფაქტზეც, რომ მოდავე მხარეების სახლებს შორის (ბათუმიდან ბოლნისამდე) მანძილი დაახლოებით 500 კილომეტრი იყო, ხოლო იმ პირობებში, როდესაც საქმე უკავშირდება მცირეწლოვანი ბავშვების გადაადგილებას, სასამართლოს არ გამოუკვლევია, ყოველ თვეში ორჯერ ამ მანძილზე მცირეწლოვანი ბავშვების მგზავრობა უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს მათზე და დაარღვევს თუ არა ბავშვების ცხოვრების ჩვეულ რიტმს, თუნდაც ისინი ჩაბმული არ იყვნენ სასწავლო პროცესში. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება დაუსაბუთებელი იყო იმ მხრივაც, რომ სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია საქმეში არსებული სოციალური მუშაკების დასკვნები, ასევე, სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის 2015 წლის 11 მარტის დასკვნა-რეკომენდაცია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და სსკ-ის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც აქვს. შესაბამისად, თუკი საკითხის განსაკუთრებული თავისებურებიდან გამომდინარე, პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევდა დამატებით კვლევას ან ფსიქოლოგის დასკვნას ბავშვებისა და მამის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ მოიპოვება, მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა, მოეთხოვა აღნიშნული დასკვნების წარმოდგენა.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილი მშობლების განქორწინებისას

სასამართლოს პოზიტიური ვალდებულებაა, ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინევით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი
- „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-5 და მე-16 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1112-1047-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელის (დედა) სარჩელი (შვილების საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2010 წლის 24 იანვარს დაბადებულ ნ.ბ-ს საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო 2003 წლის 29 ნოემბერს დაბადებული ა.ბ-ს საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მოპასუხის (მამა) შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა განქორწინებით. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა ნ.ბ-ს საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით არასრულწლოვნის საცხოვრებლად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დედამამიშვილებს შორის სიახლოვე და მჭიდრო კავშირი, მართლაც დიდი სიკეთეა, მაგრამ, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე, არჩევანი მცირეწლოვნის დედასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრების მხარესაა. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ს მე-4 და 102-ე მუხლებით, „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-5, მე-16 მუხლებით, სკ-ის 1197-ე, 1198-ე, 1199-ე, 1201-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ ფსიქოლოგი, კვლევების შედეგად, იძლეოდა რჩევას იმის შესახებ, რომ „ნ-ს ასაკისა და განვითარებაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დედასთან მჭიდრო ემოციური და ფიზიკური კავშირის შენარჩუნება“. ამდენად, ნ.ბ-ის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი.ფ-ს სარჩელი ამ ნაწილში კანონშესაბამისად დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლომ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, უფრო მეტიც, საკითხის გადაწყვეტისას, შემოიფარგლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის კანონიერების შემონახვით

იმგვარად, რომ არ შეუფასებია დავის დაწყებიდან სააპელაციო განხილვის ეტაპამდე ხომ არ არსებობდა რაიმე ფსიქოემოციური ცვლილებები არასრულწლოვანთა მშობლებისადმი დამოკიდებულებაში და სხვა. პალატის მოსაზრებით, როდესაც საქმე არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებთან ურთიერთობის მონესრიგებას უკავშირდება, განსაკუთრებული სიფრთხილით შეფასებას მოითხოვს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირებისა თუ შესაბამისი სპეციალისტების (ფსიქოლოგი) მიერ გამოტანილი დასკვნები.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ერთი მხრივ, ნ. და ა. ბ-ების, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. და ი.ფ-ს მიჯაჭვულობის საკითხის შეფასებისას სასამართლოს საკმარისად არ გამოუკვლევია, კერძოდ, არ შეუსწავლია ის გარემოება, თუ რა გავლენას იქონიებდა დების დაშორება, რამდენად ნეგატიურად აისახებოდა იგი ა-ს მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, საქმეში არსებული დასკვნების შედგენიდან გასულია საკმაოდ დრო, გარკვეულწილად სრულდება სასამართლოს დროებითი განკარგულება, თუმცა არ არის წარმოდგენილი სპეციალისტის შესაბამისი დასკვნა, რომელიც ასახავდა და გააანალიზებდა მართო დარჩენილი ა-ს მდგომარეობას, მის ემოციებს, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას, გვემსჯელა ბავშვთა საუკეთესო ინტერესებზე.

საკასაციო სასამართლომ, ბუნებრივია, არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდგომ, მტკიცებულებათა სრული და ობიექტური შეფასების შედეგად პალატამ კვლავ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ნ.ბ-ს საუკეთესო ინტერესი დედის გარემოში ცხოვრება იყოს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, უალტერნატივოდ უნდა დადგინდეს და აისახოს გადაწყვეტილებაში ნ.ბ-ს ურთიერთობის შესაძლებლობა დასა და დედასთან, ასევე, მცირეწლოვანი შვილის ურთიერთობა მამასთან, ამ ურთიერთობის რეალური და ინტენსიური ხასიათი, ვინაიდან ფსიქოლოგის განმარტებით, ბავშვების დაშორებამ შესაძლოა, მათი ემოციური კავშირიც დაარღვიოს, რაც ნეგატიურ ფაქტორადაა შეფასებული. ასეთ ვითარებაში, მართალია, კანონით უზრუნველყოფილია ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებები და სკ-ის 1202-ე მუხლი უკრძალავს იმ მშობელს, შეზღუდოს მეორე მშობლის ურთიერთობა ბავშვთან, რომელიც მასთან ცხოვრობს, თუმცა, რეალური სურათის გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა გადაჭრას ამ ნორმის ფაქტობრივად გამოყენების გზაც, ასეთ ვითარებაში გასათვალისწინებელია მხარეთა, მათ შორის, საკასაციო სასამართლოსათვის მიცემული განმარტებებიც.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

22. მემკვიდრეობის სამართალი

უღირსი მემკვიდრე;

ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისა და უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველს წარმოადგენს ანდერძით ან კანონით მემკვიდრე პირის მხრიდან მამკვიდრებლისათვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში განზრახ ხელის შეშლა თავისი ან მისი ახლობელი პირების მემკვიდრეობად მონვევის, ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდის მიზნით, ანდა განზრახი დანაშაულის, ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მოანდერძის მიერ ანდერძში მითითებული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული გარემოებანი სასამართლომ უნდა დაადასტუროს.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1310-ე და 1354-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1048-988-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი მოპასუხეთა უღირს მემკვიდრეობად აღიარების თაობაზე, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეებს ჩამოერთვათ კანონით მემკვიდრეობის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებლის მიერ 1994 წელს შედგენილ იქნა სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი, რომლის თანახმადაც მოანდერძე თავისი კუთვნილი ქონებიდან საცხოვრებელი სახლის 1/2 წილს უანდერძებდა მის შვილს – მოსარჩელეს. ამასთანავე, არსებობდა 2005 წელს შედგენილი შინაურული ანდერძი. ორივე ანდერძში ანდერძისმიერ მემკვიდრედ დასახელებულია მოსარჩელე. ამასთან, 2005 წლის შინაურული ანდერძით მოანდერძე სხვა მემკვიდრეებს მოიხსენიებდა უღირს მემკვიდრეობად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სადავოა უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველების არსებობა, რომელიც, კასატორების (მოპასუხეთა) განმარტებით, არ გამომდინარეობდა მამკვიდრებლის ანდერძიდან. შეფასებას საჭიროებდა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის მომწესრიგებელი ნორმის (სკის 1310-ე მუხლი) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ამ თვალსაზრისით, ყურადღებაა მისაქცევი იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთა უღირს მემკვიდრეობად ცნობის შესახებ ეფუძნებოდა 2005 წლის 3 ივნისის ანდერძში გამოვლენილი მამკვიდრებლის ნებას, კერძოდ, აღნიშნული ანდერძის შესაბამისად, მამკვიდრებელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მოპასუხეთა მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო და ამით აღიარებდა უღირს მემკვიდრეობად, რასაც კასატორები სადავოდ ხდიდნენ.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ესაა ანდერძით მემ-

კვიდრეობა. სკ-ის 1310-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისა და უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველს წარმოადგენს ანდერძით ან კანონით მემკვიდრე პირის მხრიდან მამკვიდრებლისათვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში განზრახ ხელის შეშლა თავისი ან მისი ახლობელი პირების მემკვიდრეებად მონვევის ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდის მიზნით, ანდა განზრახი დანაშაულის, ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მოანდერძის მიერ ანდერძში მითითებული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული გარემოებანი სასამართლოს მიერ უნდა დადასტურდეს. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნია, რომ სკ-ის 1310-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები კასატორების (მოპასუხეთა) უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე დადასტურებული არ იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავდა სარჩელის დაკმაყოფილების მაკვალიფიცირებელ კომპონენტებს (სკ-ის 1310-ე მუხლის შემადგენლობის ნიშნებს).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხეთა უღირს მემკვიდრეებად ცნობის საფუძველების არსებობა, ეს გარემოება წარმოადგენდა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

შრომის სამართალი

1. შრომის კოდექსის მოქმედების სფერო

თუ, ა(ა)იპ-ის წესდება რაიმე მატერიალურ საფუძველს არ შეიცავს, ხოლო დირექტორთან შრომითი ურთიერთობა მოწესრიგებულია მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ა(ა)იპ-ის დირექტორთან შრომითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ სპეციალური კანონით – შრომის კოდექსით.

- საქართველოს შრომის კოდექსის 1-ლი და 38.8 მუხლი
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1028-970-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი ა(ა)იპ-ის დირექტორის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის დაკისრების თაობაზე, რაც სააპელაციო წიესთ გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი, ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, არ დაკმაყოფილდა. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ ცალმხრივად გამოვლენილი ნება დაკავებული თანამდებობიდან მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, რის გამოც, გასაჩივრებული ბრძანება ბათილად მიიჩნია და დასაქმებულს მიაკუთვნა კომპენსაცია. თუმცა, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი უთხრა, რაც იმ გარემოებით იყო ნაკარნახები, რომ არაკომერციული (არასამენარმეო) იურიდიული პირის დირექტორი, როგორც დამფუძნებლის წარმომადგენელი, მის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებდა, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და, მათ შორის, საზოგადოების ხელმძღვანელობა ეფუძნებოდა ხელმძღვანელსა და დამფუძნებელთა (პარტნიორთა და მისთ.) შორის განსაკუთრებულ ნდობას. ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ უდავო საფუძველს კი, მისთვის უნდობლობის გამოცხადება წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივ საკითხებს არეგულირებს სკ-ის 35-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია, ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დაანესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შე-

სახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისათვის განსაზღვრული წესები.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებული ნორმა მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის მატერიალურ საფუძვლად ინტერესთა კონფლიქტს, საზოგადოების საქმიანობის კეთილსინდისიერად გაძღოლის ვალდებულების დარღვევას მიჩნევს, რაც მოცემულ კონკრეტულ საქმეზე, მოპასუხეს არ მიუთითებია და ამდენად, მითითებული ნორმა დირექტორის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მატერიალურსამართლებრივ საფუძვლად ვერ გამოდგებოდა.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლის დამატებითი კვლევისათვის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით უნდა ეხელმძღვანელათ, აგრეთვე, საზოგადოების წესდებით ანდა დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ა(ა)იპ-ის წესდება დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, რაიმე მატერიალურ საფუძველს არ შეიცავდა, ხოლო დირექტორთან შრომითი ურთიერთობა მოწესრიგებული იყო მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ამიტომ ა(ა)იპ-ის დირექტორთან შრომითი ურთიერთობების სახელდობრ კი, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის თანამდებობაზე გამწესება-გამონეგვისა და მასთან შრომითი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად უნდა ეხელმძღვანელათ სპეციალური კანონით – შრომის კოდექსით.

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობის იურიდიული შედეგს სამართლებრივად აწესრიგებს შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რომლის დანაწესით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს იგი ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელს დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ფაქტობრივ შეუძლებლობაზე არც მიუთითებია და აღნიშნული სარწმუნოდ არ დაუდასტურებია, კერძოდ, არ დასტურდება, რომ კონკრეტული სამუშაო ადგილი გაუქმდა რეორგანიზაციის ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლის გამო.

პირვანდელ სამუშაო ადგილზე მოსარჩელის აღდგენის დამაბრკოლებელ გარემოებად კი, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ უდავო საფუძველს უნდობლობის გამოცხადება წარმოადგენს, საკასაციო პალატამ იურიდიულად დასაბუთებულ მსჯელობად და ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის სამართლებრივ საფუძვლად არ მიიჩნია.

შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს იგი ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რადგან გადაწყვეტილებაში მითითებულ თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის მიზეზი ზემოაღნიშნული ნორმის არცერთ დანაწესს არ შეესაბამებოდა და ამდენად, ვლინდებოდა ამ გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 394-ე

მუხლის „ე“ პუნქტით განსაზღვრული წინაპირობა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი ბრძანება მოსარჩელის ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და იგი აღდგენილ იქნა ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობაზე.

შრომის კოდექსის მოქმედების სფერო

ა(ა)იპ-ის დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნეს მოძიებული.

- საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლი
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-101-97-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება ა(ა)იპ-ის დირექტორის ჩთანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, მოსარჩელე აღდგენილ იქნა ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობაზე და მოპასუხეს დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2015 წლის 5 ნოემბრიდან. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ (სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი) შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის სახით გადაუხდელი ხელფასის ანაზღაურება 2016 წლის 5 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში 1 600 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად ისარგებლა შკ-ის ნორმებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირსა და მის დირექტორს შორის წარმოშობილი ურთიერთობა რეგულირდება სკ-ისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების შესაბამისად.

სკ-ის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომითსამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ იგი პირობითად შეიძლება, სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით გან-

სხვაგვება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან.

სკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხი და დადგენილია, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწვევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდეიციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას იძლევა სკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და შეიძლება, დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან და ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სკ-ის ნორმებში უნდა იქნეს მოძიებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითა დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებზე და აღნიშნა, რომ, სკ-ის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. სკ-ის 709-ე, 710-ე და 720-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

საკასაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ არასამენარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ეს ურთიერთობა აერთიანებს დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფ მოთხოვნებს, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. „ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და უკავშირდება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორცაა, შრომის უფლება, რომელიც მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შევბუღებაზე და სხვა, რაც, სკ-ის 35-ე მუხლისა და მეწმ-ის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად იქნეს მოწესრიგებული არასამენარმეო იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფი-

ფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა ბრძანების ბათილად ცნობის, დაკავებულ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენისა და იძულებითი განაცდურის აღდგენის თაობაზე.

ანალოგიურია: სუსგ №302-287-2016, 15.07.2016.

შრომის კოდექსის მოქმედების სფერო

პარტნიორებს უფლება აქვთ, გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე, შკ-ის მოქმედება არ შეიძლება, გავრცელდეს. შკ-ით მონესრიგებულია ურთიერთობა საწარმოს დირექტორსა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის, რომელიც ჩვეულებრივი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამენარმეო, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა გვარდებოდეს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით.

- საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლი.
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-240-228-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: აფხაზეთის ვტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 28 მარტის 02/38 ბრძანებით, საწარმოს დირექტორი გაათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და შრომითი ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით, მიეცა 1 თვის შრომის ანაზღაურება.

საწარმოს ყოფილმა დირექტორმა სარჩელი აღძრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა გაათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და სამსახურში აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ამ უკანასკნელის გაათავისუფლების შესახებ ბრძანება და, მის სასარგებლოდ, სამინისტროს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გაათავისუფლების მომენტიდან; მოსარჩელის მოთხოვნა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში უარყოფილ იქნა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, მოდავე მხარეებს შორის არსებობდა შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, შესაბამისად, საჭირო საკითხების გადასაწყვეტად, შკ-ის შესაბამისი ნორმები უნდა გამოყენებულიყო.

სასამართლომ, შკ-ის საფუძველზე, იმსჯელა შრომითსამართლებრივი ურთიერთობის მოშლის თაობაზე, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებლის მიერ რაიმე კონკრეტული საფუძვლის მითითების გარეშე განხორციელდა. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით, მსგავსი კატეგორიის დავების

სამართლებრივი მოწესრიგებისათვის სწორედ მენარმეთა კანონი გამოიყენება. საკასაციო სასამართლომ მიუთითა მენშ-ის მე-9 მუხლზე, აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებზე, კერძოდ, 709-ე და 710-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოცემული დავის მოსაწესრიგებლად, სასამართლოს სწორედ აღნიშნული ნორმები უნდა გამოეყენებინა. აქედან გამომდინარე კი, პალატამ მიიჩნია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დირექტორსა და საზოგადოებას შორის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ არის ტიპური შრომითსამართლებრივი ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშაკს შორის, ეს არის სპეციფიკური კორპორაციული ურთიერთობა, რომლის მიმართაც შკ-ის გავრცელება არ შეესაბამება მენს-ის მოთხოვნებს. შკ-ით მოწესრიგებულია სანარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის შრომითი ურთიერთობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შრომითსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს მენარმეთა შესახებ კანონით.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

2. შვიბულება

გამოუყენებელი შვიბულების ანაზღაურება;

საშვიბულებო ანაზღაურება

არასამენარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას ახასიათებს დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველმყოფი მოთხოვნებიც, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. ა(ა)იპ-ის დირექტორს აქვს შკ-ის მე-5 თავით რეგლამენტირებული უფლება, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, თუკი მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულება განსხვავებულ რეგულაციას არ ითვალისწინებს (ამავე ნორმის შემდგომი დანაწესები), ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ვინაიდან დირექტორის გათავისუფლების საფუძველი არა შკ-ის 37-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობაა, არამედ დავალების მიმცემის ცალმხრივი ნებაა, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების საკითხის ამავე კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილით შეზღუდვა კანონის სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს.

– საქართველოს შრომის კოდექსის 21.4 და 26-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 23 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-131-127-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი ა(ა)იპ-ს დირექტორის ბრძანება და მოპასუხეს დაეკისრა

ანაზღაურებადი შვებულების თანხისა და 2 თვის კომპენსაციის გადახდა, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა 2 წლის გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის თანხის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება ანაზღაურებადი შვებულების თანხის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობა იმ დასაბუთებით უარყო, რომ, მიუხედავად არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დირექტორის შვებულებაში გასვლის კანონისა და წესდების მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებისა (ბრძანება მიჩნეულ იქნა კანონიერად და არ არსებობდა მისი გაუქმების წინაპირობები), მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ შეიცავდა მითითებას შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ვ“-„თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ხელშეკრულების შეწყვეტის რომელიმე საფუძველზე. ამავე კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი კი, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას სწორედ ზემოხსენებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობას უკავშირებდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: არასამენარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას ახასიათებს დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფი მოთხოვნებიც, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. „ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და უკავშირდება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორცაა, შრომის უფლება, რომელიც მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შვებულებაზე და სხვას, რაც, სკ-ის 35-ე მუხლისა და მენშ-ის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად მოწესრიგდეს არასამენარმეო იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით. თუკი ამგვარ პირობებზე მხარეთა შეთანხმების ფაქტი არ დგინდება, ასეთ შემთხვევაში, დირექტორის სოციალური უფლებების რეგულირებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს როგორც ეროვნული, ისე – საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული დასაქმებულის დაცვის მინიმალური სტანდარტის დამდგენი დანაწესები.

ა(ა)იპ-ის დირექტორს აქვს შკ-ის მე-5 თავით რეგლამენტირებულია უფლება, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით (შკ-ის 21.1 მუხლი), თუკი მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულება განსხვავებულ რეგულაციას არ ითვალისწინებს (ამავე ნორმის შემდგომი დანაწესები), ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ვინაიდან დირექტორის გათავისუფლების საფუძველი არა შკ-ის 37-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობაა, არამედ დავალების მიმცემის ცალმხრივი ნებაა, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების საკითხის ამავე კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილით შეზღუდვა კანონის სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დასაქმებულის მიზეზით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურების საკითხის სრულად ანესრიგებს „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენცია, რომლის პირველი მუხლით დადგენილია მისი გამოყენების სფერო, თუმცა იგი არ არის ამომწურავი. ამავე კონ-

ვენციის მე-6 მუხლით რეგლამენტირებულია შემდეგი: პირი, რომელიც გათავისუფლებულია მენარმის მიზეზით, მაგრამ, ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს. განსახილველი ნორმის თანახმად, დასაქმებულისათვის მინიჭებული გამოუყენებელი ფასიანი შვებულების კომპენსაციის მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის ერთობლივად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) დასაქმებულის მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების მოპოვება; ბ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დამსაქმებლის ინიციატივით, დასაქმებულის გათავისუფლების გზით; გ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე კუთვნილი შვებულების გამოუყენებლობა/არასრული გამოყენება. კონვენციის მე-3 მუხლი უფლების მქონე პირის კომპენსაციად განიხილავს ეროვნული კანონებითა და წესებით განსაზღვრული ხერხით გამოთვლილ ჩვეულებრივ ჯილდოს შესაბამისი ფულადი ეკვივალენტის დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში ან ჯილდოს, რომელიც განსაზღვრულია კოლექტიური შეთანხმებით. შკ-ის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება, მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. ამ მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა აწესებს კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ (1-წლიანი უწყვეტი მუშაობა) უფლების მოპოვების სტანდარტზე დაბალ სტანდარტს, ხოლო 24-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო. მოცემული შემთხვევაში, მოთხოვნა სრულად ექცევა, როგორც საერთაშორისო, ისე – ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული მონესრიგების ზემოხსენებულ სტანდარტში და კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული „ჯილდოს“ გამოანგარიშების წესი მოცემულია შკ-ის 26-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი გამოუყენებელი შვებულების თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა.

გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება

ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებების პირობებში დამსაქმებლისათვის იძულებითი მოცდენის პერიოდის შრომის ანაზღაურების სრულად დაკისრება გამორიცხავს დამატებით გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციას, რამდენადაც დაკისრებული თანხა მოიცავდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრულ ანაზღაურებას და დამატებით მე-13 თვის ანაზღაურებას ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა.

- საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 36-ე და 37-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 28 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-578-553-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი დამსაქმებლის ბრძანება თანამდებობიდან მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ და იგი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე, მოპასუხეს დაეკისრა კომპენსაციის – 2 თვის შრომის იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის ბრძანება და მოპასუხეს, დასაქმებულის სასარგებლოდ, დაეკისრა იძულებითი განაცდურის, ასევე, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება პირველი ინსტანციით დაკისრებული თანხის შემცირებული ოდენობით. მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენასა და კომპენსაციის ანაზღაურებაზე. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა სადავო საკითხის მარეგულირებელ ნორმაზე – შკ-ის 21-ე მუხლზე, რომელიც ადგენს დასაქმებულის უფლებას, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში სულ მცირე 24 კალენდარული დღით (21.1 მუხლი). მითითებული ნორმა განსაზღვრავს დასაქმებულის სოციალურ უფლებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლების – შვებულებით სარგებლობის მინიმალურ სტანდარტს.

შვებულების, როგორც დასაქმებულის სოციალური უფლების განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, შრომით კანონმდებლობაში აღიარებულია, ასევე, დასაქმებულის შესაძლებლობა, მოითხოვოს გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია, თუმცა ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უნდა არსებობდეს შკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმპერატიულად განსაზღვრული წინაპირობები.

შრომის სამართალი ითვალისწინებს შრომითი ურთიერთობის შეჩერების ინსტიტუტს და შკ-ის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეს არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილია შრომითი ურთიერთობის შეჩერების ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა შორისაცაა ანაზღაურებადი შვებულება (შკ-ის 36.2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი). შრომითი ურთიერთობის შეჩერებასთან მიმართებით მოხმობილი ნორმა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ (სამხედრო სარეზერვო სამსახურში განწვევა) და „მ“ (ანაზღაურებადი შვებულება) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუ საქართველოს კანონმდებლობით ან შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (36.4 მუხლი). ანაზღაურებადი შვებულება, შრომის სამართლით გარანტირებული და საგამონაკლისო შემთხვევაა, როდესაც დასაქმებული არ ასრულებს სამუშაოს, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში მას ეძლევა შრომის ანაზღაურება.

შკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით (დამსაქმებლის მიზეზით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ არც მხარეებს მიუთითებიათ და არც ქვემდგომ სასამართლოებს არ დაუდგენიათ ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელესთან დადებული 1-წლიანი შრომითი ხელშეკრულება, გარდა კანონით გარანტირებული შრომის ანაზღაურებისა, დამატებითი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას აძლევდა დასაქმებულს, ამასთანავე, უდავო იყო, რომ გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის ცალმხრივი ნება იყო კანონსაწინააღმდეგო (სკ-ის 54-ე მუხლი), რასაც ხელშეკრულების დარჩენილი ვადის განმავლობაში დასაქმებულის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – განაცდურის მიღება მოჰყვა შედეგად (შკ-ის 32-ე და სკ-ის 411-ე მუხლები). ამ გარემოებათა გათვალისწინებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბრძანების ბათილად ცნობით გამოწვეული პირის უფლებრივი რესტიტუცია, სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იწვევს იმ მდგომარეობის აღდგენას, რაც ხელშეკრულების უსაფუძვლოდ მოშლის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა. თავად რესტიტუციის სამართლებრივი არსი გამორიცხავს დამსაქმებლისათვის იმაზე მეტი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, ვიდრე ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იქნებოდა, რაც არსებითად განსხვავდება იმგვარი ვითარებისაგან, როდესაც პირი, რომელსაც ანაზღაურებადი შვებულების უფლება ჰქონდა მოპოვებული და სრულად ან ნაწილობრივ არ უსარგებლია ამ უფლებით, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდება დამსაქმებლის მიზეზით და სადავოდ არ გახდის გათავისუფლების მართლზომიერებას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოთხოვნა გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

3. პირგასამტეხლო ანაზღაურების დაყოვნებისთვის

დასაქმებულს ანგარიშსწორების დაყოვნებული ყოველი დღისათვის პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მიმდინარე შრომითი ურთიერთობის ფარგლებში, ანუ, როდესაც დასაქმებული და დამსაქმებელი ერთმანეთთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ.

– საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 27 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-268-255-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2013 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათილად ცნო სსიპ-ს დირექტორის 2011 წლის 22 თებერვლის ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და იგი აღადგინა თანამდებობაზე; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა იძულებითი განაცდურის – 650 ლარის გადახდა, 2011 წლის 22 თებერვლიდან 2012 წლის 10 აპრილამდე ყოველთვიურად, ასევე, ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%, 2011 წლის 22 თებერვლიდან 2012 წლის 10 აპრილამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 7 აპრილს. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2014 წლის 10 ივლისს მოპასუხემ მოსარჩელის ანგარიშზე 11 707.56 ლარი ჩარიცხა.

მოსარჩელემ კვლავ აღძრა სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა, მოპასუხისთვის, ანგარიშსწორების დაყოვნების გამო, მის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს, 6 828 ლარის, დაკისრება იმ საფუძვლით, რომ 2012 წლის 10 აპრილიდან 2014 წლის 4 სექტემ-

ბრამდე მოპასუხემ მისთვის იძულებითი განაცდურის ანგარიშსწორება 785 დღით დააყოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს ასანაზღაურებლად დაეკისრა 5081 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 იანვრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, შკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ვადაგადაცილების ყოველი დღისთვის, კანონისმიერი პირგასამტეხლოს ოდენობა გადაუხდელი თანხის 0.07%-ით არის განსაზღვრული და მისი მოთხოვნა მოსარჩელის კანონისმიერი უფლებაა, შესაბამისად, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაეხადა თითოეული დაყოვნებული დღისათვის 8 883 ლარის 0.07%, რაც ჯამში 5 081 ლარს (6.22 * 817) შეადგენდა. მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, პირვანდელი სარჩელის ფარგლებში დაყოვნებული თანხის 0.07% აღსრულებამდე მოეთხოვა, თუმცა, რადგან აღსრულებამდე არ მოითხოვა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მან ეს უფლება დაკარგა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: შკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვრცელდება მხოლოდ არსებული შრომითი ურთიერთობების იმ სფეროზე, როდესაც შრომის ანაზღაურება (ხელფასი) ყოვნადაა დასაქმებულს ანგარიშსწორების დაყოვნებული ყოველი დღისათვის პირგასამტეხლოს, 0.07%-ის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მიმდინარე შრომითი ურთიერთობის ფარგლებში, ანუ როდესაც დასაქმებული და დამსაქმებელი ერთმანეთთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, მხარეს (დასაქმებულს, დაზარალებულს) შკ-ის 31.3 მუხლით აღძრული სარჩელი რომ დაუკმაყოფილდეს, უნდა არსებობდეს შემდეგი პირობები:

ა) მხარეებს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა არ უნდა იყოს შეწყვეტილი;

ბ) შეთანხმებული შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად უნდა გაიცემოდეს.

გ) დამსაქმებელმა უნდა დაარღვიოს ძირითადი ვალდებულება – მან უნდა გადააცილოს შრომის ანაზღაურების შეთანხმებულ ვადას ან საბოლოო ანგარიშსწორების კანონით დადგენილ შვიდღიან ვადას (შკ-ის 34-ე მუხლი).

საკასაციო პალატის მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნა შკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის რეგულირების სფეროში ვერ მოექცევა, რადგან იგი უკვე აღარ წარმოადგენდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის მიმდინარე შრომითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ მოთხოვნას – შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების დაყოვნების გამო დაყოვნებული თანხის პროცენტის ანაზღაურების შესახებ. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სადავო პერიოდში მოპასუხისათვის (კასატორი) მის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის მოსარჩელის მიერ მიუღებლობა, მისთვის შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების დაყოვნებასთან ვერ გაიგივებოდა, რადგან, რეალურად, ზემომითითებული დროის მონაკვეთში მოსარჩელე არა შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების მოცდენის, არამედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მის სასარგებლოდ დადგენილი თანხის დაყოვნების სუბიექტია და ეს ვითარება მას შკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კანონისმიერი საურავის მიღების უფლებას არ ანიჭებდა.

4. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გადანყვეტა კი, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების სამართლებრივი საფუძვლის განმაპირობებელი ყველა წინამძღვრის შესაძლო არსებობის კვლევით. დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლების კვლევისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს, დამსაქმებელმა რა ღონისძიებები გაატარა, რათა უზრუნველყო დასაქმებულისათვის დაკავებული თანამდებობის შენარჩუნება.

– საქართველოს შრომის კოდექსის 37.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-792-759-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ ორი სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ: პირველი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, ხოლო მეორე სარჩელის მოთხოვნა იყო მოპასუხე ორგანიზაციაში ჩატარებული პროფესიული საქმიანობის შეფასების (ატესტაციის) შედეგების ბათილად ცნობა მოსარჩელის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით პირველი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2015 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით, მეორე სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ჩატარებული პროფესიული საქმიანობის შეფასების (ატესტაციის) შედეგები. ორივე გადაწყვეტილება პროცესის მონაწილე ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. დაკმაყოფილდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი და, შესაბამისად, სარჩელი: ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება, მოსარჩელე აღდგენილ იქნა მოპასუხე საზოგადოების ბიზნესცენტრში ოპერატორის თანამდებობაზე. მოპასუხეს დაეკისრა 2014 წლის 14 მარტიდან სამუშაოზე აღდგენამდე ყოველთვიურად იძულებით განაცდურის, 700 ლარის, მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა, რით იყო განპირობებული რეორგანიზაციის პროცესი, რა მიზანს ემსახურებოდა რეორგანიზაცია, რეორგანიზაციული ცვლილების რომელი თანმდევი შედეგი ვერ დააკმაყოფილა მოსარჩელემ, შესაბამისად, არ დასტურდებოდა უფლების გამოყენების მართლზომიერება, რაც იმთავითვე აჩენდა დასაქმებულის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ეჭვს, რომლის გაქარწყლება დამსაქმებლის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა, რისი რეალიზებაც, ამ უკანასკნელმა, კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ შეძლო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დამსაქმებლის პრეტენზიაზე და სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ საკონკურსო პროცესის მართლზომიერებისა და კანონიერებაზე მსჯელობის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს დასკვნა უკავშირდებდა საკონკურსო გასაუბრების გაუმჭვირვალე პროცესს, დასაქმებულები-სადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლებლობას და ვარაუდს, რომ მოპასუხემ კონკურსის შედეგების შეფასების უფლება არამართლზომიერად გამოიყენა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოებმა ძალზე ფრთხილად და ნინდახედულად უნდა იმსჯელონ სასამართლო კონტროლის ფარგლებში, კონკრეტული საწარმოს ბიზნესგადანყვეტილებასა და სამენარმეო პოლიტიკაზე, რათა კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულების – თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობას საფრთხე არ შეექმნას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან არ ირკვეოდა, თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდა კონკურსი, შეუძლებელი და მიზანშეუნოვანი იყო ობიექტურად ჩათვლილიყო ამ კონკურსის შედეგები. ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს აკმაყოფილებდა თუ არა კონკურსანტი დამსაქმებლის მიერ დადგენილ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო საკითხის იმგვარი კვლევა, თუ: რა სახის კითხვები იქნა დასმული დამსაქმებულებისათვის, მათ შორის, მოსარჩელისათვის, კითხვები გამომდინარეობდა თუ არა სამუშაოდან, ხომ არ იყო ფორმალური, რა პასუხები გასცა მოსარჩელემ, შემფასებელთა მიერ კანდიდატზე ინფორმაციას როგორ მოიპოვებდნენ, იყო თუ არა კითხვები ერთი და იმავე შინაარსის, დაეთმო თუ არა ყველა კანდიდატთან გასაუბრებას ერთი და იგივე დრო, სცილდება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს. შესაბამისად, ამ მოსარჩელების მიხედვით მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება და დაუდასტურებელი ფაქტობრივი გარემოების მოსარჩელის სასარგებლოდ გადანყვეტა ეწინააღმდეგება დისპოზიციურობის ფუნდამენტურ პრინციპს.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში სახელმწიფო ამოცანათა განსახორციელებლად შექმნილი ორგანიზაციული წარმონაქმნის ფუნქციონირებისათვის გამოსაყენებელ ნორმათა სპექტრი სამოქალაქო კანონმდებლობით არ შემოიფარგლება. საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მიმართებით, შკ-ის გამოყენებისას, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, რომლის თანახმადაც, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-354-339-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მაისის გადანყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების 4.1. პუნქტის ბათილად ცნობა ხელშეკრულების მოქმედების ვადის განსაზღვრის ნაწილში, მოპასუხე ორგანიზაციაში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენა და 2013 წლის 31 დეკემბრიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის დაკისრება. გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15

თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების 4.1. პუნქტის ბოლო წინადადებაში მოცემული სიტყვები „მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა“, დამსაქმებელს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ. მოსარჩელის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების მიღებისას საკუთარი მოსაზრება დაამყარა შკ-ის მე-6 მუხლის 1² ნაწილზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასაციონის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, მოსარჩელესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადის განსაზღვრისას, სააპელაციო პალატამ დაარღვია მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური სამართლის ნორმები. ბათილად ცნო რა შრომითი ხელშეკრულების 4.1. პუნქტის დათქმა ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან მიმართებით, პალატამ საკუთარი მოსაზრება დაამყარა შკ-ის მე-6 მუხლის 1² ნაწილს.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასება იმის თაობაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოხმობილი ნორმა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის განსაზღვრისათვის წარმოადგენდა სპეციალურ დანაწესს და იმ პირობებში, როდესაც დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა გაფორმდა ვაკანტური თანამდებობის კონკურსის წესით დაკომპლექტებამდე, ხელშეკრულების მოქმედების 2013 წლის 31 დეკემბრამდე ვადით შებოჭვა გაუმართლებელი იქნებოდა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დამსაქმებლის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც, სკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მართალია, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში აღჭურვილია სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით, თუმცა მისი შექმნა და საქმიანობა წარიმართება სპეციალური ნორმატიული აქტების საფუძველზე.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მიმართებით, შკ-ის გამოყენებისას, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 1-ლი მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, რომლის თანახმადაც, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 11¹ მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმადაც, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება, აგრეთვე, ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება, დაინიშნონ დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს. ნორმის მე-2 პუნქტი იმპერატიული ხასიათისაა და ადგენს დროებითი მოვალეობის შემსრულებელი პირის უკონკურსოდ დანიშვნის ვადას, რომელიც „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ კონკურსის წესით დასაკავებელი ვაკანტური თანამდებობისას არა უმეტეს 1 წლით, ხოლო, კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე – არაუმეტეს 3 თვით განისაზღვრება. ამავე პუნქტში კანონმდებელი ადგენს, რომ იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა დაუშვებელია.

მხარეთა შორის უდავო იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა არ შედიოდა იმ თანამდებობათა ნუსხაში, რომელთა მიმართაც დროებით მოვალეობის შესრულების 1-წლიანი ვადა ვრცელდება, შესაბამისად, სა-

კასაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელესთან 2013 წლის 1 ოქტომბერს დადებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულების 4.1. პუნქტის დათქმა, „ხელშეკრულება მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი კონკურსის წესით ვაკანტური თანამდებობის დაკომპლექტებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა“, განპირობებული იყო კანონის იმპერატიული დანაწესით და არ არსებობდა შრომითი ხელშეკრულების ამ დებულების ბათილად ცნობის სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები

დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა არის თუ არა „უხეში“; ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ინდივიდუალური შეფასების საგანია და უნდა შეფასდეს საქმის ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ დამრღვევის მოქმედების (ან უმოქმედობის) სიმძიმე შეფასდეს, პირველ რიგში, გამოკვლევულ უნდა იქნეს იმ სამსახურის დანიშნულება, სადაც დასაქმებული მუშაობს და ამ სამსახურში დასაქმებულის ფუნქცია და მოვალეობები.

– საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 13 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-127-123-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნაწილში, აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე და მოპასუხეს გადასახდელად დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სასარჩელო მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისა და პრემიის (მიუღებელი შემოსავლის) მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მართალია, მოსარჩელემ დაარღვია შრომითი მოვალეობა, თუმცა ეს დარღვევა იყო ერთეული შემთხვევა და მას არ მოჰყოლია არცერთი პირის უფლებების (ინტერესების) შელახვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი სახის – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გამოყენების საფუძველები. შესაბამისად, ვლინდებოდა შრომითი ურთიერთობის უკანონოდ შეწყვეტა და მოსარჩელის იძულებითი მოცდენა დამსაქმებლის ბრალით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დაუსაბუთებელი იყო. მოსარჩელის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, დამსაქმებლის მიერ გამოყენებული ზომა – გათავისუფლება იყო დარღვევის ადეკვატური. შესაბამისად, არ არსებობდა გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი. შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა ნარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა არის თუ არა „უხეში“, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ინდივიდუალური შეფასების საგანია და უნდა შეფასდეს საქმის ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით. ერთი და იგივე ქმედება, რომელიც ერთ შემთხვევაში არაარსებით დარღვევას წარმოადგენს, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია უთანაბრდებოდეს უხეშ დარღვევას. იმისათვის, რომ დამრღვევის მოქმედების (ან უმოქმედობის) სიმძიმე შეფასდეს, პირველ რიგში გამოკვლევულ უნდა იქნეს იმ სამსახურის დანიშნულება, სადაც დასაქმებული მუშაობს და ამ სამსახურში დასაქმებულის ფუნქცია და მოვალეობები.

საკასაციო პალატამ ხასგასმით აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქმე უკავშირდებოდა ბავშვის უმნიშვნელოვანეს ინტერესს, აღიზარდოს ჯანსაღ ოჯახურ გარემოში და ნებისმიერმა დარღვევამ პოტენციური დედობილ/მამობილისა და ოჯახური გარემოს შეფასების პროცესში შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი გამოიწვიოს. მოსარჩელის მხრიდან ჩადენილი დარღვევის ხარისხის შეფასებისას საკმარისი არ არის მხოლოდ ის ფაქტი, რომ დარღვევის შემთხვევამდე მას მოვალეობა არ დაურღვევია; არც ის ფაქტი, რომ დარღვევის შედეგად არავინ დაზარალებულა (რადგან მინდობით ბავშვი არ აუყვანია). ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის მაღალი პოტენციური საფრთხე, რომელიც შესაძლებელია, უკავშირდებოდეს ასეთი სახის გულგრილობას და ზერელე დამოკიდებულებას იმის მხრიდან, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის უსაფრთხო და შესაფერის გარემოში განთავსებაზე და – ასეთი მუშაკის მიერ საკუთარი მაღალი პასუხისმგებლობის გაუცნობიერებლობას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი; პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა, კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება, იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია, მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენება;

სკ-ის 408.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანი (განსახილველ საქმეზე – იძულებითი განაცდური) განსხვავდება შკ-ის 38.8 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციისაგან, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლომ სწორედ იმ შემთხვევისათვის უნდა გამოიყენოს, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

- საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 29 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-951-901-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ (დასაქმებული) სარჩელი აღძრა მოპასუხის (დამსაქმებელი) წინააღმდეგ, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით სარ-

ჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და სასამართლომ იგი აღადგინა თანამდებობაზე. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა იძულებით გაცდენილი დროის შრომის ანაზღაურება 2012 წლის 27 დეკემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე, განსაზღვრული ყოველთვიური შრომის ანაზღაურების – 750 ლარიდან დაანგარიშებით.

მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, სარჩელი სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი ურთიერთობის ფაქტობრივად შეწყვეტიდან გასული იყო საკმაოდ დიდი დრო (ორწელიწადნახევარზე მეტი), რომლის განმავლობაშიც, ბუნებრივია, საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის – კავშირგაბმულობის ოპერირების სფეროშიც, ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ. მოსარჩელემაც დაადასტურა, რომ ამ ხნის განმავლობაში მას ამ სფეროში არ უმუშავია. ასეთ პირობებში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო, რომ დასაქმებულის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილებულიყო და მას, ყოფილი დამსაქმებლის ხარჯზე, მისცემოდა კომპენსაცია, რომელიც უნდა განსაზღვრულიყო 1 წლის განმავლობაში მისაღები ხელფასით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება, იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია, მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება. შკ-ის 38-ე მუხლი დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით, დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო, თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და შეფასება, რომელიც მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენას მიზანშეწონილად მიიჩნევდა. საკასაციო სასამართლომ წინააღმდეგობრივად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები იმ კონტექსტშიც, რომ სასამართლოს მიერ, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, კანონმდებელმა კონკრეტული სამართლებრივი შედეგი დაუკავშირა შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტის სახით. ამასთან, საქმის მასალებში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაში, მის მიერ შრომითი მოვალეობების განხორციელების შეუძლებლობას.

შკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს შრომის კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება სსკ-ის ნორმებით. განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებლის არამართლზომიერი ქმედების შედეგად, დასაქმებულის გათავისუფლებას შედეგად მოჰყვა ამ უკანასკნელისათვის ზიანის მიყენება, რადგან დასაქმებული, გათავისუფლების დღიდან, ვერ აღარ ასრულებდა შრომით მოვალეობებს, შესაბამისად, ვერ ღებულობდა კუთვნილ შრომით ანაზღაურებას.

სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დამსაქმებლის უკანონო ბრძანების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, დასაქმებულს მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა მის მიერ შრომითი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობასა და კუთვნილი ანაზღაურების (ხელფასის) მიუღებლობაში. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იძულებითი განაცდური წარმოადგენს სწორედ იმ ზიანს, რომელიც ეკუთვნის დასაქმებულს, რათა პირვანდელი ვითარება იმ სახით აღდგეს, რომელიც არ იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სკ-ის 408.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანი (განსახილველ საქმეზე – იძულებითი განაცდური) განსხვავდება შკ-ის 38.8 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციისაგან, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლომ სწორედ იმ შემთხვევისათვის უნდა გამოიყენოს, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

კომპენსაცია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის

დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება, იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლომ, დისკრეციული უფლებამოსილებით, მოხმობილი ნორმის დანაწესი საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს. შკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო, თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება.

– საქართველოს შრომის კოდექსის 38.8 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 29 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1327-1265-2014
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე და ბათილად იქნა ცნობილი ბრძანებები მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, მოპასუხეს დაეკისრა 6 თვის ხელფასის, 2190 ლარის, ანაზღაურება მოსარჩელეთა სასარგებლოდ. საქალაქო

სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ერთ-ერთი მოსარჩელის საჩივრი არ დაკმაყოფილდა. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

კომპენსაციის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ერთ-ერთი მოსარჩელის ბრძანების ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით საჩივრი წარადგინა სასამართლოში მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემიდან თითქმის სამი წლის გასვლის შემდეგ. მასთან გაფორმებული იყო ვადიანი (ერთი წლის ვადით) შრომითი ხელშეკრულება და კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე 11 დღით ადრე შეწყდა მასთან შრომითი ურთიერთობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მოსარჩელის სასარგებლოდ კომპანიისათვის კომპენსაციის ექვსი თვის ხელფასის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო დაეთანხმა კასატორის (მოპასუხე) პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, გათავისუფლებული მუშაკის სასარგებლოდ, საზოგადოებას დააკისრა შეუსაბამოდ მაღალი კომპენსაცია, 6 თვის ხელფასის ოდენობით.

შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელესთან გაფორმებული იყო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება და დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა მისი ვადის ამოწურვამდე. ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული, ასევე, იმ პირობებში, როდესაც დადებული იყო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება და სამსახურიდან გათავისუფლებამდე არსებულ ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც ასევე კანონიერ ძალაშია შესული, ვლინდება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობიდან გამომდინარე მოპასუხისათვის კომპენსაციის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრები.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება უკანონოდ შეწყდა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 11 დღით ადრე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად სამართლიანი იქნებოდა მოპასუხე კომპანიას დაჰკისრებოდა კომპენსაცია ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი შკ 38.8 მუხლში მითითებული დანაწესი დისკრეციული უფლებამოსილებით, საკუთარი შეხედულებებისამებრ გამოიყენოს

- საქართველოს შრომის კოდექსის 38.8 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 29 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-931-881-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დასაქმებულმა 2015 წლის 5 მარტს სარჩელი აღძრა დამსაქმებლის წინააღმდეგ, მისი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით (№2/48-15) არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით დასაქმებულის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის ბრძანება მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, მის სასარგებლოდ, დამსაქმებელს დაეკისრა, 2015 წლის 1 იანვრიდან, ყოველთვიურად იძულებითი განაცდურის სახით 350 ლარის გადახდა განაცდულების აღსრულებამდე. დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ცენტრში განხორციელებული რეორგანიზაციით გაუქმდა ის საშტატო ერთეული, რომელზეც მოსარჩელე მუშაობდა, ხოლო ფუნქციები სხვა თანამშრომლებს გადაუნაწილდათ, შესაბამისად, შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, ბათილი ბრძანების გამო, დასაქმებული შრომით მოვალეობებს ვეღარ ასრულებდა და, 2015 წლის იანვრიდან, დამსაქმებლის ბრალით, იმ შემოსავალს ვერ იღებდა, რაც ხელფასის სახით, ყოველთვიურად 350 ლარი, უნდა მიეღო. 2015 წლის 1 იანვრიდან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე გასული იყო 7 თვე, ამ პერიოდის კომპენსაცია თვეში 350 ლარზე გაანგარიშებით შეადგენდა (350 ლარი X 7 თვეზე) 2450 ლარს, რომლის გადახდაც უნდა დაჰკისრებოდა მოპასუხეს, ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ამ თანხის სრულად გადახდამდე, ყოველთვიურად 350 ლარი. შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ცენტრს უნდა დავალებოდა 2015 წლის 1 იანვრიდან, დასაქმებულისათვის გადაეხადა იძულებითი განაცდურის შესაბამისი თანხა, თვეში 350 ლარი, გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, შკ-ის 38.8 მუხლში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა, კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება, იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია, მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენება. შკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლ-

ფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო, თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება. საკასაციო სასამართლომ სწორედ ამ კონტექსტში გაიზიარა დასაქმებულის საკასაციო განაცხადის პრეტენზიები, რის გამოც ნაწილობრივ დააკმაყოფილა იგი და საქმე დააბრუნა ხელახლა გამოსაკვლევად.

ანალოგიურია: სუსგ №ას-941-891-2015 (29.01.2016), №ას-1083-1020-2015 (15.04.2016).

6. შრომის კოდექსის მოქმედება დროში

მოთხოვნის ხანდაზმულობა

საბოლოო ანგარიშსწორების დაყოვნების გამო, კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდა დამსაქმებელს ეკისრება არა მხოლოდ იმ შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციულად, რაც ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ წარმოიშვა, არამედ იმ თანხაზეც, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დროისათვის არ იყო ანაზღაურებული;

ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება უკავშირდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტს. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

- საქართველოს შრომის კოდექსის 53-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1205-1132-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა 2006 წლის სახელფასო დავალიანების – 1 440 ლარისა და ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის ანაზღაურება.

სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დარიცხული ხელფასის სახით დაეკისრა 120 ლარი 12 თვეზე გაანგარიშებით, ასევე, მიეცა ხელზე ასაღები ხელფასის 0,07% შვიდ თვეზე დაანგარიშებით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, 130-ე მუხლით და მიიჩნია, რომ სამხარეო ფილიალსა და მოპასუხეს შორის 2006 წელს გაფორმებული ხელშეკრულება დასაქმებულისათვის ხელ-

მისაწვდომი გახდა მხოლოდ 2014 წელს მოპასუხესთან არსებული სხვა სასამართლო დავის წარმოებისას, შესაბამისად, დარღვეული უფლების შესახებ მოსარჩელემ შეიტყო 2015 წელს, რაც გამორიცხავდა სარჩელის ხანდაზმულობას.

სასამართლომ ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა, შკ-ის 34-ე მუხლის, 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის, სკ-ის 316-ე-317-ე, 361-ე მუხლების შესაბამისად, ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო, შესაბამისად, მოპასუხეს დასაქმებულის სასარგებლოდ უნდა დაჰკისრებოდა 2006 წლის მანძილზე მიუღებელი 120 ლარისა და 2006 წლის ივნისიდან დეკემბრამდე ამ თანხის 0.07%-ის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ დასაბუთებულ შედაგებად მიიჩნია მოპასუხის მიერ საკასაციო საჩივარში გამოთქმული ის პრეტენზია, რომლის თანახმადაც, სასამართლომ არასწორად განმარტა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი.

სააპელაციო პალატამ დაადგინა მხარეთა შორის პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში კი, ხანდაზმულობის საკითხის მომწესრიგებელ ნორმად სკ-ის 129-ე მუხლის არა პირველი, არამედ, მე-2 ნაწილი გვევლინება, რომლის თანახმადაც, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია (სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობისაა ის გარემოება, თუ როდის შეიტყო პირმა უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შკ-ის 53-ე მუხლის არასწორი განმარტების თაობაზეც. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან შრომითი ურთიერთობა ამოიწურა ახალი კანონის (შრომის კოდექსის) ამოქმედების შემდგომ, 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის დათქმაც შეეხოდა მხოლოდ შრომის კანონთა კოდექსის გაუქმებისა და ახალი შრომის კოდექსის ამოქმედებიდან მოყოლებულ პერიოდს და პირგასამტეხლო მხოლოდ ამ დროიდან მისაღებ ხელფასზე უნდა ყოფილიყო დარიცხული. საკასაციო სასამართლომ მოიხმო მოქმედი შკ-ის 53-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ეს კანონი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა. საკანონმდებლო დათქმა მისი დროში მოქმედების პრინციპის თაობაზე გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შეფასების გაზიარების შესაძლებლობას, რომ პირგასამტეხლოს ანაზღაურების უფლება პირმა მხოლოდ ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ მისაღებ და დაყოვნებულ ხელფასზე მოიპოვა.

საბოლოო ანგარიშსწორების დაყოვნების გამო, კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდა მოპასუხეს ეკისრებოდა არა მხოლოდ იმ შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციულად, რაც ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ წარმოიშვა, არამედ იმ თანხაზეც, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დროისათვის არ იყო ანაზღაურებული.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

1. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

სასამართლო უწყების ჩაბარება

ის ფაქტი, რომ უწყების მიმღებსა და ორგანიზაციის წარმომადგენელს შორის შეიძლება, არსებობდეს ბიოლოგიური კავშირი, არ ავალდებულებს უწყების მიმღებს გადასცეს უწყება ადრესატს, თუ იგი არ წარმოადგენს ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-872-822-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 15 600 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 აპრილის სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე), რის გამოც აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივარის დაკმაყოფილების თაობაზე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველად სასამართლომ მიუთითა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე ეცნობა სს.კ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე პროცესზე გამოუცხადებელ მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია.

2015 წლის 15 აპრილის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, რომელმაც მისი გაუქმება და საქმისწარმოების განახლება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივლისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2015 წლის 15 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მიუთითა, რომ კასატორი ორგანიზაცია რეგისტრირებულია მისი დირექტორის იურიდიულ მისამართზე. სასამართლო სხდომის დანიშვნის თაობაზე სასამართლო უწყება ჩაჰბარდა კასატორის დირექტორის დედას, რომელიც არ წარმოადგენდა ამავე უწყებაში დასაქმებულ პირს, შესაბამისად, უწყება არ ჩაჰბარებია სასამართლო სხდომაზე მოსაწვევ პირს, ვინაიდან, თუ უწყება ჰბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით, იგი უნდა ჩაჰბარდეს შესაბამისი ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონის თანახმად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს (სს.კ-ის 73-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება). საპროცესო სამართლით დადგენილი წესები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, განვრცობითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ იძლევა, რადგანაც ეს დაარღვევდა სამართლებრივი ნორმების ერთიანობას და შეეწინააღმდეგებოდა პროცესუალური ფორმალიზმის პრინციპს. ამ პრინციპის არსი კი, ისაა, რომ ყოველი საპროცესო მოქმედება სრულდება

კანონით დადგენილი წესებისა და ფორმალობების მკაცრად დაცვით. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ უწყების მიმღებსა და საწარმოს წარმომადგენელს (დირექტორს) შორის ბიოლოგიური კავშირი არსებობდა (დედა-შვილი), კანონის გაგებით იგი (დედა) არ წარმოადგენდა ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებული იქნებოდა, უწყება ადრესატისათვის გადაეცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მონინაალმდევე მხარეს სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე ეცნობა სსკ-ის 70-78 მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის

იმ შემთხვევაში, როცა საქმეში მოპასუხე 10-ზე მეტი პირია, სსკ-ით დადგენილი, პირველი სამი პირისათვის ჩაბარების წესი, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოპასუხეები სასამართლოში წარადგენენ შესაგებელს.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-514-487-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და ნაგებობის დემონტაჟის თაობაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის განჩინებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა.

სააპელაციო საჩივარი ძირითადად ეფუძნებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტის დარღვევას, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გამოიკვლია და არ იმსჯელა, არსებობდა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ისევე, როგორც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, მოპასუხეთა ნაწილის მიმართ, გამოტანილი იყო იმგვარად, რომ საქმისწარმოების არცერთ ეტაპთან დაკავშირებით კანონით დადგენილი წესით მათი ინფორმირების ფაქტი არ დასტურდებოდა, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

სარჩელი სასამართლოში წარდგენილი იყო 27 მოპასუხის წინააღმდეგ, სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ სასამართლოს გზავნილი სარჩელითა და თანთართული დოკუმენტების ასლებით გაეგზავნა სარჩელში მითითებულ პირველ სამ მოპასუხეს, მაგრამ ჩაპბარდა მხოლოდ ერთს.

სსკ-ის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმეში მოსარჩელე ან მონინაალ-

მდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია და საქმისწარმოება სასამართლოში მინდობილი არ აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანი-სათვის ნიშნავს უწყების ჩაბარებას მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როცა საქმეში მოპასუხე 10-ზე მეტი პირია, სსკ-ის 77-ე მუხლით დადგენილი, პირველი სამი პირისათვის ჩაბარების წესი, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოპასუხეები სასამართლოში წარადგენენ შესაგებელს. აღნიშნული გამომდინარეობს თავად სსკ-ის 77-ე მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმად, სასამართლო უწყება ეგზავნება შესაგებელზე ხელის მომწერ პირველ სამ პირს და არა სარჩელში მითითებულ პირველ სამ მოპასუხეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

2. მხარეები

არასათანადო მოსარჩელის შეცვლა

სასამართლოს შეუძლია არასათანადო მოსარჩელის თანხმობით, ამ უკანასკნელის სათანადო მოსარჩელით შეცვლა.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1132-1065-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ აღძრა სარჩელი და მოითხოვა შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობა მოპასუხის სასარგებლოდ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობისა და შესაბამისი სამკვიდრო მონაწილის გაუქმების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა, რომ საქმე განხილული იყო მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, როგორც სააპელაციო, ისე – რაიონულ სასამართლოებში, კერძოდ, არცერთმა სასამართლომ არ იმსჯელა, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს სარჩელის აღძვრის უფლება, ანუ სასამართლომ არ გაარკვია დავის ინიციატორი სათანადო მოსარჩელე იყო თუ არა. დავის არსიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის გამოკვლევა სასამართლოს პრეროგატივა იყო, რომელსაც სსკ-ის 84-ე მუხლის საფუძველზე უნდა ემსჯელა, იყო თუ არა აღძრული სარჩელი იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება ჰქონდა; მოსარჩელის თანხმობის შემთხვევაში, სასამართლოს შეეძლო არასათანადო მოსარჩელის თანხმობით, ამ უკანასკნელის სათანადო მოსარჩელით შეცვლა. დასახელებული ნორმა ანესრიგებს იმ საკითხსაც, როდესაც არასათანადო მოსარჩელის შესაცვლელად სათანადო მოსარჩელე უარს აცხადებს, რა დროსაც სასამართლო შეწყვეტს

საქმისწარმოებას, ხოლო, თუკი არასათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა, შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, მაშინ ეს უკანასკნელი შესაძლებელია მესამე პირად ჩაებას საქმეში, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნას განაცხადებს დავის საგანზე.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

არასათანადო მოპასუხის შეცვლა;

სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა

სსსკ-ის 86-ე მუხლის მიხედვით, თუკი უფლება შეიძლება, ეკუთვნოდეს მესამე პირებს, ისინი აუცილებლად უნდა იქნენ საქმეში ჩართული მოპასუხეებად, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეილახოს მათი ინტერესები. ამასთან, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება, ასეთ შემთხვევაში, ვლინდება სავალდებულო თანამონაწილეობა.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე და 86-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-673-640-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო ბრძანებები გაუქმდა, ხოლო მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საწარმოს გამგეობის თავმჯდომარედ რეგისტრაცია. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხემ და მესამე პირებმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლებრივი შედეგი, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა (საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის გაუქმება და ამ ცვლილებების რეგისტრაციამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა), გამომდინარეობდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51.1, 51.2, 51.3 მუხლებისა და სკ-ის 408.1 მუხლის დანაწესებიდან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღწევად აუცილებელი წინაპირობების შემონახვამდე სასამართლოს, პირველ რიგში, მოპასუხეთა სათანადოობის საკითხი უნდა გამოეკვლია.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის მიზანი იყო სუბიექტური უფლების მიკუთვნება – სამეწარმეო რეესტრში საწარმოს გამგეობის თავმჯდომარედ მოსარჩელის რეგისტრაცია. ამდენად, საწარმოს სადავო გარიგებების ბათილობა აღნიშნული უფლების დაბრუნების წინაპირობად უნდა განხილულიყო, რის გამოც, გარიგებათა ბათილობის მოთხოვნის გარეშე, სასარჩელო მოთხოვნას იურიდიული საფუძველი ჰქონდა, თუმცა საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასა-

მართლოს მოსაზრება, რომ ზემოხსენებული გარიგებების ბათილობის საფუძველად მითითებული გარემოებების გამაქარწყლებელი ფაქტების დადასტურება ადმინისტრაციული ორგანოების მტკიცების საგანში შედიოდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარიგებების ნამდვილობის თაობაზე დასაბუთებული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება ამ გარიგებათა დამდებ ორგანოს ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული გარიგებების ნამდვილობის შესაფასებლად, პირველ რიგში, სათანადო მოპასუხეთა წრე იყო დასადგენი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე უნდა ემსჯელა, სარჩელი აღძრულია თუ არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პასუხი უნდა აგოს მასზე, კერძოდ, არის თუ არა მარეგისტრირებული ორგანო, როგორც გარიგების კანონის შესაბამისად რეგისტრაციაზე, ისე გარიგების ნამდვილობაზე პასუხისმგებელი პირი.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მითითებული ნორმის მიხედვით, თუკი უფლება შეიძლება, ეკუთვნოდეს მესამე პირებს, ისინი აუცილებლად უნდა იქნენ საქმეში ჩართული მოპასუხეებად, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეილახოს მათი ინტერესები. ამასთან, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება, ასეთ შემთხვევაში, ვლინდება სავალდებულო თანამონაწილეობა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები და მტკიცების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ცეკავშირს შესაბამისი პროცესუალური სტატუსი ექნებოდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნულ დავაში მისი სავალდებულო თანამოპასუხის სტატუსით ჩაბმის თაობაზე. ამდენად, თუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო დაადგენდა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სათანადო მოპასუხეა, ასეთ შემთხვევაში, მას უნდა ემსჯელა საწარმოს სავალდებულო თანამოპასუხეობაზეც.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მესამე პირები

კანონით სასამართლოს არა აქვს იმის უფლება, რომ საკუთარი ინიციატივით ჩააბას მესამე პირი საქმეში;

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე-90-ე მუხლები;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 16 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-973-922-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა 24 800 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ივლისის განჩინებით სააპელაციო

საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

განსახილველ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ჩამოყალიბებული არ იყო ცალსახად და არაორაზროვნად, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტები მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების გათვალისწინებით, საჭიროებდა უფრო მეტ სიზუსტეს და თანმიმდევრობას, ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის და მის საფუძვლად მითითებული ფაქტების ნათლად ჩამოყალიბება განმსაზღვრელი იყო სარჩელზე მოპასუხეთა წრის ჩამოყალიბებისა და დაზუსტების კუთხით, ასევე, იმის დასაზუსტებლად, ხომ არ არსებობდა საქმეში ამა თუ იმ სუბიექტის მესამე პირად ჩაბმის აუცილებლობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, სადაც სასამართლომ სარჩელის უარყოფის მთავარ საფუძვლად მიუთითა იმაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დამტკიცა ის გარემოება, რომ შესრულების საგანი – 24 800 ლარი – მას, და არა პარტნიორს, ეკუთვნოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოთხოვნის არსი და მისი საფუძველი ბუნდოვანი იყო და ამიტომ შეუძლებელი იყო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია.

პალატამ ასევე არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა პარტნიორის მესამე პირად ჩართვის მოტივით საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რადგანაც ამგვარი მსჯელობა ეწინააღმდეგება სსკ-ის 88-90 მუხლებით დადგენილ წესებს. კანონით სასამართლოს არა აქვს იმის უფლება, რომ საკუთარი ინიციატივით ჩააბას მესამე პირი საქმეში. საქმის მასალებით კი არ დასტურდებოდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, რომელიმე მხარემ ან თვით დაინტერესებულმა პირმა (პარტნიორმა) გამოიყენა აღნიშნული ნორმებით მინიჭებული საპროცესო უფლება.

საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. საქმე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში შებოჭილია სააპელაციო სასამართლო, ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სსკ-ის თანახმად, ასევე, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება (მდრ. საქმე №-ას-471-450-2015 30.10.15).

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

3. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

მტკიცების ტვირთი;

უსაფუძვლო გამდიდრება

პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ ქმნის მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს. მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ;

კონდიციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, ასევე, აუცილებელია, რომ პირი გამდიდრდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონება იზრდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-184-171-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ 23,000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. რუსეთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაზედაც მან წარადგინა სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა თანხის დაბრუნების და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების სკ-ის 978-ე, 991-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს. სახელდობრ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც ნაყიდი უძრავი ქონება შეიძინა მოპასუხემ, არ დგინდებოდა, რომ რეალურად უძრავი ნივთის ნასყიდობისას გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა მოსარჩელე და ბინის გამყიდველისათვის საბანკო ოპერაციით გადარიცხულ თანხაზე ვრცელდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება, მარტოოდენ საბანკო ოპერაციაში მოსარჩელის მონაწილეობა კი, არ ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის ამ თანხის დაკისრების საკმარის საფუძველს. აღნიშნული კი, წარმოადგენილ სარჩელს წარუმატებელს ხდიდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ – 23,000 აშშ დოლარი ნაღდი ანგარიშსწორების გზით 2013 წლის 25 თებერვალს ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე, შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე – ამოქმედდა პრეზუმფცია სადავო თანხის კუთვნილების შესახებ მოსარჩელის სასარგებლოდ.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ ქმნის მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს. მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემაჯავლი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენს კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმაც მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში.

მოცემულ შემთხვევაში, საპირისპირო მტკიცების ტვირთი, რომლითაც გამოირიცხებოდა სადავო თანხაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება, მოპასუხის მხარეზეა, რომელიც სადავო თანხის მოსარჩელის პირად ანგარიშზე მოხვედრის გარემოებას იმით ხსნიდა, რომ მას ჰქონდა საცხოვრებელი ბინის შეძენის სურვილი, რადგან დაინტერესებული იყო იქ არსებული ბიზნესგარემოთი და გეგმავდა ბიზნესსაქმიანობას ამ ქალაქში, თუმცა მას ჰქონდა რა თურქული პასპორტი, ფლობდა თურქულ ენას და არ გააჩნდა ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის ქართული თარგმანი, დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა სასურველ საბანკო ოპერაციას. შესაბამისად, უძრავი ქონების ნასყიდობის საფასურის გადახდის შესახებ მყიდველის ვალდებულების შესრულებას. მოპასუხის მითითებული პოზიცია საკასაციო პალატამ სარწმუნოდ, მით უფრო, მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედი პრეზუმფციის გაქარწყლების საფუძველად არ მიიჩნია, გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც ეს საქმეში თავად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის ამონაწერებით ირკვეოდა, ქართულ საბანკო დანესებულებაში მოპასუხის სახელზე გახსნილი იყო ანაბარი. იმ ვითარებაში, რომ მოპასუხის აღნიშნული პოზიცია ლოგიკურ დასაბუთებას იყო მოკლებული, მოპასუხისავე ახსნა-განმარტების იმ შინაარსის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ მას საფულიდან მოჰპარა 400 აშშ დოლარი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ ვითარებაში, ნაკლებად სავარაუდოა მოპასუხეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაში დახმარება ეთხოვა მოსარჩელისათვის, უფრო მეტიც, მოსარჩელის პირადი საბანკო ანგარიშის მემკვიდრით გადაეხადა ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია, რაც საქმის განმხილველი სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობის მიერ სკ-ის 991-ე მუხლის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში გამოიხატა.

მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, სახელდობრ, იმის გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხემ, 23,500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის საკუთრების უფლებით; აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მიხედვით მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებამდე, გამყიდველმა კი, მიიღო ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი), რომელიც უნაღდო ანგარიშსწორების გზით მის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა 2013 წლის 25 თებერვალს; შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად ეწერა მოსარჩელე, გამოსაკვლევი იყო, მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან გადარიცხული სადავო თანხის (23,000 აშშ დოლარის) დაბრუნების კონდიქციის არსებობა, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი სკ-ით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მტკიცების ტვირთი;

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

როდესაც სადავოა საიჯარო ფართით სარგებლობისა და მფლობელობის ფაქტი და, ვინაიდან, სწორედ ამაზეა დამოკიდებული საიჯარო ქონებით სარგებლობისა და მფლობელობის საფასურის, საიჯარო ქირის, გადახდა, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება საქმეზე დასაბუთებული და სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების წინაპირობა;

პირგასამტეხლოს შემცირების დისკრეციით ლეგიტიმური სარგებლობისათვის გასათვალისწინებელია მხარის ქონებრივი მდგომარეობა და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სახელდობრ, როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-2-2-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ (მეიჯარე) სარჩელი აღძრა მოიჯარის წინააღმდეგ და 119.92 ლარის საიჯარო ქირის, პირგასამტეხლოს, 1 482.14 ლარის, სულ – 2 602,06 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2001 წლის 3 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ერთი წლის (2007) საიჯარო ქირის 136 ლარისა და პირგასამტეხლოს, 17 ლარისა და 75 თეთრის, სულ – 153 ლარისა და 75 თეთრის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა მხარეთა შორის არსებული იჯარის ხელშეკრულების მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე და ხელშეკრულების მოქმედების ვადა მართებულად მიიჩნია შეწყვეტილად 2008 წლის 1 თებერვლიდან, შესაბამისად, პალატის შეფასებით, არ არსებობდა მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საიჯარო ქირის ნაწილის – 983.92 ლარისა და პირგასამტეხლოს, 1464.39 ლარის, დაკისრების საფუძველი, რის გამოც მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც მოპასუხე საიჯარო ქონებას ფლობდა და მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა შეწყდა მოსარჩელის 2014 წლის 16 დეკემბრის შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის 1/7-474 ბრძანების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საა-

პელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, უკრიტიკოდ, სათანადო და დასაშვები მტკიცებულებების არარსებობის პირობებში გაიზიარა მოპასუხის შესაგებელი და საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილად მიიჩნია 2008 წლის 1 თებერვლიდან, მაშინ, როდესაც ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხეს და არა მოსარჩელეს – სსკ-ის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად. მოპასუხეს არ წარმოუდგენია იჯარის ხელშეკრულების 2008 წლის 1 თებერვლიდან შეწყვეტის დამადასტურებელი არცერთი დასაშვები მტკიცებულება. ის სადავო გარემოების დასადასტურებლად მიუთითებდა ხელშეკრულების იმ პუნქტზე, რომლითაც დადგენილი იყო, რომ მეიჯარეს უფლება აქვს, იჯარის ვადის გასვლამდე შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება, თუ მოიჯარე არ იხდის იჯარის ქირას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლიდან 3 თვის განმავლობაში. ხელშეკრულების აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, მეიჯარის უფლებას და არა ვალდებულებას წარმოადგენდა ამ საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარის მხრიდან ვალდებულების დარღვევისას. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ მეიჯარემ აღნიშნული უფლება 2014 წლის 16 დეკემბრამდე გამოიყენა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა 2008 წლის 1 თებერვლის თარიღს დაუკავშირდებოდა, ეს სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლიდა და მოპასუხე მაინც არ გათავისუფლდებოდა ქირის გადახდის მოვალეობისაგან, რადგანაც მაშინ მას უნდა წარმოედგინა საიჯარო ქონებაზე მისი მფლობელობის შეწყვეტის (მეიჯარისათვის დაბრუნების) დამადასტურებელი მტკიცებულება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, როდესაც სადავო საიჯარო ფართით სარგებლობისა და მფლობელობის ფაქტი და, ვინაიდან, სწორედ ამაზე დამოკიდებული საიჯარო ქონებით სარგებლობისა და მფლობელობის საფასურის, საიჯარო ქირის, გადახდა, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილებაა საქმეზე დასაბუთებული და სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების წინაპირობა. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ საიჯარო ქონების დაბრუნების ფაქტობრივი გარემოება დადასტურებული არ არის, ამიტომ, საიჯარო ქირა მოიჯარეს უნდა დაეკისროს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც, სარჩელის აღძვრამდე, კერძოდ – 2015 წლის 13 მარტამდე (სკ-ის 591-ე მუხლი).

რაც შეეხებოდა პირგასამტეხლოს ოდენობას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ის, კონკრეტულ შემთხვევაში, შეუსაბამოდ მაღალი იყო და უნდა დაქვემდებარებოდა შემცირებას სამართლიან ოდენობამდე (სკ-ის 420-ე მუხლი). პალატამ მიუთითა, რომ პირგასამტეხლოს შემცირების დისკრეციით ლეგიტიმური სარგებლობისათვის გასათვალისწინებელია მხარის ქონებრივი მდგომარეობა და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სახელდობრ, როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

მტკიცებულებათა დასაშვებობა

საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-42-42-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა, მიწის ნაკვეთებზე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, საკუთრების უფლების დაბრუნება, მის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნების ბათილობის მოტივით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი აჭარის პროკურატურის წერილიდან ირკვევოდა, რომ მსჯავრდებულის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრისა და 2011 წლის 16 თებერვლის განაჩენით, ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 მაისის განაჩენით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის განჩინებით დადგენილ იქნა, რომ სადავო გარიგებით მიტოვებული მიწის ნაკვეთები მსჯავრდებულს მოპოვებული ჰქონდა დანაშაულებრივი გზით და გარკვეული დროის განმავლობაში ქონების ფიქტიური მესაკუთრე იყო მოსარჩელე. მიწის ნაკვეთი მოსარჩელემ სახელმწიფოს სასარგებლოდ იმის გამო დათმო, რომ მსჯავრდებულს ამ გზით აენაზღაურებინა მიწის ნაკვეთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებით მიყენებული ზიანი. სასაპელაციო დადგენილებით დადგინდა შეღავათიანი სასჯელი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საკმარისად არ გამოიკვლია მოსარჩელის ნების ნამდვილობის წინაპირობები, ანუ დაცული იყო თუ არა ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პირობები, პროკურატურა მოსარჩელეზე ხომ არ ზემოქმედებდა ფსიქოლოგიურად და ხომ არ განაპირობა ქონებაზე უარი შექმნილმა ვითარებამ?

სასამართლომ მხოლოდ დადგინილი ფაქტები შეაფასა. სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკოდ, აღბათობის აუცილებელი ხარისხის არარსებობის პირობებში, გაიზიარა აჭარის ა/რ პროკურატურის 2015 წლის 11 მაისის წერილში მითითებული ფაქტები და დადგინილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მიწის ნაკვეთების ფიქტიური მესაკუთრე იყო და თავის დროზე მათზე უფლება დანაშაულებრივი გზით მოსარჩელის მანქანა მოიპოვა. მოსარჩელემ კი, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, ქონება სახელმწიფოს გადასცა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ამგვარი ფაქტების დადგენილად მიჩნევა მხოლოდ ზემოაღნიშნული წერილის საფუძველზე, ისე რომ საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა შესაბამისი მტკიცებულებები: 2011 წლის 24 იანვრის, 16 თებერვლისა და 17 მაისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენები, დაუშვებელი იყო. შესაბამისად, დაირღვა სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნა: „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მტკიცებულებათა დასაშვებობა

თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება, დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-33-33-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელთათვის, მის მიერ გადახდილი 5923 ევროს სოლიდარულად დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მოთხოვნა მეორე მოპასუხისათვის (თავდებისათვის) 2010 წლის მაისში გადაცემული 4500 აშშ დოლარის დაბრუნების თაობაზე, დაუსაბუთებელი იყო, რადგან საქმეში არ არსებობდა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 85.3 მუხლის, სსკ-ის მე-4, 102-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არ არსებობდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა მოსარჩელის წინაშე თანხის დაბრუნების თაობაზე მოპასუხეთა სახელმძღვანელო ან კანონისმიერი ვალდებულების არსებობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის როგორც სააპელაციო, ისევე, საკასაციო პრეტენზიის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ მან სხვის მაგივრად გადაიხადა თანხა, რაც უპირობოდ უნდა დაბრუნებოდა. ამ კონტექსტში კი, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია შემდეგი გარემოებები: 35 000 ლარიდან, რომელიც დადგენილია, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით უძრავი ქონების ღირებულება იყო, 5923 ევროს გადახდა პირველი მოპასუხის თავდებისათვის, უნდა ჩათვლილიყო თუ არა განაწილვადებით შექმნილი ქონების საფასურში; იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული ფაქტები მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოსათვის, მოწმის განმარტება, რომელიც სადავო უძრავი ქონების თავდაპირველი მესაკუთრე იყო, სხვა მტკიცებულებებთან ერთად უნდა შეფასდეს, რადგან კასატორი უთითებს, რომ სწორედ, ამ მოწმის განმარტებით, რომელიც არ შეაფასა სასამართლომ, დადგინდება, თუ რა გარემოებები უძლოდა მის მიერ ნაყიდი ქონების გაჩუქებას.

ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობის შესაფასებლად, სააპელაციო სასამართლოს დამატებით უნდა გამოეკვლია და სხვა მტკიცებულებებთან ერთად შეეფასებინა მონმის ჩვენება, რომელიც 2015 წლის 4 ივნისის სხდომის ოქმში იყო ასახული.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მტკიცებულებათა შეფასება

სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-147-143-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი ორი თვის საშემოსავლო გადასახადის 600-600 აშშ დოლარის, 12 თვის გადაუხდე-ლი საშემოსავლო გადასახადის – თვეში 300 აშშ დოლარის, 2014 წლის იანვრისა და თებერვლის საშემოსავლო გადასახადის – 600-600 აშშ დოლარის, 2014 წლის მარტის საშემოსავლო გადასახადის ნახევრის, 2014 წლის აპრილის საშემოსავლო გადასახადის – 600 აშშ დოლარისა და 2014 წლის აპრილის საიჯარო ქირის მოპასუხისათვის დაკისრე-ბა. მოპასუხემ წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა მხარეთა შორის გაფორმებული დამატებითი შეთანხმების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 900 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო, კურსის ცვალებადობის გამო, 560 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი და განაწილდა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, მიღებული გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შეგებებული სარჩელის ავტორმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების, მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 600 აშშ დოლარის ანაზღაურება, შესაბამისად, განისაზღვრა მხარეთა შორის საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების საკითხი, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოიჯარისათვის დაკისრებული თანხის კანონიერების ნაწილში საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა კასატორის პრეტენ-

ზიები და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ემყარებოდა საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას (სსკ-ის 105.2 მუხლი), შეკრებილი მტკიცებულებები სათანადოდ არ შეფასდა, რის გამოც საშემოსავლო გადასახადისა და ერთი თვის საიჯარო ქირის დაკისრების ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელი იყო როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ იჯარის ქირა შეადგენდა 3 000 აშშ დოლარს, რომელიც სრულად უნდა მიეღო მეიჯარეს, ხოლო საშემოსავლო გადასახადი ამ ქირის ოდენობასთან ერთად შეადგენდა 600 აშშ დოლარს, რომელიც ცალკე ანგარიშსწორებას ექვემდებარებოდა. სასამართლოს ამგვარი განმარტება, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ გამომდინარეობდა საშემოსავლო გადასახადის არსიდან, ვინაიდან ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, გამოდიოდა, რომ საიჯარო ქირა 3 600 აშშ დოლარს შეადგენდა, რომლის 20% (საშემოსავლო გადასახადი) არა 600 აშშ დოლარი, არამედ მეტი იყო. ამ გარემოების გაზიარება კი, მით უფრო დაუშვებელი იყო იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, მხარეთა მიერ ქირის ოდენობის გაზრდის ფაქტი არ დგინდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, უდავო იყო მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებულზე მეტი თანხის (ქირის) გადახდის ფაქტი.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მტკიცებულებათა შეფასება

სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-150-146-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ. მან პირველი მოპასუხისათვის 43 384.83 აშშ დოლარის დაკისრება და, დავალიანების დაფარვის მიზნით, მეორე მოპასუხის კუთვნილი იპოთეკის საგნის იძულებით აუქციონზე რეალიზაცია მოითხოვა. მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელი აღძრეს და მოითხოვეს იპოთეკის ხელშეკრულებისა და 2013 წლის 4 თებერვლის შეთანხმების ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით, ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ორივე მხარემ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა მტკიცების საგანში შემავალი, ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტი (სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), ამის შედეგად საკმარისი არგუმენტაციის გარეშე იქნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებული კრედიტორის სააპელაციო საჩივარი და არ იქნა გაზიარებული მოპასუხეთა პრეტენზიები. სააპელაციო სასამართლომ საქმე საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევებით განიხილა, რომლებმაც მიღებული გადაწყვეტილებების, როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლობა განაპირობეს.

სააპელაციო სასამართლომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა 2013 წლის 4 თებერვლის მხარეთა შეთანხმება და, ამ შეთანხმებიდან გამომდინარე, პირველი მოპასუხის სასესხო დავალიანების მოცულობა. ეს უკანასკნელი სადავოდ ხდიდა 12 300 აშშ დოლარის მიღებას. საქმის მასალებით უტყუარად იქნა დადგენილი, რომ საქმეში არსებული წერილობითი დოკუმენტი, 2010 წლის 4 აგვისტოს გასავლის ორდერი, პირველი მოპასუხის მიერ არ იყო ხელმოწერილი, ანუ მას არ მიუღია 3 800 აშშ დოლარი. გარდა ამისა, პირველი მოპასუხის მიერ არც სესხის სახით 3800, 3000 და 2000 აშშ დოლარის მიღება იქნა უტყუარად დადასტურებული, რადგანაც ხელწერის ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც საქმეში იყო წარმოდგენილი, ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლეოდა. სააპელაციო პალატამ შეაფასა რა, ხელწერის ექსპერტიზის დასკვნა, ყურადღება გაამახვილა პირველი მოპასუხის მიერ რუსულ ენაზე შესადარებელი ნიმუშის წარუდგენლობაზე და იმაზე, რომ მას არ მოუთხოვია დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება. პალატის აღნიშნული მსჯელობა არ გამომდინარეობდა საქმეში არსებული მასალებიდან. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორჯერ ჩატარდა ხელწერის ექსპერტიზა, რომელთა საფუძველი იყო პირველი მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული განჩინებები. ამ უკანასკნელმა, რუსულ ენაზე წარადგინა ექსპერიმენტული ხელმოწერის ნიმუშები, მაგრამ დასკვნის გაცემა შეუძლებელი გახდა ნიმუშების სიმცირისა და შეუსაბამობის გამო. პალატამ ეს არ გაითვალისწინა და სადავო თანხის მიუღებლობის მტკიცების ტვირთი მთლიანად გადააკისრა პირველ მოპასუხეს, მაშინ, როდესაც სესხის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება და დადებულად არ ჩაითვლება გასესხებული თანხის მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემის გარეშე. ამ გარემოების მტკიცების ტვირთი კი, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკისრებოდა გამსესხებელს და არა მსესხებელს.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ანალოგიურია: სუსგ №ას-166-162-2016 (02.08.2016), №ას-777-734-2015 (15.01.2016, №ას-884-834-2015 (07.03.2016), №ას-884-834-2015 (07.03.2016), №ას-932-882-2015 (15.03.2016), №ას-1017-960-2015 (22.01.2016), №ას-1245-1168-2015 (20.05.2016).

4. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა

ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოს მიერ

თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-915-881-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების სახით, მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 2435 ლარის გადახდა. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით, სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შედეგად სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სკ-ით განსაზღვრული დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობის – 992-ე მუხლის შემადგენლობის ნიშნებსა და მხარეთა შორის მტკიცების განაწილების ზოგად წესზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ პირველი უძრავი ქონების დაზიანება განპირობებულია კონკრეტულად მეორე უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული წყლით, ახსნა-განმარტების გარდა, სხვა მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. პალატამ ექსპერტიზის დასკვნა, ასევე – ექსპერტის ახსნა-განმარტებითი წერილი, სადავო ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად არ შეაფასა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ დოკუმენტში საუბარი იყო მხოლოდ ზიანის შეფასებასა და არა მის გამომწვევ მიზეზებზე, ხოლო წერილით კი, დაზუსტებული იყო, რომ წყალი ჩამოსულია „ზემოთა მეზობლის გადახურვის ფილიდან“, ისე, რომ არ იყო მითითებული „ზემოთა მეზობლის“ ვინაობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობა მაშინ ვლინდება, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი. იმავდროულად, გასათვალისწინებელია მხარეთა შორის – როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საპროცესო სასამართლებრივი შედეგი.

პალატამ მიიჩნია, რომ იმ ვითარებაში, როდესაც დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება დაზიანდა ზემოთა სართულიდან ჩამოდინებული წყლის ნაკადის შედეგად (ექსპერტიზის დასკვნა), თუმცა პასუხის იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა წყლის ნაკადი მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული, ექსპერტიზის დასკვნა არ შეიცავდა, რადგან, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ამისათვის საჭირო იყო ზემოთა მეზობლის საცხოვრებელ სახლში დაშვება, სააპელაციო სასამართლოს მითი-

თება იმასთან დაკავშირებით, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირისა და, მაშასადამე, სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი წანამძღვრის არსებობის მტკიცების ვალდებულება მოსარჩელემ ვერ შეასრულა, მიზანშეუწონელი იყო.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს სწორედ, ის შემთხვევაა, როდესაც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სადავო საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი იყო საექსპერტო კვლევის არსებობა და მხოლოდ ამის შემდეგ, სარჩელის წარმატებულობისა თუ, პირიქით, წარუმატებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა.

ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაპზრუნებოდა სააპელაციო სასამართლოს. საქმის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების დაზიანება, მართლაც გამონვეული იყო თუ არა მოპასუხის საკუთრებაში არსებული ურავი ქონებიდან ჩამოდინებული წყლის ნაკადის შედეგად და მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელა მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

5. საქმის განხილვა პირველი ინსტანციით

აღიარებითი სარჩელი

აღიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1221-1146-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: 12 არასრულწლოვანი მოსარჩელის სახელით მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეთა წინააღმდეგ და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი იპოთეკის ხელშეკრულებები. სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. მან დაადგინა, რომ სადავო გარიგებების დადება არასრულწლოვანი ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის აუცილებლობით

არ იყო განპირობებული და მითითებული გარიგებების დადებით მოსარჩელის ინტერესებს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

დავის მიმართ მოსარჩელის იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებით, პალატამ განმარტა, რომ, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, უფლებადარღვეულ სუბიექტს იმ პირისგან ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს, ვინც მისი კანონიერი ინტერესი ხელყო, ამდენად, იურიდიული ინტერესი უდავოდ იკვეთებოდა, თუმცა, ამისდა მიუხედავად, პალატის მოსაზრებით, ყველა დავა, რომელიც ბავშვის ინტერესს უკავშირდება, სასამართლოს მხრიდან განხილვას და სათანადო რეაგირებას ექვემდებარება, მაშინაც კი, თუ მოთხოვნა აღიარებითი ხასიათისაა, ხოლო იურიდიული ინტერესი – დაუსაბუთებელი.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება აპელანტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველ რიგში, დავის განმხილველ სასამართლოს უნდა გაერკვია, სწორად იყო თუ არა აღძრული სარჩელი და დასაშვები იყო თუ არა სსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, რომლის თანახმადაც, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა მიიღებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავისი ინიციატივით განესაზღვრა საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დადგენის შემდეგ ჩამოეყალიბებინა მიკუთვნებითი მოთხოვნა და ისე განესაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებსაც პასუხი უნდა ეგოთ სარჩელზე (სსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი). გარდა ამისა, მას შეეძლო, თვითონ გამოეთხოვა მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

აღიარებითი სარჩელი

აღიარებითი სარჩელი აღიძვრება უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 4 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-133-129-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილა სარჩელი და, 2015

წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა იმ დასაბუთებით, რომ წინამდებარე იურიდიული პირის, ახალი სუბიექტის წარმოშობას, არ გამოუწვევია იურიდიული პირის ფუნქციონირების შეწყვეტა, ორივე მათგანი, როგორც მოქმედი სუბიექტი, კვალავაც ირიცხებოდა სამენარმეო რეესტრში სხვადასხვა საიდენტიფიკაციო ნომრით. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილდა სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი მუნიციპალიტეტის განკარგულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული სს მოსარჩელის უფლებამონაცვლედ იქნა ცნობილი. სააპელაციო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად იხელმძღვანელა სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით, 35-ე, 36-ე მუხლებით, მენშ-ის მე-9 მუხლის მე-2, მე-3, მე-7 პუნქტებით, სსკ-ის მე-4, 102-ე, 180-ე მუხლებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, პირველ რიგში, დასადგენი იყო დავის საგანი. მოსარჩელის მოთხოვნა არ ეფუძნებოდა სსკ-ის მე-18 მუხლის პირველ და მეექვსე ნაწილებს, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შემოწმებისას, მართებული იქნებოდა აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ბუნებაზე მსჯელობა, რათა დადგენილიყო, თუ რა იურიდიული შედეგის მიღწევა სურდა მხარეს, თუმცა დაუშვებელი იყო სასარჩელო მოთხოვნის სასამართლოს მიერ ტრანსფორმირება სამოქალაქო საქმისწარმოებისას. სააპელაციო სასამართლოს უნდა გაერკვია, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ხომ არ გამომდინარეობდა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმებიდან და ამ კონტექსტში შეემოწმებინა სასარჩელო მოთხოვნის წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

6. სასამართლოს მთავარი სხდომა

შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობის საპატიო მიზეზი

მხოლოდ ის გარემოება, რომ სამედიცინო დანესებულების მიერ გაცემულ ბარათში პირდაპირ არ არის მითითებული მხარის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, არ შეიძლება, მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-354-336-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო. დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა (მოსარჩელე).

სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 102-ე, 215-ე მუხლებზე და, სააპელაციო საჩივრის (საჩივრის) ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილი პაციენტის სამედიცინო ბარათის შესაბამისად, დადგინდად მიიჩნია, რომ 2014 წლის 28 იანვარს, 9:51/52 საათზე, მოსარჩელემ თავის საცხოვრებელ ადგილზე გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. სამედიცინო შემონმების შედეგად დადგინდა, რომ პაციენტი უჩიოდა გაბრუნებას, თავის ტკივილს, დისკომფორტს გულის არეში, სხეულის კანკალსა და აფორიაქებას, რასაც უკავშირებდა ნერვიულობას. ექიმმა პაციენტს უმკურნალა (კერძოდ, მისცა წამლები) და რჩევა-დარიგება, რის შემდეგაც, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და სასწრაფომ, დაახლოებით 11:05 საათზე დატოვა დანიშნულების ადგილი. პალატის განმარტებით, წარმოდგენილ ბარათში არ იყო მითითება იმის თაობაზე, რომ აპელანტი, ავადმყოფობის გამო, ვერ შეძლებდა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას, რომელიც დანიშნული იყო იმავე დღეს, 12:00 საათზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის წასვლიდან დაახლოებით 1 საათის შემდეგ ან/და მიმართავდა სასამართლოს განცხადებით და შეატყობინებდა მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე. ამასთან, ბარათით არ ირკვეოდა ის გარემოება, რომ ექიმმა ავადმყოფს გაუწია რეკომენდაცია წოლითი რეჟიმის შესახებ, რაც სასამართლოს შეუქმნიდა იმის ვარაუდს, რომ შეუძლებელი იქნებოდა აპელანტის სასამართლო პროცესზე გამოცხადება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, დადგინდია, თუ რა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნა იმის შესახებ, რომ, ვინაიდან სამედიცინო ცნობაში პირდაპირ არ იყო მითითებული მოსარჩელის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, არ დგინდებოდა მისი პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა. იმ პირობებში, როდესაც სასამართლო სხდომის ჩატარების დღეს, 2014 წლის 28 იანვარს, მოსარჩელის ჯანმრთელობა იმგვარად გაუარესდა, რომ მას დასჭირდა მედიკამენტური ჩარევა „დიაზეპამის“, ამავე დროს დაესვა დიაგნოზი ჰიპერტენზია და ჰიპერგლიკემია, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდა დასაბუთებულ საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოცხადებულიყო სასამართლო პროცესზე ან წინასწარ ეცნობებინა სასამართლოსთვის მისი პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის (ჯანმრთელობის გაუარესების) თაობაზე, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი დატოვა 11:05 საათზე, ხოლო სასამართლო პროცესი დანიშნული იყო 12:00 სა-

ათზე, ანუ სხდომამდე რჩებოდა ერთ საათზე ნაკლები დრო.

ამრიგად, საქმეში არსებული მტკიცებულების, პაციენტის სამედიცინო ბარათის შეფასების გზით საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ უზრუნველყო მისი საპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის დადასტურება და მხოლოდ ის გარემოება, რომ აღნიშნულ დოკუმენტში პირდაპირ არ იყო მითითებული მხარის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, არ შეიძლებოდა მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო. შესაბამისად, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ კასატორის (მოსარჩელე) მიერ წარდგენილი მტკიცებულება აკმაყოფილებდა სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საპელაციო სასამართლოს.

მხარეთა მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობის საპატიო მიზეზი

მხოლოდ ის გარემოება, რომ სამედიცინო ცნობაზე სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელს არა მოუწერი ხელი (მით უფრო, როდესაც ხელმოწერილია მკურნალი ექიმის მიერ და დადასტურებულია სამედიცინო დანესებულების ბეჭდით), არ შეიძლება მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 105-ე, 233-ე და 241-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განმარტება საქმეზე №ას-187-179-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ აპელაციის წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში. აღნიშნული განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობა განაპირობა იმან, რომ იგი არ იმყოფებოდა საქართველოში, კერძოდ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მკურნალობის კურსს გადიოდა ქ. სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ კლინიკაში. მან განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა სხდომის გადადება, რაც სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 105-ე მუხლის ნორმით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, მტკიცებულების შეფასების გზით საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კასატორმა (მოპასუხე) საჩივრის განხილვის ეტაპზე უზრუნველყო მისი სა-

პატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის დადასტურება, მტკიცებულებაში ნათლად იყო ასახული, როგორც ავადმყოფობის ფაქტი, ისე – სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა (იგი მკურნალობდა სტაციონარში) და მხოლოდ ის გარემოება, რომ მასზე ხელი სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელს არ მოუწერია (მით უფრო, როდესაც ხელმწიფილია მკურნალი ექიმის მიერ და დადასტურებულია სამედიცინო დანესებულების ბეჭდით), არ შეიძლება მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კასატორის მიერ წარდგენილი მტკიცებულება აკმაყოფილებდა სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, დადგენილია, თუ რა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მონინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობა არ შეიძლებოდა, გამხდარიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რაც ამ გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

საპატიო მიზეზით სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობა; საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას;

სსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე და 93-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 24 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-849-799-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დასაქმებულმა (მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სანარმოს (მოპასუხე) წინააღმდეგ და მოითხოვა სახელფასო დავალიანების – 2750 ლარის გაცემა, ასევე, მისთვის საბანკო ამონაწერების გაცემა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა 500 ლარის გადახდა, ასევე, საბანკო ამონაწერებისა და ბრუნვის უწყისების გა-

დაცემა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მონინააღმდგის (მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დასაქმებულის სარჩელი და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი.

სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოტივებზე მსჯელობისას, აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას, 6 მარტის სხდომაზე, სააპელაციო სასამართლოში გამოცხადდა დასაქმებულის წარმომადგენელი, ხოლო საწარმოს დირექტორი და მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდნენ. საწარმოს წარმომადგენელმა 5 მარტს, წერილობითი შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება იმ საფუძვლით, რომ იგი მონანილებდა საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი დავის განხილვაში, რის გამოც ვერ შეძლებდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაში მონანილებას.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და მიიჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ მოცემული საქმის განხილვა ერთხელ უკვე გადაიდო სწორედ საწარმოს წარმომადგენლის ინიციატივით იმავე მოტივით. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ სხდომაზე არ გამოცხადდა არც საწარმოს დირექტორი და უცნობი იყო მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოს წარმომადგენლის შუამდგომლობა ემსახურებოდა საქმის გაჭიანურებას და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების საფუძველი. სსკ-ის 215-ე მუხლზე დაყრდნობით, სასამართლომ განმარტა, რომ შუამდგომლობის დასაბუთებულად მისაჩნევად, მოპასუხემ ვერ მიუთითა კანონით განსაზღვრულ საპატიო მიზეზზე.

მოპასუხემ 2015 წლის 3 აპრილს, საჩივარი წარადგინა და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით მოპასუხე საწარმოს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ძალაში დატოვების განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის გაჭიანურებას ემსახურებოდა და არ არსებობდა საპატიო მიზეზი სხდომის განხილვის გადასადებად.

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რადგან 6 მარტის სხდომამდე, სასამართლომ სხდომის თარიღად 2 მარტი განსაზღვრა თუმცა, მას თავადვე მოუწია სხდომის თარიღის შეცვლა, ობიექტური საფუძვლით, ერთ-ერთი მოსამართლის ავადმყოფობის გამო, რასაც, ბუნებრივია, წინასწარ ვერც სასამართლო და ვერც სამართალწარმოების მონანილე რომელიმე მხარე ვერ განჭვრეტდა. სააპელაციო სასამართლოს მიერ 6 მარტს, 16 საათზე განსაზღვრულ სხდომის დღეს, დაემთხვა საწარმოს წარმომადგენელი ადვოკატის მონანილებობა იმავე დღესა და იმავე საათზე საქალაქო სასამართლოში, რაც უტყუარად დასტურდებოდა ადვოკატის მიერ სხდომის წინა დღეს წარდგენილი 5 მარტის განცხადებითა და მასზე დართული სასამართლო გზავნი-

ლით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალწარმოების მონაწილე მხარის წარმომადგენელს ობიექტურად ვერ ექნებოდა საქმის განხილვის გაჭიანურების მიზანი, რადგან მისი სხვა სხდომაში მონაწილეობა დადასტურებული იყო შესაბამისი მტკიცებულებით, ხოლო 5 მარტის განცხადებაში, ადვოკატის მიერ მარტსა და აპრილში მითითებული კონკრეტული თარიღები, უკვე დანიშნული სხვა სასამართლო სხდომების თაობაზე, იმას ადასტურებდა, რომ წარმომადგენელმა წინასწარ მიაწოდა უკვე დანიშნული სხდომების ზუსტი თარიღების შესახებ ინფორმაცია საპელაციო სასამართლოს, რათა მორიგი სხდომის თარიღის განსაზღვრისა და სასამართლო განრიგის დაგეგმვაში შეენყო ხელი.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ასევე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნა, საწარმოს დირექტორის, როგორც წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის გამოუცხადებლობის არასაპატიოობაზე, დაეთანხმა კასატორის პრეტენზიას და თავად მხარის, მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს დირექტორის გამოუცხადებლობის შესახებ განმარტა, რომ არც ეს გარემოება არ წარმოადგენდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობას, რადგან საწარმოს წარმომადგენელი არის იურიდიული პირის თანამდებობის პირი, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია და არაა ვალდებული, იმოქმედოს სამეწარმეო საზოგადოების სახელით, თანახმად სსკ-ის 93-ე მუხლის პირველი ნაწილისა, ხოლო, მეორე ნაწილის შესაბამისად: „მხარეებს შეუძლიათ, აგრეთვე, საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს, თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში“. განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს დირექტორი, მართალია, მონაწილეობდა სამართალწარმოებაში პირველი ინსტანციიდან მოყოლებული, თუმცა, სწორედ ამავე ეტაპიდან, საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენდა სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ადვოკატი, რომელსაც ჰქონდა 6 მარტის სხდომაზე გამოუცხადებლობის ობიექტური, საპატიო მიზეზი, რაც წინასწარ – 5 მარტს აცნობა სასამართლოს და შესაბამისი მტკიცებულებაც წარუდგინა, ამდენად, „სსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. მხარისა და წარმომადგენლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა აქვს და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მისი უფლების კვალიფიციურად დაცვაზე“ (იხ.სუსგ №ას-1666-1654-2011, 08.12.2011 წ).

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საპელაციო სასამართლოს.

შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა

მხარის მიერ ავადმყოფობის მიზეზით შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობის შემთხვევაში, ავადმყოფობა უნდა დადასტურდეს სამედიცინო დანუსებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-159-155-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინებით, არ დააკმაყოფილა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ. შესაბამისად, აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე, მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის 1 ივლისის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. ავადმყოფობის ფაქტი დასტურდებოდა საჩივარზე დართული 2015 წლის 30 ივნისის №1/278 სამედიცინო ცნობით, რაც, სსკ-ის 241-ე მუხლის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იყო.

სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის განმარტება, საპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის თაობაზე, კერძოდ, სსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე შეაფასა საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილი 2015 წლის 30 ივნისის ცნობა, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელის წარმომადგენელს დაუდგინდა მწვავე დიარეა (საკვებით გამოწვეული). პაციენტს ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარება და დაენიშნა მედიკამენტური მკურნალობა ბინაზე ნოლითი რეჟიმით. ცნობის მიხედვით, პაციენტი ექიმთან 2015 წლის 29 ივნისს იმყოფებოდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ცნობა 2015 წლის 1 ივლისის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობის დასადასტურებლად ვერ გამოდგებოდა, ვინაიდან იგი პაციენტის ჯანმრთელობას ასახავდა მხოლოდ 2015 წლის 29 ივნისის მონაცემებით. საჩივრის ავტორს არ წარუდგენია კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობამ დაბრკოლება შეუქმნა წარმომადგენელს, გამოცხადებულიყო 2015 წლის 1 ივლისს და მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება, დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად, საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მითითებული სასამართლო აქტების გაუქმება და საქმის, არსებითად განსახილველად, სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა სსკ-ის 105-ე მუხლის მოხმობით, რომლის პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილია, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა

აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ და განმარტა, რომ ადვოკატის მიერ წარდგენილ ცნობაში მითითებული დიაგნოზისა და პაციენტისათვის მიცემული სამედიცინო რეკომენდაციების (წოლითი რეჟიმი და სხვ.) ერთობლივი ანალიზი, ადასტურებდა, რომ მხარის წარმომადგენელი ვერ შეძლებდა სასამართლო სხდომაში მონაწილეობას. 2015 წლის 29 ივნისს ექიმის მიერ ადვოკატისათვის დასმული დიაგნოზის გამო, წოლითი რეჟიმი, იმ პირობებში, როდესაც პაციენტს ესაჭიროებოდა სტაციონარული მკურნალობა, ხოლო მან უარი განაცხადა აღნიშნულზე, სწორედ იმას ადასტურებდა, რომ ავადმყოფის ფიზიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, სულ მცირე ერთი დღე კი არ უნდა დაეცვა მას წოლითი რეჟიმი, არამედ, მას დაენიშნა წოლითი რეჟიმი, რომლის დაცვა და სხვა სამკურნალო რეკომენდაციების გამოყენება, იმთავითვე არ ნიშნავდა, რომ 24 საათში პაციენტის მდგომარეობა გამოსწორდებოდა და იგი უტყუარად შეძლებდა, დიაგნოზის დადგენიდან, ერთდღიანი მკურნალობის ჩატარების შემდეგ, სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას.

საკასაციო სასამართლომ სამედიცინო ცნობაზე ხელმომწერი პირის ვინაობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ: „მხოლოდ ის გარემოება, რომ იგი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ არაა ხელმომწერილი (მით უფრო, როდესაც ხელმომწერილია მკურნალი ექიმის მიერ და დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით), არ შეიძლება მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს“ (იხ სუსგ № ას-187-179-2016, 06.05.2016წ). აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესაფასებლად, განსახილველ შემთხვევაში, ლინდება კანონით დადგენილი წინაპირობების ერთობლიობა, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა.

7. დაუსწრებელი გადაწყვეტილება; საქმისწარმოების შეწყვეტა

მოპასუხის გამოუცხადებლობა

მოპასუხის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 15 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1254-1176-2015
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რამდენიმე მოპასუხის მიმართ და მოითხოვა ნივთის გაუმჯობესების ხარჯის, ასევე, საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ერთ-ერთ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ და-

ეკისრა თანხის ანაზღაურება, დანარჩენი მოპასუხეების მიმართ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა; ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემაც და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა,

სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხეთა საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2015 წლის 2 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებმა, მოითხოვეს მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ერთ-ერთი მოპასუხის მიმართ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების ამ ნაწილში გაუქმების თაობაზე დასაბუთებული შედაგება იყო წარმოდგენილი, კერძოდ, არც სარჩელში და არც სააპელაციო საჩივარში არ იყო მითითებული იმგვარი გარემოებები, რომელთა დადგენილად მიჩნევის შემთხვევაში იარსებებდა შუამავლის (ერთ-ერთი მოპასუხე) მიმართ ვალდებულების წარმოშობის სკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რომელიმე წინაპირობა. მოსარჩელე მიუთითებდა მოპასუხის არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე, თუმცა ამ ქმედებით რაში გამოიხატა მოსარჩელის უფლების შელახვა და რა ქმნიდა სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, სარჩელის მიხედვით არ დგინდებოდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ მოპასუხის ნაწილში გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება ამ მოპასუხის მიმართ თანხის სოლიდარულად დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელაციის ეტაპზე შესაბამისი წარუდგენლობის გამო

სსკ არ ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო საქმის წარმოებისას, სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მონაწილეობის მხარის მიერ შესაბამისი წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, შესაბამისად, შესაბამისი წარმოუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ და 387-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-121-117-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 5 ოქტომბერს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მონინალმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო შესაგებლის (პასუხის) წარმოუდგენლობის გამო, რომლითაც მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეზე არსებობდა სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში შესაგებლის (პასუხი) წარმოუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 372-ე, 232¹ მუხლებისა და 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას არ აბრკოლებდა ამავე კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, რომლის მიხედვით, ერთ-ერთი პირობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის – აპელანტის მონინალმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივარზე სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა იყო. არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მეორე პირობაც, რაც ამავე კოდექსის 232¹ მუხლით გათვალისწინებულ იურიდიულ მართებულობაში მდგომარეობდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე აპელანტმა შეიტანა საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე – დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

დიდი პალატის განმარტება: დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაჭრის საკვანძო საკითხს, სწორედ აპელაციის ეტაპზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენების მიზანშეწონილობა წარმოადგენდა. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე კასატორმა წარადგინა სსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც გამოიხატა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 372-ე მუხლისა და 387-ე მუხლის მესამე ნაწილის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში, რასაც საბოლოოდ უკავშირდებოდა სააპელაციო ინსტანციაში მონინალმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მიზანშეწონილობა.

მოცემულ შემთხვევაში, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რამაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, რადგან სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება, გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც თუ, სააპელაციო სასამართლო სათანადო პროცესუალური საფუძვლით დაუშვებს აპელანტის მიერ ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითებას.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში კანონით ნებადართულია. რაც შეეხება, შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებე-

ლი გადაწყვეტილების გამოტანას, ეს დაშვებულია სსსკ-ის 232¹ მუხლის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისას. მსგავსი შინაარსის ნორმა სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოების მომწესრიგებელ ნორმებში არ მოიპოვება.

პალატამ განმარტა, რომ შესაგებლის წარუდგენლობა და საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობა სხვადასხვა პირობებია, რომლებიც გათვალისწინებულია სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე. სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობა ხელს არ უშლის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეები სარგებლობენ ფართო საპროცესო უფლებებით და წარადგენენ საქმისთვის საჭირო ყველა იმ მტკიცებულებას, რომელსაც მიიჩნევენ მნიშვნელოვნად თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის დასაცავად, შესაბამისად, სარჩელსა თუ შესაგებელში, ასევე, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებებით ნათლად გამოხატავენ თავიანთ პოზიციას.

დიდი პალატამ დაასკვნა, რომ სსკ არ ითვალისწინებს, სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო საქმისწარმოებისას სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მონინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, შესაბამისად, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და 180-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-914-876-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრვ-სამართლებრივი შეცდომა: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი ქირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და იჯარის ხელშეკრულების კანონიერად აღიარების თაობაზე. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარე-

მოებები, მათი დადასტურებულად ცნობის შემთხვევაში, იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ შეუმონებია, არსებობდა თუ არა სარჩელის აღძვრის წინაპირობები. სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელში უნდა აღინიშნოს ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი. ამდენად, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მაგრამ მოსარჩელეს არა აქვს მითითებული ასეთი სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი, სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიიღოს, ხოლო, თუ შეცდომით მიიღო, განუხილველად უნდა დატოვოს იგი (სსკ-ის 275-ე მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს აღძრული ჰქონდა აღიარებითი სარჩელი, მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს სარჩელში არ მიუთითებია აღიარებითი სარჩელის აღძვრის იურიდიულ ინტერესზე.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოსარჩელემ აღძრა აღიარებითი სარჩელი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მას არა ჰქონდა მითითებული სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი და არც ის იყო გარკვეული, შესაძლებელი იყო თუ არა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, სააპელაციო სასამართლომ მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები).

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

8. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

საქმის ბარემოების დადგენა სასამართლოს ინიციატივით

სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახოსამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება, სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი).

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე და 103-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-53-51-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა

სასამართლოში მოპასუხის მიმართ 2004 წლის 6 მარტს დაბადებული ა.ჩ-სა და 2012 წლის 13 თებერვალს დაბადებული ა.ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად მოსარჩელის, ნ.ჩ-დის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2004 წლის 6 მარტს დაბადებული ა.ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა 2012 წლის 13 თებერვალს დაბადებული ა.ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესზე. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა სსკ-ში ცალკე თავით არის გამოყოფილი, რადგან მას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. ამ თავისებურებას განაპირობებს საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკა, რომელიც უპირატესად ატარებს პირადული და განგრძობადი ხასიათისაა. ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას საოჯახოსამართლებრივი დავების განხილვისას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ინკვიზიციურობის პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. მართალია, საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარჩუნებს უფლებას, დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მიღებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახოსამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება, სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი). მაშასადამე, სსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება ამავე კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით.

მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით, მას ახალ მტკიცებულებათა მიღებაც შეუძლია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სსკ-ის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინევენით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ქვშმარიტი ინტერესები.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი კასატორების არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოუკვლევიან საქმის მასალები, უფრო მეტიც, საკითხის გადაწყვეტისას შემოიფარგლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის კანონიერების შემოწმებით იმგვარად,

რომ არ შეუფასებია დავის დაწყებიდან სააპელაციო განხილვის ეტაპამდე, ხომ არ არსებობდა რაიმე ფსიქოემოციური ცვლილებები არასრულწლოვანთა მშობლებისადმი დამოკიდებულებაში და სხვა.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ანალოგიურია: სუსგ №ას-912-862-2015 (11.03.2016).

9. აპელაცია; საქმისწარმოება სააპელაციო სასამართლოში

გადანყვეტილების შემთხვევის ფარგლები;

გადანყვეტილების შეცვლის ფარგლები

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე და 384-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1257-1197-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეების მიმართ და მოითხოვეს საცხოვრებელი სახლის ნაწილზე თანამესაკუთრებად ცნობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაზეც სააპელაციო საჩივარი წარადგინეს მოსარჩელებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ., გუ. და გი. მ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ჯ. მ ცნობილ იქნა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე 301,00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და 123,80 კვ.მ შენობა-ნაგებობის თანამესაკუთრედ მ, გ. და ი. მ-ებთან ერთად ე. მ-ის ამ ქონებაზე დადგენილი თანასაკუთრების წილის უფლებით.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილით, 1307-ე, 1344-ე, 1320-ე, 1424-ე, 1421-ე, 1328-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ჯ. მ-მ ე. მ-ის დანაშთი სამკვიდრო მიიღო იმგვარად, რაც მის აქტივს შეადგენდა სამკვიდროს გახსნის დროისათვის. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ჯ. მ-ეს აქვს საკუთრების უფლება სადავო ქონებიდან იმ წილზე, რომლის მესაკუთრეც ე. მ-ე იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საკუთარი ინიციატივით, საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის

ეტაპზე, შეცვალა სასარჩელო მოთხოვნა და მისი საფუძვლები, დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოებები და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, რითაც დაარღვია სსკ-ის 377-ე, 384-ე მუხლები.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ზემოაღნიშნული გარემოებები. ამ გარემოებების გამოკვლევის ნაცვლად, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე მიუთითა ახალ გარემოებებზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ დავის პროცესში გარდაცვლილი ერთ-ერთი მოპასუხის, ე. მ-ის სამკვიდრო მიიღო მისმა შვილმა, ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, აპელანტმა (მოსარჩელე) ჯ. მ-მ ხოლო, რამდენადაც ე. მ წარმოდგენდა სადავო ქონების თანამესაკუთრეს, ჯ. მ, როგორც ე. მ-ის ანდერძისმიერი მემკვიდრე, ცნო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის მთლიანი ფართის თანამესაკუთრედ მოპასუხე მ, გ. და ი. მ-ებთან ერთად, ე. მ-სთვის ამ ქონებაზე დადგენილი თანასაკუთრების წილის უფლებით, რითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა, აგრეთვე – სასარჩელო მოთხოვნაც.

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას გამოიყენა სკ-ის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1307-ე, 1344-ე, 1320-ე, 1424-ე, 1421-ე, 1328-ე მუხლები, რომლებიც არეგულირებს მემკვიდრეობის გზით სამკვიდროს მემკვიდრეზე გადასვლის წესებსა და გზებს, რასაც მოცემული დავის საგანთან რაიმე კავშირი არ გააჩნდა, რადგან მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა კომლის წევრებზე თანასაკუთრების უფლების გადასვლა და არა მემკვიდრეობის მიღებით ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობა.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სსკ-ის თანახმად, ასევე, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-151-147-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: მოპასუხე ბანკის დირექტორის ბრძანების ბათილად ცნობა; მოსარჩელის აღდგენა თანამდებობაზე; მოპასუხისათვის იძულები-

თი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა გაასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ვინაიდან სააპელაციო პალატამ მიიჩნია, საქმეზე არ იყო დადგენილი რიგი ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ, სსკ-ის 385-ე მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც, მოცემულ შემთხვევაში, შებოჭილია სააპელაციო სასამართლო, ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სსკ-ის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დასადგენადაც საქმე აპელაციამ დააბრუნა პირველ ინსტანციის სასამართლოში, არ განეკუთვნებოდა ისეთ გარემოებებს, რომელთა გამოც გამართლებული იქნებოდა საქმის უკან გადაგზავნა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეეძლო, დაედგინა მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივად შეეფასებინა ისინი და გამოეყენებინა კანონის შესაბამისი ნორმები. ამას მოითხოვს გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა და პროცესუალური ეკონომიის ინტერესებიც, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში, მიზანშეწონილი იყო საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების მართებულობის შეფასებისას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს: 1. რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; 2. ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება, და 3. ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

სსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება, დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს. ამ შემთხვევაში, მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება არ ხდება, თუმცა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლომ ყოველთვის უნდა შემოან მოს ხომ არ იკვეთება პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 230-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განმარტება საქმეზე №ას-75-72-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დაკმაყოფილდა აპელანტთა წარმომადგენლის შუამდგომლობა და მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შეგებებული სარჩელის ავტორების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ამავე სასამართლოს 2016 წლის 11 იანვრის განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2015 წლის 2 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ, მოითხოვა მათი გაუქმება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ან საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ვინაიდან არ დასტურდებოდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი, საკასაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმაზე, რომლის თანახმადაც, მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სააპელაციო სასამართლო დაემყარება მომჩივნის ახსნა-განმარტებას. ეს ნიშნავს არა სარჩელში მიუთითებული გარემოებების ავტომატურად დადგენილად მიჩნევას, არამედ იმის შემომწმებას, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებებით (დადგენილად მიჩნევით) გაბათილდება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი სადავო ნაწილის დასკვნები, რომლებიც აპელანტის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, უნდა გაითვალისწინოს აპელანტის ახსნა-განმარტება (რომელიც შეიძლება არც იყოს მოსარჩელე), ხოლო სსკ-ის, 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება, დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე). ამ შემთხვევაში, მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება არ ხდება, თუმცა, დაუსწრებელი გადაწყვე-

ტილების გამოტანისას, სასამართლომ ყოველთვის უნდა შემოანმოს პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტების არსებობა.

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალაც, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულოობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სსკ-ის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

მითითებული სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, ამავე დავის ფარგლებში ძირითადი სარჩელის ნაწილში, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, დადგენილია ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან შემკვეთის (აპელანტის) მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ფაქტი (სკ-ის 629-ე მუხლი)

ზემოხსენებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების საპირისპიროდ, მიუხედავად აპელანტის მონინაალმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისა, სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია დადგენილად ამავე სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ძირითადი მოსარჩელისათვის ზედმეტად (უსაფუძვლოდ) თანხის გადახდა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მენარდის (ძირითადი მოსარჩელე) მხრიდან სამუშაოების შესრულების ფაქტი, რომელთა ღირებულება სრულად არ აქვს ანაზღაურებული დამკვეთს (მოსარჩელე სეგებებულ სარჩელში, აპელანტი), შეუძლებელია ამავე სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დასტურდებოდეს მენარდის მიერ დამკვეთისაგან კუთვნილზე მეტი ანაზღაურების მიღების ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესრულების კონდიქციის საფუძველით შეგებებული სარჩელის, თუნდაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში დაკმაყოფილების წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

შესაბეჭდის წარუდგენლობა

სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება, გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე და 232¹ მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2016 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-26-26-2016
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ, მონინაალმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის საფუძველით, 2014 წლის 4 მაისს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, რაც სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით არ დაკ-

მაყოფილდა. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობების (სსკ-ის 387-ე მუხლის მესამე ნაწილი, 372-ე, 232¹ და 201-ე მუხლის მეორე ნაწილი) სააპელაციო სასამართლოსეული განმარტება არასწორი იყო, რადგანაც აპელაციის ეტაპზე, მონინაალმდევე მხარის მიერ მხოლოდ შესაგებლის წარუდგენლობა არ ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკმარის საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინებაზე №ას-121-117-2016 და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო საქმისწარმოებისას სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მონინაალმდევე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, შესაბამისად, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია.

სსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგან სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან თავისუფლდება მოსარჩელე. აღნიშნული ფაქტი შეიძლება იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა. შესაბამისად, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას საქმის მომზადების ეტაპზე, როგორც იურიდიულ ფაქტს, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგან აპელაციაში მტკიცებითი საქმიანობის განხორციელების თავისებურებიდან გამომდინარე იხილება იგივე სადავო მატერიალურსამართლებრივი ფაქტები და მტკიცებულებები, ხოლო ამ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობით არ განისაზღვრება პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად მტკიცების საგანი.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

11. კასაციის დასაშვებობა

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები

სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემონახვა შეუძლებელია.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-838-804-2016 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ, წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ავანსის – 21192 ლარის დაბრუნებისა და პირგასამტეხლოს – 10673 ლარისა და 69 თეთრის დაკისრების მოთხოვნით. მოპასუხემ წარადგინა შეგებებული სარჩელი 45 488 ლარისა და 67 თეთრის ანაზღაურების მოთხოვნით.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – 5 890,5 ლარის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (სულ 28 დღე) შეუსრულებელი ვალდებულების 0,07%-ის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი და მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 45 488 ლარისა და 67 თეთრის გადახდა. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარდგინა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 21,192 ლარისა და პირგასამტეხლოს – 1,067 ლარის გადახდა. შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: კასატორის ძირითადი პრეტენზია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი, მაგრამ შემსყიდველისგან დადასტურებული, სამუშაოების ანაზღაურებაში მდგომარეობს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ურთიერთგამომრიცხავი იყო, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, ერთ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელემ მხოლოდ 38 077.92 ლარის დამატებით სამუშაო ჩააბარა და შეადგინა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. რაც შეეხება გაუთვალისწინებელ სამუშაოთა ღირებულებაზე – 16 702.53 ლარის სამუშაოთა შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, იგი მოსარჩელემ არ მიიღო და არ დაადასტურა, ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ „მენარდემ ფაქტის წინაშე დააყენა შემკვეთი (მოსარჩელე), წარუდგინა რა მას 2 შესრულებულ სამუშაოთა აქტი ერთი 38 106 ლარზე და მეორე 16 583,24 ლარზე (როგორც ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სამუშაოთა აქტი). ამგვარი რეალობის პირობებში ფაქტია, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა 16 583 ლარის მოსარჩელისათვის დაკისრებას (შეგებებული სარჩელის მოთხოვნა).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, თუ მიმწოდებელმა შემსყიდველს წარუდგინა შესრულებულ სამუშაოთა ორი აქტი, რომელთაგან ერთ-ერთზე „მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია საკასაციო პრეტენზია, გამოსარკვევია, იყო თუ არა იგი მტკიცებულება, და თუ ეს ასეა, მაშინ, რა მოსაზრებით იქნა უარყოფილი შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულების არარსებობა. მით უფრო, იმ პირობებში, რომ შემსყიდველი წარმოდგენილ საკასაციო შესაგებელში სადავო სამუშაოთა ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძვლად იმას კი არ მიიჩნევდა, რომ სადავო სამუშაოები არ უნდა შესრულებულიყო ან და არ იქნა დადასტურებული შემსყიდველის მიერ, არამედ მხოლოდ იმაზე აპელირებდა, რომ მისი ღირებულება – 16 702.53 ლარი, აჭარბებდა შესრულებული სამუშაოს 3%-ს – 940 ლარს.

სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელი იყო, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში) ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ანალოგიურია: სუსგ №ას-871-821-2015 (05.02.2016), №ას-992-936-2015 (21.03.2016), №ას-1015-958-2015 (18.03.2016).

გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი

სასამართლო გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განმარტება საქმეზე №ას-85-79-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათთვის სოლიდარულად სესხის ძირითადი თანხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაკისრება, ასევე – აღნიშნული ვალდებულებების დაფარვის მიზნით, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის გადანყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ ძირი თანხის – 28 758.78 აშშ დოლარის გადახდა, ასევე, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მისი ანაზღაურება დადგინდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებების რეალიზაციით; სესხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის გადანყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა გასაჩივრებული გადანყვეტილება სესხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება. სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მოპასუხისათვის ძირი თანხის დაკისრების ნაწილში და მოსარჩელემ იგი გაასაჩივრა სესხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს მხარეებმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის გადანყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ, მოთხოვნილი ძირი თანხის – 29 200 ლარის ნაცვლად 28 758,78 ლარის დაკმაყოფილების შესახებ მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით და მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ გადანყვეტილება გასაჩივრდა ნაწილობრივ – მხოლოდ სესხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრება-

ზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო ძირითადი თანხის ნაწილში კანონიერ ძალაში იყო შესული, არასწორია და სსკ-ის 394-ე მუხლის ე¹ პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა იმგვარ პროცესუალურ დარღვევას, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნიდა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორების მოსაზრებაც, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრულად და არასწორად დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, სესხი 12 თვით თუ მეტი ვადით გაიცა. გამოსაკვლევია იყო, არჩეული ჰქონდა თუ არა მსესხებელს სესხის გადახდისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მეთოდი და, თუ ეს ასეა, მაშინ რა კონკრეტულ გარემოებებს ეფუძნებოდა მოსარჩელის მითითება, რომ სესხით სარგებლობის ვადის დადგენისას, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ხელშეკრულების 2.5 პუნქტის მეორე წინადადებით. სააპელაციო სასამართლოს აგრეთვე, არ დაუდგენია, რამდენი იყო მსესხებლის მიერ გადასახდელი საპროცენტო სარგებელი.

სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, როდის წარმოეშვა მსესხებელს ძირითადი თანხის საბოლოოდ დაფარვის ვალდებულება. აღნიშნული გარემოების დადგენა დამოკიდებული იყო იმის განსაზღვრაზე, სესხის დაფარვის რომელი მეთოდი აირჩია მსესხებელმა და ასევე – სესხით სარგებლობის ვადაზე.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორ ი.ზ-ის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, რა საფუძვლით დაერიცხებოდა პირგასამტეხლო მსესხებელს სასამართლოში სარჩელის შეტანამდე პერიოდისათვის.

სსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელი იყო, რომ შეუძლებელი გახდა მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება, რაც, სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი იყო.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების მოტივების მიხედვით, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მოცემულ განჩინებაში ასახული საკასაციო პალატის მითითებებზე, ამ მითითებების გათვალისწინებით, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დაედგინა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და შესაბამისი კუთხით ემსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ანალოგიურია: სუსგ №ას-122-118-2016 (03.06.2016), №ას-1054-994-2015 (22.01.2016), №ას-1100-1036-2015 (15.01.2016), №ას-1343-1381-2014 (25.03.2016).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge